„ლიდერის ფენომენი"

სახელმძღვანელოში თავმოყრილია სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რომელიც გაიმართა 2005 წლის 9 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

საზოგადოება, თუნდაც ძლიერებისგან შემდგარი სუსტია, თუ მას ძლიერი არ ჰყავს სათავეში. (სენეკა)

თუმცა: *"მარტოკა ერთი რას იზამს, თუნდაც ცეცხლს ჰყრიდეს პირითა"(ვაჟა)*

წიგნი ეძღვნება ლიდერის ფენომენის შესწავლას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გვსურს ჩვენმა სოციუმმა უკეთ გაიგოს ლიდერის მნიშვნელობა და ფუნქციები და ის, რომ ლიდერობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ისინი ქმნიან ეპოქებს და ეპოქები ქმნიან მათ.

ნიკოლოზ ჯანელიძე.
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: სამართლისა და სახელმწიფოს მართვის.
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

"ლიდერის ფენომენი სხვადასხვა
თეორიების მიხედვით."

ბლონდელი წერს: ლიდერობა- ეს არის ძალაუფლება. იგი წარმოადგენს "მწვერვალზე" მყოფი ადამიანის უნარს აიძულოს სხვა გააკეთოს ის, რასაც თავად არ გააკეთებდა არცერთ შემთხვევაში. ეს ავტორის სუბიექტური თვალთახედვაა და შეიძლება არ დავეთანხმოთ.

ლიდერზე საუბარს იან შჩეპანსკი მიზნობრივი ჯგუფის ცნების შემოტანით იწყებს. მიზნობრივი გაერთიანება მოიცავს იმ ერთნაირი მიზნების მქონე ადამიანებს, რომლებიც შეიძლება ერთობის მიზნებად იქცნენ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნოთ განსხვავება "ერთნაირსა" და "საერთოს" შორის. საერთო მიზანს საფუძვლად უდევს ადამიანთა პიროვნული ურთიერთობები. ხოლო როცა პირადული კონტაქტები ქრება მიზანი "საერთოდან" იცვლება "ერთნაირისკენ".

მიზნობრივ ჯგუფში უმნიშვნელოვანეს და შეიძლება ვთქვათ გადამწყეტ როლსაც კი თამაშობს ლიდერი. გაერთიანების შექმნის პერიოდში ის ხელს უწყობს ჯგუფის წევრების მიერ, თავიანთი ინტერესების გაცნობიერებას და ამრიგად უბიძგებს მათ გაერთიანებისკენ.

ლიდერი ხელმძღვანელობს თავის ხელქვეით პერსონალს, აგრეთვე გაერთიანების წევრებს, რომლებთაც უჩვენებს გაერთიანების რეალიზაციის გზებს. ლიდერის მიზანია წევრებს შეუქმნას და შეუნარჩუნოს პოზიტიური განწყობები მთლიანად გაერთიანებისადმი, მისი მიზნებისადმი, ინსტიტუტებისა და ფასეულობების მიმართ. ლიდერის განსაკუთრებული ნიშან თვისებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია გაერთიანების ინტერესების ხასიათი და შინაარსობრივი ამოცანა. ყველა მიზნობრივ ჯგუფში წარმოიშობა კონფლიქტის მოვლენები, რომელსაც ახორციელებს ან ყველა წევრი (მცირე გაერთანება) ან ხელისუფლების სათავეში მყოფო ჯგუფი(დიდი გაერთიანება). ლიდერის როლში დაფარულია იმის საფრთხე, რომ იგი გადაიქცევა გაერთიანების მიზნის შეზღუდულ ფანატიკოსად, რომელიც საკუთარი თავისგანაც და წევრ-ებისგანაც უკომპრომისოდ მოითხოვს სტატუსით ჩამოყალიბებული პრინციპებისა და მიზნების რეალიზაციას, არ შესწევს მოქნილი მოქმედების უნარი, რათა არსებული მდგომარეობა გამოიყენოს თავის სასიკეთოდ. იგი მთელ საქმიანობას წარმართავს ისეთი მიმართულებით, რომელიც შეცვლის გაერთიანების პრინციპულ მიზნებს. ამიტომ ბრძოლა ლიდერებსა და სხადასხვა კონცეფციისა და მიზნების ინტერპრეტაციებს შორის საყოველთაო მოვლენაა მიზნობრივ გაერთიანებაში.

თუმცა კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ლიდერებს შორის, არამედ ჯგუფის წევრებს შორისაც, ამიტომ წევრთა შინაგანი შეკავშირების და ინტეგრაციის პრობლემა, ინტერესთა ერთობის ხაზგასმა, წევრების პოზიტიურ განწყობათა და მისწრაფებათა მობილიზაცია ლიდერთა უპირველეს და უახლოესს მიზანს წარმოადგენს. ის ამ მიზნის განხორციელებას ცდილობს სხვადასხვა გზებით. თუმცა ყველაზე აპრობირებული და წარმატებული მეთოდია სტიმულების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. ეს სტიმულები კი შეიძლება იყოს: ლოზუნგები, ფრაზები, მოწოდებანი, გარკვეულ

მოვლენებისთვის სიმბოლური ხასიათის მინიჭება, საპატიო ტიტულებისა და ორდენების გადაცემა და ა.შ. ამ ყველაფერის კარგად წარმოსადგენად დაგვეხმარება გავიხსენოთ ჩვენ სოციუმში არსებული ორგანიზაციები და ინსტიტუტები აქტივობის ამაღლებისთვის რა სისტემით მოქმედებენ. რაზე ამახვილებენ ყურადღებას და რას მიიჩნევენ ისეთად, რაც ნამდვილად წარმატებულად მოქმედებს საზოგადოებაზე.

ლიდერობა ისეთივე ძველი ცნებაა როგორც კაცობრიობა. იგი უნივერსალური და გარდაუვალია, არსებობს ყველგან, სადაც კი რამდენიმე ადამიანია გაერთიანებული საერთო ინტერესებითა და მიზნებით, არაფორმალურ ორგანიზაციებში, კომპანიებსა თუ ქუჩის ბანდებში. იმისათვის რათა იარსებოს ლიდერმა, აუცილებელია ჯგუფის არსებობა და ლოგიკურია რომ არ არსებობს ლიდერი ჯგუფის გარეშე და ჯგუფი ლიდერის გარეშე.

არსებობს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც თავისებურად აღიქვამენ ლიდერის ფენომენს, ამტკიცებენ საკუთარ მოსაზრებას არგუმენტებით და ზოგჯერ წინააღმდეგობაშიც მოდიან ერთმანეთთან რაც აბსოლუტურად ნორმალურია, რადგან აზრთა დიფერენციაცია და ინდივიდუალიზმი ხომ ყველაზე დიდი და ფაქიზი მონაპოვარია თანამედროვე დემოკრატიის.

<u>ნიშან-თვისებების თეორია</u>

ნიშან-თვისებების თეორიის მიხედვით ლიდერი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ისეთ განსაზღვრულ თვისებათა ერთობლიობას, რაც გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ეს თეორია ადამიანის გამორჩეული თვისებების საფუძველზე ცდილობს ლიდერობის ფენომენი ახსნას. ლიდერისთვის აღნიშნული თეორია დამახასიათებლად თვლის: ინტელექტს, ყურადღების მიქცევის უნარს, კომუნიკაბელობას, ორატორულ ნიჭს, იუმორის გრძნობას, მახვილგონიერებას, მიზანსწრაფულობას, მჩქეფარე ენერგიას, ორგანიზაციულ ნიჭს, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს, გარკვეულწილად ფიზიკურ აღნაგობას, ადმიანებში ნდობის მოპოვების უნარს. ხშირად თვით ეს თვისებებიც წიანააღნდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. მაგალითად, ერთნი თვლიან, რომ ლიდერი უნდა ფლობდეს დიდ ინტელექტს, გამჭრიახობას, ფუნდამეტური აზროვნების უნარს ვიდრე ჯგუფის სხვა წევრები. მეორენი კი პირიქით, ხაზს უსვამენ, რომ ბრწყინვალე გონება სრულებითაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან მას ჩვევია დაეჭვება, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს კი ძალუძთ წინ აღუდგნენ ჯგუფის ზეწოლას და ამდენად ლიდერნი საზოგადოებიდან გარიყულნიც კი შეიძლება გახდნენ რადგან ისინი არიან არა მოაზროვნენი, არამედ უპრინციპო კონფორმისტები.

ნიშან-თვისებების თეორია ვერ ითვალისწინებს იმას, რომ სხადასხვა ეპოქაში, განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ძალები მოითხოვენ ლიდერებს, რომლებიც ამ ზოგად ნიშნებთან ერთად სპეციფიკურ თვისებებსაც უნდა ფლობდეს. ამ თვისებებთა ერთობლიობა მნიშვნელოვნად იცვლება იმის და მიხედვით, თუ რომელი ისტორიული ეპოქაა, რომელ ქვეყანასთან თუ კონკრეტულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. დღესაც კი ის პიროვნული თუ სოციალური თვისებები, რომელიც იძლევა პოლიტიკური თუ არა პოლიტიკური წარმატების შანს არსებიათად განსხვავდება. მაგალითად გერმანიაში, თურქეთში, საქართველოსა და შუა აზიის ქვეყნებში. გარდა ამისა მონაწილეობა ახალ პროცესებში თვისთავად იწვევს ახალი თვისებების ფორმირებას და განმტკიცებას, რომელიც აუცილებელია ლიდერის როლის

შესასრულებლად, ამასთან, ლიდერის ქცევის სტილი და მანერა გარკვეული სოციალური პირობების ზეგავლენას განიცდის.

სიტუაციური კონცეფციის თეორია

სიტუაციური კონცეფციის თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად, რომელიც ქმნის კიდევ მოთხოვნილებებს, დაბრკოლებებსა და შესაძლებლობებს ლიდერისა და მისი მიმდევრებისთვის. სიტუაციური თეორია ამოდის ლიდერობის ფარდობითობისა და მრავალგვარობისაგნ. ლიდერი განსაზღვრული სიტუაციის ფუნქციაა.

ლიდერობა სოციალურ სიტუაციაზეა დამოკიდებული, ამიტომ ადამიანი, რომელიც ერთ სიტუაციაში აღმოჩნდა ლიდერის ამპლუაში, სავალდებულო არ არის იყოს ასევე ლიდერი სხვა სიტუაციებშიც. სწორედ კონკრეტული გარემოება და ვითარება განაპირობებს პოლიტიკურ ლიდერთა შერჩევას. ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური სიტუაცია დიდად განსაზღვრავს იმას თუ როგორი ტიპის ლიდერებს ექნებათ უპირატესობა. სიტუაცია, რომელიც იყო საქართველოში 1987-1991 ქლებში, მოითხოვდა უფრო ძველი ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიდერს, რომელიც ხალხს ეროვნულ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეცვლილმა ვითრებამ მოითხოვა არა მებრძოლი, არამედ სიტუაციის მასტაბილერებელი და აღმშენებელი ლიდერები. რასაკვირველია ყველაფერი სიტუაციის არ უნდა "გადავაბრალოთ". ეს კონცეფცია არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ არა მხოლოდ სიტუაცია ბადებს ლიდერს არამდ ძლიერ პიროვნებებსაც ძალუძთ სიტუაციის შექმნა. დიდი ლიდერი "გრძნობს" სიტუაციას და იცის როდის შეიძლება მისი გამოყენება. მას აქვს უნარი სწორად და თავის დროზე შეაფასოს და შეცვალოს სიტუაცია, იპოვოს მწვავე პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

საკითხავია 90-იანი წლების ბოლოს ჩვენი ქვეყნის "ჩვენი ლიდერი" მართლაც ამ მისიით იყო მოვლენილი ქვეყანას, რომ სტაბილიზაციისთვის შეეწყო ხელი და "ასეც გააკეთა" თუ უბრალოდ ამგვარად იყო დაგეგმილი იქ, სადღაც (ბუნებრივია განგება არ იგულისხმება) შეერჩიათ ვინმე, განურჩევლად მისი ლიდერული პოტენციალისა, ქარიზმისა და ა.შ. იდეალისტები (ან მისი "ლიდერისტები") თუ იტყვიან, რომ სამშობლომ მოითხოვა ის. არა უბრალოდ ეს დიდი პოლიტიკაა. პატარა ქვეყანაში დიდი ქვეყნის დიდი პოლიტიკა, რამაც ეს პატარა ქვეყანა კიდევ უფრო დააპატარავა დიდ ქვეყანას კი საშუალება მისცა "გათიშე და იბატონეს" პრინციპით ეხელმძღვანელა.

შემდეგი და ბოლო ლიდერი ჯერ-ჯერობით... მისი ხასიათი ქარიზმა და ენერგია ჩვენი ქვეყნის პირველი ლეგიტიმური მთავრობის ლიდერს მოგვაგონებს. მსგავსი რადიკალიზმი, ბრბოს ფსიქოლოგიის წარმატებული შესწავლა (გამოყენებისთვის), უშრეტი მჭევრმეტყველება, კონფორმიზმის სასტიკი უარყოფა, მაგრამ ნაკლები პატრიოტიზმი (ალბათ). აი რა ახასიათებს მას. ზემოთ აღნიშნული თეორიის კიდევ ერთი დადასტურება, სიტუაციამ მოითხოვა, ხალხმა აირჩია, თუმცა წინა პერიოდისგან განსხვავებით აქ სხვა სახელმწიფოს ასევე "სხვაგვარი" დიდი პოლიტიკაა. სამწუხაროდ ეს ყველაფერი ქართველი ხალხის მრავალტანჯულ მხრებზე გადადის.

ანალოგიური მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიო ისტორიის ნებისმიერი ორი (დროითი გაგებით დაშორებული) ეტაპის შედარებისას. ნამდვილი ლიდერია კოფი ანანი... ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, სოლიდარობის ერთგვარი სიმბოლო. კაცი რომელმაც უმცირესიდან უმაღლეს მიაღწია... მაგრამ მისი წარმოდგენა მე-10, მე-11, ან თუნდაც ნაპოლეონის ეპოქაში მხოლოდამხოლოდ ღიმილს იწვევს, რადგან ამ ეპოქებს არ სჭირდებოდა ის, არ არსებობდა მოთხოვნილება მსოფლიო საზოგადოებისა ერთ პირს ეხელმძღვანელა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, რომელსაც უფლება ექნებოდა ნებისმიერ ქვეყანაში ემოქმედა, რადგან თავის მხრივ ყველა ქვეყანა ვალდებულია ამ ორგანიზაციის წევრი იყოს.

ზემოთ აღნიშნული თეორია ერთ-ერთი ყველაზე ახლოსაა რეალობასთან. ეს ჩემი სუბიექტური თვალთახედვაა და გამოხატულება საკუთარი ინდივიდუალიზმის. ასე რომ შეიძლება არც დამეთანხმოთ.

კონსტიტუენტების და მიმდევართა თეორია

კონსტიტუენტების და მიმდევართა თეორია ლიდერობის საიდუმლოს ეძებს არა პიროვნებაში, არამედ მიმდევართა მოლოდინში და მოთხოვნებში, რომლებიც ამ მოლოდინების შესაბამისად მხარს უჭერენ ან უარყოფენ რეალურ ლიდერებს. ლიდერი ხდება ადამიანი, რომელიც ყველაზე უკეთ ახორციელებს ორიენტაციას სხვებზე. სწორედ რომ ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც მის ინტერესებსა და ორიენტაციას თუ მსოფლმხედველობას შეესაბამება. ლიდერს ხელმძღვანელობენ და ძალას აძლევენ მისი მომხრეები და მიმდევრები. კონსტიტუენტთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ვიწინასწარმეტყველოთ პოლიტიკური ლიდერის ქცევა, რომელიც ხშირად საკუთარი პოლიტიკური სიმპატიების ან ანტიპატიების საპირისპიროდ მოქმედებს.

კონსტიტუენტების მეშვეობით ვლინდება გაბატონებული პოლიტიკური კულტურის და უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა ღირებულებითი ორიენტაციებისა და მოლოდინების ზემოქმედება პოლიტიკაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური ლიდერების როლის მოსურნე პრეტენდენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ წარმატების იმედი მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მოლოდინებთან მათი იმიჯის დამთხვევის შემთხვევაში.

ამასთან დაკავშირებით მკვლევალები აღნიშნავენ, რომ ლიდერის ასეთი გაგება ვერ გვიხსნის ლიდერის მიერ გამოვლენილ ინოვაციებს, დამოუკიდებლობასა და აქტიურობას. თვლიან, რომ თანამედროვე პირობებში ლიდერი ხდება მოხერხებული კონფორმისტი და შემგუებელი "ტიპი", ანუ კარიერისტი, რომელიც თავის თავში აყალიბებს იმ თვისებებს, რომელიც კონიუქტურას შეესაბამება. იგი თავის თავს ეპყრობა, როგორც საქონელს, რომელიც რაც შეიძლება სარფიანად უნდა გაყიდოს. ასეთ ლიდერებს "ფლუგერებს" უწოდებენ. სწორედ მიმდევართა მოთხოვნილებებსა და განწყობილებათა მიმართ შემგუებლობაში, ჯგუფური ზეწოლის წიანააღმდეგობის გაუწევლობაში ხედავს მრავალი მკვლევარი თანამედროვე პირობებში ლიდერობის ფაქტორის შესუსტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. სინთეზური თეორია მოითხოვს გავითვალისწინოთ როგორც პიროვნების თვისებები და სპეციფიკური პირობები, რომელშიც იგი მოქმოდებს, ისე ჯგუფისა და მისი წევრების ხასიათიც.

ფსიქოლოგიური თეორია

ფსიქოლოგიური თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანის ფსიქიკა პირველადია. იგი დევს საზოგადოების ცხოვრების საფუძვლებში და განსაზღვრავს მას. ზიგმუნდ ფროიდის აზრით, ლიდერობის საფუძველია დათრგუნული ლიბიდო, როგორც უპირატესად სექსუალური ხასიათის არაცნობიერი ლტოლვა. სუბლიმაციის პერიოდში იგი ვლინდება შემოქმედებისადმი და მათ შორის ლიდერობისკენ მისწრაფებაში.

ლიდერობის სუბიექტური მიღება ჯერ კიდევ ბავშვობაში იწყება, როდესაც სჭირდება მფარველობა და მშობელთა ავტორიტეტი. ამ აზრით სახელმწიფოს ხელმძღვანელის ავტორიტეტი ოჯახის მამის ავტორიტეტს ემსგავსება. ფსიქოანალიტიკოსები ლიდერობას განიხილავენ როგორც ნევროზის განსაზღვრულ სახეს. მათი აზრით, საზოგადოება იყოფა ფსიქიკურად ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებად. სწორედ ამ უკანასკნელს ჰქონიათ ლიდერობის უნარი.

თუ გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებს ყურადღებით შევისწავლით ნათლად დავინახავთ რომ თითოეული მათგანი ბავშვობაში (ან შემდეგ) იტანჯებოდა ამა თუ იმ ფსიქიკური გადახრით. ასეთი მიდგომისას პიროვნების ფსიქიკური თავისებურებების არც აბსოლუტიზირება და არც დაუფასებლობა შეიძლება.

მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს უცნაური საკითხია ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობების გამო კომპლექსების გაჩენა რისი შედეგიც ხშირად ლიდერობისკენ სწრაფვით გამოიხატება. ფსიქოლოგები ამ მომენტს აკავშირებენ პოტენციური ლიდერის ჩაგვრით დამოკიდებულებაში საზოგადოებისგან. ადრეულ ასაკში მათ ცნობიერებაში არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენის გამო უყალიბდებოდათ მახინჯი ფსიქიკა, რასაც შემდეგ საზოგადოების მიმართ არნახული აგრესიით გამოხატავდნენ. კომპლექსის მიზეზი უამრავი შეიძლება ყოფილიყო. უმეტესად სოციალურ ნიადაგზე ჩაგვრა ან დისკრიმინაცია ქონებრივი ცენზის გამო. რაც შეეხება ფიზიკურ ნაკლს ის შეიძლება ყოფილიყო თუნდაც პიროვნების სიმაღლე. თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას დავინახავთ რომ დიქტატორთა უმრავლესობა მოკრძალებული სიმაღლისა იყო.

ვფიქრობ ზემოთ აღნიშნული ყველა თეორიას აქვთ უფლება იარსებონ, აქვთ უფლება ჰყავდთ მხარდამჭერნი, რამეთუ ჭეშმარიტების გარკვეულ ასპექტს ყოველი მათგანი ავლენს, თუმცა არა მთლიან ჭეშმარიტებას. ბუნებრივია ჩნდება სურვილი ოთხივე თეორიის გაერთიანების, რათა ჩამოვაყალიბოთ, ერთიანი უნივერსალური გაგება თუ აღქმა ლიდერის მეტად საინტერესო და რთული ფენომენისა. უნდა ვთქვათ რომ ამის მცდელობას ვაწყდებით და მიღებული შედეგი ცნობილია ინტერაქციონალური ანალიზის სახელით. თუმცა მას არაფერი მოუცია გარდა ზემოთ აღნიშნული თეორიების მექანიკური ჯამისა.

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. *იან შჩეპანსკი–"სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები"*
2. *ედუარდ კოდუა–"სოციოლოგია"*
3. *ნიკო ბერძენიშვილი–"პოლიტიკა და სოციოლოგია"*
4. *Enciklopedy 97;Enkarta(R);Microsoft production(1995-2000);*

ბაქარ ვერულაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-ტექნიკური.
სპეციალობა: სახელმწიფოს მართვის მოხელე.

"პოლიტიკური ლიდერი"

პოლიტიკის რაობის გარკვევა ერთ-ერთი ურთულესი ანალიტიკური პრობლემაა. ეს ცნება არაჩვეულებრივად ფართოა და როგორც მ. ვებერი იტყოდა, "მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს." ხშირად პოლიტიკურის ცნებით მოიაზრებან მიზანდასახულ საქმიანობას, ქმედებას, იქნება ეს სახელმწიფოს მეთაურის, პარტიისა თუ ფირმის მოქმედება. უფრო მეტიც, მასში აიგივებენ ჭკვიანი ქალის მოქმედებასაც კი, რომელიც ცდილობს, მართოს თავისი ქმარი. ზოგჯერ პოლიტიკურის ქვეშ აგრეთვე მოიაზრებენ "შესაძლებლის ხელოვნებას", ხშირად კი მას ახასიათებენ, როგორც "ბინძურ საქმეს." პლატონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა ესაა ადამიანის მიერ ადამიანთა მართვის სფერო, რომლის საფუძველი ერთდროულად არის როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება. არისტოტელეს აზრით, პოლიტიკა ეს არის ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, რამდენადაც მისი მეშვეობით ადამიანურ ურთიერთობებში ყალიბდება სამართლიანობა და მიიღწევა საერთო სიკეთე. პოლიტიკა და პოლიტიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია ძალაუფლების ფენომენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა ეს არის სფერო, რომელშიც სწორედ ძალაუფლებრივი ურთიერთობები ხორციელდება. პოლიტიკა ქმედებაა, რომელიც მიმართულია ძალაუფლების მოპოვების, შენარჩუნებისა და გამოყენებისაკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. მაკიაველის და მ. ვებერის შეხედულებები.

ნ. მაკიაველი ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლებისთვის ბრძოლისა და მისი გამოყენების ხელოვნებაზე, ტექნიკაზე, ხერხებსა და საშუალებებზე. იგი პოლიტიკას ახასიათებს, როგორც "საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რათა მოხვიდე ხელისუფლებაში, განიმტკიცო ძალაუფლება და სასარგებლოდ გამოიყენო იგი."

მ. ვებერის მიხედვით, "პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისკენ; სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, თუ ერთი სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის." პოლიტიკის საზღვრებს ვებერი მხოლოდ სახელმწიფოთი საზღვრავს, რამეთუ მიაჩნია, რომ "პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა". ძალადობაზე ლეგიტიმური და აღიარებული უფლება კი მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. მარტო ისეთი სოციალური წარმონაქმნები რომ არსებულიყო, რომელთათვისაც უცნობია ძალადობა, მაშინ, ვებერის აზრით, უკუგდებული იქნებოდა "სახელმწიფოს" ცნება და დაისადგურებდა ისათი რამ, რასაც "ანარქიას" უწოდებენ. ძალადობა კი სახელმწიფოს სპეციფიკური ღონისძიებაა.

პოლიტიკა, როგორც თეორიული დისციპლინა, მოწოდებულია, ნათლად განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს შორის არსებული რთული კავშირები და მიმართებები, ისეთები, როგორიცაა: სახელმწიფოებრივი აგებულება, ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა. დ. ჰელდის აზრით, "პოლიტიკა არის სოციალურ ჯგუფთა, ინსტიტუტთა და საზოგადოებათა საყოველთაო ურთიერთკავშირის (შინაგანის და გარეგანის)

ფენომენი, რომელიც მჭიდროდაა ასოცირებული ადამიანური საქმიანობის ყველა სოციალურ და კერძო სფეროსთან. პოლიტიკა წარმოადგენს მთელი ადამიანური ცხოვრების შემადგენელ ნაწილს, საზოგადოების წარმოებისა და კვლავწარმოების აუცილებელ განზომილებას. პოლიტიკა, ესაა მეცნიერება სოციალურ აგენტთა და ინსტიტუტთა "გარდამქმნელი შესაძლებლობების" შესახებ, მისი საგანი სრულებით არაა მხოლოდ მთავრობის ან მთავრობების საქმიანობა".

კ. შმიტი ხაზს უსვამს პოლიტიკის კონფლიქტურ ბუნებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის კონსენსუსურ რაობას, რომელიც მდგომარეობს წესრიგისა და სამართლიანობის დამკვიდრებაში. მეცნიერის აზრით, "სპეციფიკური პოლიტიკური განსხვავება, რომელზეც შეიძლება დავიყვანოთ პოლიტიკური მოქმედება და მოტივები – არის მეგობრისა და მტრის განსხვავება. ისევე, როგორც შეუძლებელია ერთმანეთში აგვერიოს კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება მშვენიერისა და მახინჯის დაპირისპირებაში, ასევე შეუძლებელია ავურიოთ ისინი მეგობარი-მტრის დაპირისპირებაში. იმის სწორი შემეცნებისა და გაგების შესაძლებლობა, თუ ვინ არის მტერი და ვინ – მეგობარი, მით უფრო სრულფასოვანი მონაწილეობა განხილვისა და მსჯავრის გამოტანაში გვეძლევა მხოლოდ ეგზისტენციალური მონაწილეობითა და თანაზიარობით. კ. შმიტის აზრით, ექსტრემალური კონფლიქტური შემთხვევა შეუძლიათ ერთმანეთს შორის მოაგვარონ მხოლოდ თავად მონაწილეებმა. ის, "რომ ხალხები ჯგუფდებიან "მეგობარი-მტერი" დაპირისპირების მიხედვით, რომ ეს დაპირისპირება დღესაც ნამდვილია და როგორც რეალური შესაძლებლობა ეძლევა ყოველ პოლიტიკურად არსებულ ხალხს - ამის გონივრული წესით უარყოფა შეუძლებელია."

"პოლიტიკურს შეუძლია, თავისი ძალა ამოიღოს ადამიანური ცხოვრების განსხვავებული სფეროებიდან, რელიგიური, ეკონომიკური, მორალური და სხვა დაპირისპირებულობიდან, პოლიტიკური ნიშნავს არა რაიმე საკუთარ საგნობრივ სფეროს, არამედ მხოლოდ ადამიანთა ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსიურ ხარისხს და დონეს, ადამიანებისა, რომელთა მოტივებიც შეიძლება იყოს რელიგიური, ეროვნული, ეკონომიკური, ან სხვადასხვა პერიოდში თავს ავლენდნენ განსხვავებულ შეერთებებსა და დაშლებში. "სანამ ხალხი არსებობს პოლიტიკურის სფეროში, მან უნდა დამოუკიდებლად განსაზღვროს მტრისა და მეგობრის განსხვავება. თუ მას მეტად აღარ აქვს ამ განსხვავების უნარი ან ნება, მაშინ იგი წყვეტს პოლიტიკურად არსებობას.

ამგვარად, კ. შმიტი "პოლიტიკურის" ცნებას საგარეო პოლიტიკის მიმართებაში აყალიბებს. შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირება მხოლოდ ძალიან ვიწრო გაგებით შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიტიკური. საშინაო პოლიტიკა - ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით მოიაზრება მხოლოდ როგორც სამოქალაქო ომი. "არსად ისეთი ხარისხით არ ბობოქრობს ვნებები, არ ეჯახება ხასიათები, არ ვლინდება მზაობა რისკზე წასასვლელად, როგორც პოლიტიკაში". პოლიტიკა არის ადამიანური პრაქტიკის სახე, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ზემოქმედებენ სოციალურ გარემოზე, ხელახლა ჭრიან თავიანთ ბედს, იცვლიან თავის სტატუსს საზოგადოებაში. პოლიტიკა ერთერთი ურთულესი სოციალური მოვლენაა, რომელსაც მრავალი ფუნქცია და თვისება აქვს. ფუნქციებს ორ - "შემავალ" და "გამომავალ" ჯგუფებად ყოფენ. "შემავალი" ფუნქციები გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს საზოგადოება პოლიტიკაზე, ხოლო "გამომავალი" ფუნქციები კი იმას, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაზე.

ამგვარად, პოლიტიკის საზოგადოებაზე გავლენის სფეროები შეუზღუდავია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს საზღვრები. მართალია, "თითქმის ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა შეიძლება იქცეს პოლიტიკურად იმ შემთხვევაში, თუ, პოლიტიკურ ლიდერთა აზრით, იგი ეხება მთელი საზოგადოების ინტერესებს და მოითხოვს ყველა მოქალაქისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს. პოლიტიკა -ესაა საზოგადოების ცნობიერი თვითრეგულირების ინსტრუმენტი, მაგრამ თუ პოლიტიკას ყველგან არ აქვს საზღვრები, მაშინ ასეთი რამ ტოტალიტარიზმია და ამდენად, გაუმართლებელია, მაგრამ მას აქვს საზღვრები, რომლის იქითაც იგი ვერ ჩაერევა. ასეთი სფეროები, უწინარეს ყოვლისა, არის სამოქალაქო საზოგადოება თავისი საბაზრო ეკონომიკით, კულტურული, რელიგიური, ოჯახური და თავად პოლიტიკური ცხოვრებით, ადამიანის უფლებებით და სხვ.

პოლიტიკაში ყველაზე არსებითი ძალაუფლებისთვის ანუ ბატონობისათვის ბრძოლაა. თუ ისევ მ. ვებერს დავესესხებით, პოლიტიკა ხომ სხვა არაფერია, "თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისთვის, სულ ერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, თუ რომელიმე სახელმწიფოს შიგნით - ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ის, ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება - სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად "მხოლოდ ძალაუფლების გულისათვის", რათა დატკბეს პრესტიჟულობისათვის იმ გრძნობით, რასაც ადამიანს იგი ანიჭებს. პოლიტიკაში კი ძალაუფლებისათვის ბრძოლაა უმთავრესი.

უპირველეს ყოვლისა ძალაუფლება ადამიანთა შორის სოციო-ფსიქოლოგიური დამოკიდებულებაა, რომელიც გულისხმობს ორმხრივ ვალდებულებას იმათ შორის, ვინც ძალაუფლებას ფლობს და ვისზეც ეს ძალაუფლება ვრცელდება. ამგვარად, ძალაუფლება, რომელიც ყველაზე უკეთ ბატონობაში, ანუ გარკვეული ბრძანებისადმი დამორჩილების შანსში გამოიხატება, გულისხმობს ურთიერთმოლოდინს ძალაუფლების მქონეთა და ძალაუფლების ადრესატთა შორის. ერთი მხრივ, ძალაუფლების მქონე მოელის, რომ მის მიერ გაცემულ ბრძანებებს დაემორჩილებიან, ხოლო ადრესატი თვლის, ანუ ელოდება იმას, რომ ბრძანებას ექნება ისეთი ხასიათი, რასაც ის მოელის, ანუ აღიარებს. უზოგადესი გაგებით, ძალაუფლება, ესაა ინდივიდის (ინდივიდების) უნარი, გააკონტროლოს მეორე ინდივიდის (ინდივიდების) მოქმედება. მ. ვებერის აზრით, ადამიანი შეიძლება არც კი ესწრაფოდეს ძალაუფლებას მხოლოდ ერთი – ეკონომიკური გამდიდრების მიზნით. ძალიან ხშირად ძალაუფლებისკენ მისწრაფებას, შენიშნავს ვებერი, განაპირობებს სოციალური "პატივი", რომელიც თან სდევს და მოჰყვება ძალაუფლებისკენ სწრაფვას. მიუხედავად ამისა, არა ნებისმიერ ძალაუფლებას მივყავართ სოციალურ "პატივისცემასთან". ძალაუფლება არც მხოლოდ ნებაზე დაიყვანაბა და არც მხოლოდ მისი შემადგენელი მხარეების გაცნობიერებული დამოკიდებულებების ერთობლიობაზე. თუ ძალაუფლება მხოლოდ ძალაუფლების "ნებაა", მაშინ მისი დეტერმინაცია გამორიცხულია, ხოლო თუ იგი წარმოუდგენელია მმართველსა და მორჩილს შორის აქტიური და გაცნობიერებული ურთიერთდამოკიდებულებების გარეშე, მაშინ მის შემადგენელ მხარეთა მიზნების განმარტება, როგორც აბსოლუტური თვითნებობის გამოხატულებისა, შეუძლებელია. ძალაუფლება მუდამ დამოკიდებულია იმ რესურსებზე, რომელთა გამოყენებაც ძალაუფრებრივ

ურთიერთობაში შემავალ სუბიექტებს ძალუძთ. სახელმწიფო და ძალაუფლების ყოველი სახე ძალადობის აპარატებია, იძულების ორგანიზებული ფორმებია, მაგრამ მხოლოდ იძულებასა და ძალადობაზე ყურადღების გამახვილება და ნებაყოფლობითი მორჩილების უგულებელყოფა ან მეორეხარისხოვნად ჩათვლაც კი არ არის სწორი და, შეიძლება ითქვას, მეორე უკიდურესობაა ძალაუფლების გაგებაში.

ძალაუფლება ახლოს დგას გავლენასთან. უწინარეს ყოვლისა, გავლენა - ესაა სხვა ინდივიდების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე ზემოქმედების უნარი, როგორც ყოველგვარი ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის, ისე ავტორიტეტის გარეშე. ერთი ინდივიდი შეიძლება მეორეზე ზეგავლენას ახდენდეს პრესტიჟის, პატივისცემის, სიყვარულისა და ერთგულების საფუძველზე.

ლიდერობა ისეთივე ძველი ცნებაა, როგორც კაცობრიობა. იგი არსებობს ყველგან, სადაც რამდენიმე ადამიანი გაერთიანებულია საერთო მიზნებითა და ინტერესებით – არაფორმალურ ორგანიზაციებში, კომპანიებსა და ქუჩის ბანდებში, მასობრივ დემონსტრაციებში. ლიდერობის არსებობისათვის აუცილებელია ჯგუფის არსებობა და ყველგან, სადაც წარმოიქმნება ჯგუფები, ვლინდებიან კიდეც ლიდერები.

ლიდერობის მრავალი სახე არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი *პოლიტიკური ლიდერობაა.* უნდა აღინიშნოს, რომ იგი არსობრივად და ფორმით ძალაუფლების ფენომენია. როგორც ჟ. ბლონდელი წერს, "ლიდერობა–ესაა ძალაუფლება, იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს "მწვერვალზე" მყოფი ერთი ან რამდენიმე პირის უნარს, აიძულოს სხვები, გააკეთონ ის პოზიტიური ან ნეგატიური, რასაც ისინი გააკეთებდნენ ან არა, ან საბოლოო ანგარიშით, შეეძლოთ არ გაეკეთებინათ საზოგადოდ." ამ განსაზღვრებაში არ ჩანს, რომ ლიდერობასთან კავშირი აქვს არა ყველა სახეს. მასთან უშუალო შეხება აქვს მხოლოდ იმ ძალაუფლებას, რომელიც ხორციელდება მთელს ერსა თუ ხალხზე.

პოლიტიკური ლიდერი "მცირე ჯგუფის" ლიდერისგან გამოირჩევა დისტანციურობით. მრავალროლურობით და კორპორაციულობით. ამგვარად, პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს ძალაუფლების მქონე ერთი ან რამდენიმე პირის მუდმივ, პრიორიტერულ და ლეგიტიმურ გავლენას მთელს საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე, ორგანიზაციასა და სოციალურ ჯგუფზე. მ. ვებერმა გამოყო პოლიტიკური ლიდერის სამი ტიპი: *ტრადიციული, რაციონალურ–ლეგალური და ქარიზმატული.*

ტრადიციული ტიპის ლიდერის ავტორიტეტი ემყარება ტრადიციის სიწმინდესა და უცვლელობას.
რაციონალურ-ლეგალური ტიპის ლიდერის ავტორიტეტი დაფუძნებულია არსებული წესრიგის ლეგიტიმურობასა და ინდივიდის საქმიან კომპეტენციაზე. ასეთ ლიდერებს ირჩევენ დემოკრატიული გზით.

ქარიზმა ყალიბდება ლიდერის რეალური უნარებისა და იმ თვისებებისგან, რომლითაც აღჭურვავენ მას მისი მიმდევრები. *ქარიზმატულ* ლიდერს მიეწერება ღვთაებრივი უნარები. ურთიერთდამოკიდებულება მასა და მის მიმდევრებს შორის ემოციური და, შეიძლება ითქვას, მისტიკურია. რამდენადაც ქარიზმატული ლიდერი არ არის დაკავშირებული და დამოკიდებული წარსულზე, ამდენად ძალუძს მასების მობილიზება საზოგადოების სოციალური განახლების მიზნით. იგი, უბრალოდ თავისი

არსებობითაც კი, იმედსა და რწმენას უნერგავს ხალხს, რომ გარდაქმნებს წარმატებები ექნება.

პოლიტიკური ლიდერების ვ. პარეტოსეული ტიპოლოგია ნ. მაკიაველის ნააზრევიდან მომდინარეობს. იგი ლიდერებს *"ლომებად"* და *"მელიებად"* ყოფდა .

"*მელიას*" ტიპის პოლიტიკოსი ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორიცაა ლავირების, ხდომილებათა მიმართულების წინასწარი გამოცნობის, თავისი ჭეშმარიტი მიზნებისა და ზრახვების დაფარვის უნარი. ის ეშმაკია, ფრთხილი, შეუძლია მისთვის დაგებულ ხაფანგებს გვერდი აუაროს.

"*ლომის*" ტიპის პოლიტიკოსი ყველაზე ხშირად მოქმედებს ძალით, სწორხაზობრივად და ყველაზე ხშირად ებმევა ხაფანგში. მისი ძირითადი პრინციპია, მოწინააღმდეგე დაამარცხოს გადამწყვეტ მომენტში ღია ბრძოლისას.

რასაკვირვალია, იდეალური ტიპის პოლიტიკოსი იქნებიდა ის, ვინც ორივეს თვისებებს ერთდროულად შეითვისებდა. საქმიანობის მიხედვით არჩევენ ლიდერის ორ ტიპს: *იდეოლოგ–პოლიტიკოსს და რომანტიკოს–პოლიტიკოსს.*

სინამდვილისადმი დამოკიდებულების მიხედვით ახასიათებენ ლიდერის სამ ტიპს: რეალისტის, ფანატიკოსისა და რომანტიკოსის ტიპებს, და ბოლოს პოპულარული ლიდერის ტიპს.

როგორც ცნობილია, პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. *რეალისტი* პოლიტიკოსი "საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ადეკვატური მიზნებისა და ამოცანების წამოყენებისას ამოდის ობიექტური რეალობიდან, ძალთა არსებული თანაფარდობიდან, მასების შეგნებულობის დონიდან, დასმული ამოცანების შესასრულებლად მათი მომზადებულობის ხარისხიდან."

ფანატიკოსი პოლიტიკოსი ხელმძღვანელობს თავისი იდეოლოგიური მიზანსწრაფვებით, ცდილობს საზოგადოებისთვის იდეების თავს მოხვევას ისე, რომ ანგარიშს არ უწევს რეალობას. იგი არაფერზე უკან არ იხევს, რათა მიაღწიოს თავის მიზნებს.

ლიდერ–რომანტიკოსს დასაწყისში შეუძლია შთააგონოს, გაიტაცოს ხალხთა მასები ნათელი და მიმზიდველი იდეებით, ოცნებების ცხოვრებაში განხორციელების დაპირებებით. ასეთი ტიპის ლიდერს არ აქვს განვითარებული შეცვლილ პირობებში ადეკვატური რეაგირების და თავისი მოქმედებების კორექტირების უნარი. შეცვლილი პირობები რომანტიკოსს აბნევს, ამ შემთხვევაში იგი მოქმედებს გაუაზრებლად, ზერელედ.

პოპულიზმი და პოპულისტი პოლიტიკოსები ყოველ დროსა და ყველა ქვეყანაში არსებობენ, მაგრამ ისინი აქტიურდებიან საზოგადოების განვითარების გარდამტეხ ეტაპზე. პოპულისტი "ბრბოს კერპია", მის აღფრთოვანებასა და უდიდეს მხარდაჭერას იწვევს. პოპულისტი მოხერხებულად იყენებს საქმის რეალურ ვითარებას, ან რომელიმე პოლიტიკური ლიდერით მასების უკმაყოფილებას, სპეკულირებს რომელიმე იდეით. ხშირად ამარტივებს ურთულეს პრობლემებს და ამძაფრებს ხალხთა უკმაყოფილებას, სასწაულის მოლოდინს, თითქოს შესაძლებელია მიზანთა სწრაფი მიღწევა მარტივი და უმოკლესი გზით. დღეს ყველაზე მიღებულ და

გავრცელებულ შეხედულებას ლიდერთა ტიპების შესახებ მის ორ – ავტორიტარულ და დემოკრატიულ - ტიპებად დაყოფა წარმოადგენს.

ავტორიტარული ლიდერობა. დემოკრატიული ლიდერისგან განსხვავებით, ავტორიტარული ლიდერი ხელში იღებს ძალაუფლების მაქსიმუმს. იგი ერთპიროვნულად იმუშავებს და განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას, ადგენს გეგმებს. მხოლოდ ის ერთი არის ყველა შემთხვევაში საბოლოო ინსტანცია, უზენაესი მსაჯული. ჯგუფის ყოველი მონაწილის ბედი ლიდერის ხელშია. ავტორიტარული ლიდერი ყველანაირად ავითარებს თავისი აბსოლუტური ძალაუფლების ხერხებს და აქტიურად უპირისპირდება მისი აბსოლუტიზმის ნებისმიერ ხელყოფას. ავტორიტარული ლიდერი ხელს უწყობს ჯგუფური სტრუქტურის დანაწევრება–დაცალკევებას, რაც მას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს ჯგუფის წევრების ნებისმიერი ნაბიჯი.

დემოკრატიული ლიდერი, პირიქით, მიისწრაფვის, ჯგუფის რაც შეიძლება მეტი წევრი ჩართოს კოორდინირებულ საქმიანობასა და ჯგუფურ მიზანთა ერთობლივ განსაზღვრაში. იგი ერთ ადამიანს კი არ აკისრებს პასუხისმგებლობას, არამედ ანდობს ჯგუფის სხვა წევრებსაც.

თუ ავტორიტარულ ლიდერს ახასიათებს დიქტატორის ნიშან–თვისებები, მაშინ დემოკრატიული ლიდერი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ჯგუფის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც ყველას სახელით ლაპარაკობს.

დემოკრატიულ ლიდერს სჯერა ხალხის, სწამს მისი ძალა, ამიტომ უკეთებს ორგანიზებას თავისი ჯგუფის საქმიანობას. ჯგუფში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისას იგი მოქმედებს უფრო მეტად დარწმუნების, ვიდრე იძულების წესით.

ავტორიტარული ლიდერი ძალაუფლებისმოყვარე და აგრასიულია. იგი აღმერთებს დისციპლინას, გამოირჩევა ხელქვეითთა დათრგუნვის მიდრეკილებებით. ის არ ენდობა ხალქვეითებს და არც ესწრაფვის მათთან ორმხრივი მუდმივიკავშირ–ურთიერთობის დამყარებას, მხოლოდ განკარგულებების, ბრძანებების გაცემითა და მათი შესრულების კონტროლით შემოიფარგლება.

ამგვარად, ლიდერი გამოხატავს სოციალური ჯგუფისა თუ მთელი ხალხის აზრებს, იმედებსა და მისწრაფებებს. ერთი მხრივ, იგი უფრო თავისუფალია, ვიდრე მისი მიმდევრები, მაგრამ ამავე დროს, მთლიანად დამოკიდებულია მიმდევრებზე. ის არსებით როლს თამაშობს გარემომცველი სინამდვილის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მნიშვნელოვანი ხარისხით თვითონაა ამ სინამდვილის პირმშო. ნამდვილი ლიდერი, ერთი მხრივ, აკონტროლებს და მართავს გარემომცველ სამყაროს, ხოლო მეორე მხრივ, თვითონაა ამ სამყაროს მორჩილი და მსახური.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკო ბერძენიშვილი–"პოლიტიკა და სოციოლოგია"
2. ე. სმელზერი–"სოციოლოგია"

დავით აფრიდონიძე.
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: სამართლისა და სახელმწიფო მართვის.
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

"ლიდერი ისტორიულ საქართველოში"

ლიდერის ფენომენი ადამიანთა თუ ცხოველთა ყველა სახეობის ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი, რაც ალბათ, ბუნების კანონზომიერებაა.

კაცობრიობის განვითარების უდაბლეს საფეხურზე პირველყოფილი თემური წყობილების დროსაც კი, როცა ადამიანთა არსებობის ისტორიაში ყველაზე თანასწორი თანაცხოვრება იყო არსებობდნენ პირველნი თანასწორთა შორის ანუ ლიდერები. ეს იყო ბელადი, უხუცესი თუ სხვა.

ლიდერი ის პიროვნება, რომელსაც გააჩნია ამბიციაც და უნარიც მართოს და დააკმაყოფილოს სოციალური ჯგუფი და შეძლებისდაგვარად, ამისათვის მას უწევს ადამიანის თითქმის ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი პირველობის შესანარჩუნებლად. ლიდერები ქმნიან ეპოქებს და ეპოქები ქმნიან მათ.

რა თქმა უნდა, საქართველომაც გაიარა განვითარების საფეხურები სხვა საზოგადოებებთან მსგავსებით თუ საკუთარი თვითმყოფადობით.

აქ განვიხილავ მხოლოდ იმ ქართველ ლიდერთა მცირე ნაწილის მოღვაწეობას, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში და ეპოქალური მნიშვნელობის ღვაწლი მიუძღვით ქართული საზოგადოებისადმი.

ფარნავაზ მეფე.

შეიძლება ითქვას რომ ფარნავაზი ქართულ ხალხურ ცნობიერებასა და საისტორიო წყაროებში პირველ ლიდერად გვევლინება, რომელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქრ. მდე IV-III საუკუნეებში. საერთოდ უნდა ითქვას რომ საქართველოს ისტორია უმეტესად მეფე ლიდერთა ისტორიაა.

სტრაბონის აღწერილობიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გამოიყოფოდა წრე რომელიც ირჩევდა საკუთარ მეფეს. წრე რომელიც ლიდერს ირჩევდა უნდა ვიგულისხმოთ იმ სოციალურ ერთეულად, რომელიც მეფის ნათესაობას წარმოადგენდა. მეფედ იმას სვამდნენ, ვინც საგვარეულოში წინანდელი მეფის ყველაზე ახლობელი იყო წლოვანებით. მაშასადამე მეფის ხელისუფლება არ შეიძლება, რომ მამიდან უფროს შვილს გადასცემოდა. ამგვარად მეფის ხელისუფლების წესი იბერიაში პირდაპირ მემკვიდრეობაზე კი არა უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული. ლ.მროველის სიტყვით იბერიის სამეფოს საჭეთმპყრობელს, "მცხეთის მამასახლისი" უნდა ჰრქმეოდა და თითქოს ეს უნდა ყოფილიფო მისი სხვებისგან გამარჩეველი წოდება.

ამ ყველაფრის ფონზე კარგად ჩანს თუ რა დიდი ლიდერი იყო ფარნავაზი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის რომ რეალურად მისი გამეფება იყო იმ დროინდელი ტრადიციის უარყოფა, რადგან ის 27 წლის ასაკში გამეფდა. ეს კი უხუცესობის პრინციპის აშკარა დარღვევაა.

ფარნავაზს აღმოაჩნდა არნახული ორგანიზატორისა და სამხედრო საქმის ნიჭი. პატარა ასაკის მიუხედავად მას შეეძლო საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა ადამიანები. ეს კი მხოლოდ ლიდერთა ხვედრია. ფარნავაზის მიერ აზოს დამარცხება იყო წარმოუდგენელი რამ, რაც ყველა მოკვდავს არ შეეძლო. მეფობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ქუჯი ეუბნება ფარნავაზს:

"შენა ხარ შვილი თავთა მას ქართლისა და შენ გმართებს უფლობა ჩემი". ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს თუ რამხელა ავტორიტეტი ჰქონდა მას, იმიტომ რომ მეფობის პრეტენდენტი მას ასე აშკარად არაფერს დაუთმობდა. ბუნებრივია ქუჯი მარტო იმიტომ რომ ფარნავაზი მცხეთის მამასახლისის შთამომავალი იყო მას მთელ ქვეყანას არ მისცემდა.

"მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი".

ფარნავაზმა თანამებრძოლნი კი არ მოიცილა, არამედ თანადგომა დაუფასა და ერისთავობა მიანიჭა, ეს კი დემოკრატიული ლიდერის დამახასიათებელი თვისებაა და ყველას გვაოცებს ამიტომაც ეს ყველაფერი ხომ თითქმის 24 საუკუნის წინათ ხდებოდა. გასაოცარმა ალღომ და საკუთარ თავზე ყველაფრის აღების უნარმა ფარნავაზს ერთპიროვნული ლიდერობა გარანტირებული გაუხადა. მან 92 წლის ასაკამდე იმეფა.

ფარნავაზი თავის პოზიციას სულ უფრო და უფრო ამყარებდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის რომ, "ამან ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: „ესე არს არმაზი და ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქუა". აქედან გამომდინარე ჩანს რომ იბერიის მეფე კარგად გრძნობს თუ რა არის საჭირო საკუთარი ლიდერობის ხაზგასმისთვის–ეს რა თქმა უნდა, რელიგიაა.

დღევანდელი გადმოსახედიდან ფარნავაზი ავტორიტარულ ლიდერად გვევლინება, რომელმაც პირდაპირი მნიშვნელობით თავი გააღმერთა. ამ მოვლენაზე იბერიის მოსახლეობას პროტესტი არ გამოუთქვამს (ყოველ შემთხვევაში ისტორიას არ შემოუნახავს ამგვარი ფაქტი) რაც ფარნავაზის უდავო პირველობაზე მეტყველებს და ხაზს უსვამს მის მართლაც და დიდ პოტენციალს ქარიზმისას. თუმცა ეს გარკვეულად, ალბათ, ისტორიულმა პერიოდმაც განაპირობა.

ფარნავაზ მეფეს საისტორიო ტრადიცია ანბანის შექმნასაც მიაწერს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა თუ რამხელა რამ აიღო თავის თავზე ფარნავაზმა, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ისტორიის მიხედვით ამ დროს ქართველურ ტომებს ჰქონდათ საერთო ქართველური ენობრივი ძირი, რომელსაც სახელმწიფო ენის ფუნქცია ენიჭებოდა: "და არღარა იძრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა".

ასე რომ ფარნავაზს ჰქონდა იმ დროისთვის და არამარტო იმ დროისთვის დამახასიათებელი ლიდერის თვისებები რომლის რეალიზაცია მოახდინა ქვეყნის სასიკეთოდ და პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა ქართულ სახელმწიფოებრიობასა და თვითმყოფადობას.

დავით IV აღმაშენებელი.

საქართველოს უდიდესი ხელმწიფე(1089-1125), უბრწყინვალესი მხედარმთავარი, მრავალმხრივი რეფორმატორი და ორგანიზატორი, უგანათლებულესი მწიგნობარი და პოეტი. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ყველაფრისა რასაც საბოოლოდ ერთ დიდ ნიჭამდე მივყავართ–ეს არის უდიდესი ნიჭი ლიდერობისა. დავითი გამეფდა მამის სიცოცხლეშივე, რაც გარკვეულ ეჭვს ბადებს სახელმწიფო გადატრიალების შესახებ.

თუ მართლაც მოახდინა 16 წლის დავითმა გადატრიალება ეს კიდევ უფრო მიუთითებს მის უდუდეს ოგანიზატორულ ნიჭზე რაც მხოლოდ ლიდერებს აქვთ (თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ მას, რა თქმა უნდა, უძლიერესი ზურგი ეყოლებოდა. სხვაგვარად წარმოუდგენელი და აფსურდია). დავითმა საქართველო ჩაიბარა კატასტროფულ მდგომარეობაში. თურქ-სელჩუკებისგან მიწასთან გასწორებული, ფეოდალურად დაქუცმაცებული და დაკნინებული.

„ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოფხვრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმა საქმითა, სახელ-მოდგმამან, დავით, ღმერთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათერმეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავიღ"... ამგვარად აღგვიწერს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი. მეფემ ქართველი პატრიოტებისგან შეადგინა საკუთარი ჯარი-გვარდია(მონა-სპა) და დაიწყო ბრძოლა თურქთა გასადევნად. გაანადგურა უძლიერესი კლდეკარის ერისთავები ლიპარიტ და რატი ივანეს ძე, ასევე ძაგან ერისთავი. რეფორმატული ნიჭი მართლაც უხვად აღმოაჩნდა დავითს. ის სწორედ იმ დროს მოღვაწეობდა როცა მხოლოდ რეფორმა იხსნიდა ქვეყანას გასაჭირიდან. უდიდესი პოლიტიკური თუ მორალური მნიშვნელობა მიენიჭა რუის-ურბნისის კრებას, სადაც ხაზი გაესვა მეფის უზენაესობას და აღიკვეთა ყოველგვარი "უღირსი საქმენი". თანამდებობებზე განაწესა არა წარმომავლობით არამედ თავიანთი საქმეთა მიხედვით, რაც მართლაც წარმოუდგენელი იყო რადგან ის არ მოექცა სხვათა ზეგავლენის ქვეშ, ეს კი მხოლდ შეუპოვარ ლიდერთა ხვედრია.

დავითი იყო მეფე "აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელობით მპყრობელი". მისი, როგორც წინამძღოლის თუ ლიდერის ფუნქცია არამარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს მიღმაც მეტად მნიშვნელოვანი იყო. დავითი პიროვნულადაც ლიდერი იყო და არ სურდა ბიზანტიური ტიტულების ტარება. ის იყო პირველი ვინც ამ ტიტულზე უარი თქვა.

დავით აღმაშენებელი "მესიის მახვილად" იწოდებოდა-ეს კი მის ქარიზმზე მეტყველებს. შემორჩენილი ცნობებით ის თავისი ჯარით იერუსალიმის გასათავისუფლებლადაც იბრძოდა, ამით კი მის სახელს კიდევ უფრო საქვეყნოდ ცნობილს ხდიდა. დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის პროგრესული ლიდერი იყო. მეტად საინტერესოა მისი ილია ჭავჭავაძისეული შეფასება. "დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნოვანი კაცობითაც. იგი თავგადადებული მოყვარე თავის ერის და მართლმადიდებელი სარწმუნეობისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნებებისაც და სარწმუნეობისა, ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნეობის ერისა იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნეობისა

ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან".

სწორედ ამ საოცარი პიროვნული თვისებებით იყო გამოწვეული დავითის ლიდერობის შეურყეველი პოზიცია. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად აღიარა და მისი მოსახსენებელ დღედ 26 იანვარი დააწესა. ისტორიკოსები დავითის ასეთ წარმატებას ისტორიულ პერიოდს უკავშირებენ. საერთაშორისო ვითარება ქართველის სასიკეთოდ იყო, თუმცა რომ არა დავითის უდიდესი ნიჭი და პოტენციალი ლიდერობისა არაფერი გამოვიდოდა. დავითი უდიდესია უდიდესთა შორის. მან მთელი ეპოქა შექმნა.

თამარ მეფე

თამარ მეფე ასული გიორგი III - ისა, საქართველოს უდიდესი ხელმწიფე 1178(84)-1210წწ. განქმული ლეგენდარული სიმშვენიერით უზენაესი სიბრძნითა და უსპეტაკესი ზნეობით.

გიორგი III-მ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეასრულა ფეოდალური საქართველოსთვის უპრეცენდენტო აქტი – საქართველოს ტახტზე აიყვანა თავისი ქალი – თამარი. „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხვედრისა შარავანდედთა მნებელისათა მეფე ჰყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა". პირველად ჰყავდა საქართველოს ქალი ლიდერი, ამის გამო ფეოდალებისათვის მიუღებელი იქნებოდა თამარის გამეფება და სწორედ ამიტომ გიორგი მესამემ თავისივე სიცოცხლეში გაამეფა თამარი. შოთა რუსთაველი ქალის გამეფებას ამართლებს ამ სიტყვებით „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". თამარს თავისი გონიერებით და ლიდერის ხასიათით ადრევე მიუქცევია თანამედროვეთა ყურადღება. ხაზგასმით აღუნიშნავთ თანამედროვეებს, რომ თამარი, მცირე ასაკის მიუხედავად, გამოირჩეოდა „გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერითა, ცნობიერითა, გონიერითა და შუენიერითა". ამიტომ იყო რომ ორბელთა ამბოხების ჩახშობის შემდეგ გიორგი III-მ თამარი თანამმართველად გაიხადა. გიორგი III გარდაცვალების შემდეგ დიდგვაროვნებმა თამარის ხელახლა კურთხევა მოინდომეს მათი უპირატესობის განმტკიცებისთვის. თამარი ამ შემთხვევაში დათმობაზე წავიდა. თამარის წინააღმდეგ გამოვიდა ყუთლუ-არსლანის დასი, რომელიც საკანონმდებლო ორგანო „კარავის" შექმნას და მეფისათვის მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების დატოვებას მოითხოვდა. თამარმა ეს წინააღმდეგობა დასძლია და ამის შემდგომ ახალგაზრდა მეფე – ქალმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი სახელმწიფოს მართვა – გამგეობას. მისი, როგორც ქვეყნის ლიდერის მიზანი იყო შეექმნა ძლიერი ფოდალური მონარქია. თამარი მტკიცე ნებისყოფით, მაღალი პოლიტიკური ნიჭითა და შორსგამიზნული დიპლომატიური გამჭრიახობით იყო დაჯილდოებული, რაც აშკარაა რომ ლიდერისათვის საუკეთესო თვისებებია. თამარმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღო. მისი ბრძანებით მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელისა და ვაზირის თანამდებობა გააერთიანა და სასულიერო პირები და საყდრები აღავსო შესაწირავითა გაათავისუფლა ეკლესიები ყოველგვარი ხარჯითა და ბეგრისაგან, რითაც მათი მხარდაჭერა მოიპოვა და პოზიცია გაიმაგრა. თამარი იყო წამომწყები და უშუალო მონაწილე სახელმწიფოს ყოველი „დიდი და მცირე" საქმისა და განზრახვისა. სამხედრო

ექსპედიციებსაც ზოგჯერ პირადად მიუძღოდა, როგორც მხედართმთავარი ან და ჩვევად ჰქონდა: გალაშქრების წინ ჯარს დალოცავდა, მთავარსარდალს სახელმწიფო დროშას ჩააბარებდა და ლაშქარს ერთხანს ფეხშიშველა გაუძღვებოდა ბრძოლის ველისაკენ, მობრუნდებოდა და ლოცვად დადგებოდა, ლაშქრის მშვიდობით და ძლევამოსილად დაბრუნებამდე.

მეფე თამარი განსაკუთრებით ელვარებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ გადაჭრა შუა საუკუნეებისათვის მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი – ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეთმპყობელი და მეფეთ-მეფე თამარის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ, თანამედროვეთა აზრით, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას. ყოველივე ამის გამო ხალხმა ხოტბა შეასხა თავის სათაყვანებელ დედოფალს. „აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელი“ – ასე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფე, თამარი, რომელმაც თავისი ზეობის პერიოდში, აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებით, ქმედითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით, განაგრძო ის მაგისტრალური გზა ქვეყნის განვითარება – აღმავლობისა, რომელსაც ასე წარმატებით ჩაუყარა საფუძველი დავით აღმაშენებელმა.

მის წარმატებულ ლიდერობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მასზე უამრავი ლეგენდა შეიქმნა, რომელთა მიხედვითაც თამარი მსოფლიოს მპყრობელია. საინგილოში არსებობს თქმულება საქართველოს მეფე – ქალის მიერ ისპაჰანის, სტამბოლისა და სხვა ქალაქების მის მოხარკედ გახდის შესახებ. მესხური გადმოცემით, მეფე თამარის შიშით თათრები ძალზედ იყვნენ შეწუხებულნი. იმერეთში ჩაწერილი ლეგენდის შესაბამისად, თამარის შიშით ხონთქარი და შაჰი ძრწოდნენ. ბუნებრივია, ეს გადმოცემები თამარ მეფის ძლევამოსილი ბრძოლების და გამარჯვების შემდეგ იქმნებოდა. მეფე თამარი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით პროგრესის შემოქმედი და მისი მატარებელი იყო. იგი, მიუხედავად სიმტკიცე – თვითმყრობელობისა, ლმობიერი და მშვიდობიანი ლიდერი იყო.

მეფე თამარი მიუხედავად ფეოდალთა არა ერთი წინააღმდეგობისა ახერხებს მათზე სამეფო ხელისუფლების რეალური უპირატესობის შენარჩუნებას, რისთვისაც აშკარაა საჭირო ერთპიროვნული ლიდერის პოლიტიკა. ის მთლიანად ემსახურებოდა სახელმწიფოს სიძლიერისა და მისი ხელისუფლების ცენტრალიზაციის საქმეს. ისტორია იქმნება სწორად იმ ლიდერთა მოქმედებისაგან, რომლებიც ჭეშმარიტი მოღვაწენი არიან. მეფე თამარი მსოფლიო ჭეშმარიტ მოღვაწეთა შორისაა. ამდენად, იგი იმ ლიდერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რეალურად ქმნიდნენ ისტორიას. თამარის მოღვაწეობამ საქართველოს უდიდესი წარმატება მოუტანა და იგი მტკიცედ დაამკვიდრა წინა აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყანათა რიცხვში. ქართველმა ხალხმა, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა, „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა ... მესიის თაყვანისმცემელი”.

ფეოდალურ საქართველოს ისტორიაში მხოლოდ მეფეები არ გვევლინებიან ლიდერებად. მეფეებისათვის ლიდერობა ხომ ისედაც თანმდევი მოვლენაა, ეს მათ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ

უფრო მეტად დასაფასებელია ისეთი პირების ლიდერობა, რომელიც თავიანთი მოღვაწეობის შედეგად მიაღწიეს პირველობას.

გიორგი სააკაძე

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ ისტორიულ სინამდვილეში გიორგი სააკაძის ფენომენი. გიორგი სააკაძე და მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. გიორგი საუშის ძე სააკაძე დაიბადა 1570 წელს. მას, როგორც მაღალი სამოხელეო არისტოკრატიის ოჯახის შვილს, იმ დროს შესაფერისი განათლება უნდა მიეღო. სააკაძემ იცოდა სპარსული და თურქული ენები გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ნიჭით, რამაც განაპირობა გიორგი სააკაძის მძლავრი ლიდერობა. სააკაძის თანამედროვე იტალიელი მისიონერი კასტელი, რომელმაც გიორგის პორტრეტი დახატა, წერდა: „დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი, მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს".

სააკაძე ლუარსაბის გამეფებისთანავე მისი უახლოესი თანამშრომელი და მრჩეველი შეიქნა. მალე იგი თბილისის მოურავად, ანუ ამირთ-ამირად დანიშნა მეფემ. ის თბილისის მოურავი სამეფო საბჭოს წევრი და მეფესთან ახლომდგომი დიდი მოხელე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოურავზე უფრო დიდი მოხელეები სხვები იყვნენ სააკაძე თავიდანვე დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფო საქმეებზე. ეს იყო შედეგი სააკაძის პირადი ნიჭისა, უნარისა და ლიდერის სულისა, რომელიც უფრო ფართო სარბიელს მოითხოვდა.

მისი აზრით, საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და თავადების ალაგვმა, შინაფეოდალური ომების აღკვეთა, გლეხობის ნორმალური პირობებში ჩაყენება, რათა ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისა და თავდაცვის საშუალება ჰქონდა. სააკაძე მფარველობდა და აწინაურებდა „დაბალ კაცს", „არავის სჭირდა გრელობა", ხელს უწყობდა გაბნეული გლეხობის თავის სამკვიდროზე მობრუნაბას და სხვა.

სააკაძემ თავისი მოღვაწეობით დაჩრდილა მეფე, ქართლის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის წინამძღოლი იყო. ამ იდეის ყველაზე რეალური განმხორციელებელი არა მეფე, არამედ გიორგი სააკაძე იყო. სააკაძის უშუალო თანამშრომელნი წვრილი აზნაურები და გლეხები იყვნენ, რომელთა მართვასაც სააკაძე ადვილად შეძლებდა. სააკაძე ამ ძალაზე დაყრდნობით აპირებდა დიდ ფეოდალთა ალაგმვას და საქართველოს გაერთიანებას. ეს იყო საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს კი საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავართა კავშირად ჰქონდათ წარმოდგენილი. თავადებისა და სააკაძის გეგმები ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. სწორედ ეს გახდა უმთავრესი მიზეზი თავადების სააკაძესთან მტრობისა, რომლის გამო ის იძულებული გახდა ორჯერ გადახვეწილიყო სამშობლოდან სააკაძის მომხრეები დიდ ფეოდალთა წრეშიც მოიძებნებოდა. მათ ქართულ წყაროებში სააკაძის „მოკიდებულნი კაცნი" ეწოდებოდათ.

სააკაძის დის გადედოფლებამ და მოურავის განდიდებამ მისი მოწინააღმდეგე თავადთა ჯგუფის მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო „მაშინ, – მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი, – თავადთა და დიდებულთა ქართლისათა და რომელიც არა იყო მოურავის მოყუარე იწყინეს და დაუწყეს ბეზღობა მოურავს...". სააკაძეს მისი მტრები მეფის დალატს აბრალებდნენ. ლუარსაბისაგან დედოფლის განშორებასა და სააკაძის მოკვლის დასტურს

ითხოვდნენ. ლუარსაბი დიდხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მეფე მუქარის ზეგავლენით თავადების სურვილს დაჰყვა. გადაწყდა: დედოფლის განშორება და სააკაძის სიკვდილი. მოურავი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. იგი ირანში გაიქცა და თავი შაჰ-აბასს შეაფარა.

გიორგი სააკაძეს მიუძღვის დიდი წვრილი იმაში, რომ საქართველო გადაურჩა სრულიად განადგურებას შაჰ-აბასის მიერ და მან თავისი მიზნისთვის შვილის სიცოცხლეც არ დაიშურა, „სულძაღლო თათრებო, თქვენ ერთი შვილი მომიკალით, მაგრამ ყველა ქართველი მეომარი ხომ ჩემი ერთგული შვილია! ერთი შვილის შეწირვამ მრავალი შვილი შემძინა".

გიორგი სააკაძე დიდხანს გაურბოდა ძმათა შორის სისხლის ღვრას, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და მისი დამარცხებით დასრულდა ბაზალეთის ბრძოლაში. ეს ქართველი ხალხის ტრაგედია იყო არა იმიტომ, რომ იქ მოძმეთა სისხლი დაიღვარა, არამედ იმიტომაც, რომ ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება–გაძლიერება შეუძლებელი იყო.

უცხოობაში დაიღუპა დიდი მოურავი, უბადლო ლიდერი გიორგი სააკაძე, რომელმაც საკუთარი და თავისი შვილების სიცოცხლე ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა. გიორგი სააკაძე იყო დიდი ქართველი ეროვნული გმირი, შეუპოვარი მეომარი, მოღვაწე, ბუმბერაზი და ძლევამოსილი ვაჟკაცი, ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი სარდალი, რომელმაც მაშრიყ-მაღრიბის ქვეყნებში სიმამაცით სასწაულები მოახდინა, წარმატებული ლიდერი ტრაგიკული ბედით, რთული ისტორიული პიროვნება, რომლის პიროვნებისა და ღვაწლის გარშემო დავა დღესაც გრძელდება, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად კაცი, რომელმაც აზნაურობიდან თავისი ლიდერული სულისკვეთებით მეფური დიდება მოიპოვა.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

განუყოფელია ეს ორი სახელი და ერთად დაწერილი ძმობას და ერთგულებას ნიშნავს და გვასწავლის, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე მთავარი ძალა არა ერთპიროვნული ლიდერობა, არამედ ურთიერთერთგულებაა. საქართველოს თავისუფლებისთვის შეწირული რაინდები გამორჩეული ხედვის, გამორჩეული რწმენის, გამორჩეული ბედის ქართველი ლიდერები. „ძე ქარიშხლისა"–ასე უწოდებდა მეგობარს ზვიადი, არა და თავადაც ქარიშხალივით იყო, მოუსვენარი, უშიშარი, შეუდრეკელი...

ზვიადს და მერაბს ბავშვობიდანვე შესტკიოდათ გული სამშობლოს დაჩაგრულ ერის ბედზე და სწორედ ამ პერიოდიდან შეებნენ „დიდ ურჩხულს", თამამად ისინი ხომ კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ იდეალებზე აღიზარდნენ.

ისინი სამშობლოს სიყვარულისთვის 17 წლის ასაკში დააპატიმრეს, მაგრამ ამან მათში არ ჩაკლა ეროვნული სული, პირიქით უფრო მეტად გააცხოველა და დარწმუნდნენ, რომ ერს სჭირდებოდა ლიდერი, რომელიც შეუდრეკელად წარუძღვებოდა. თავისუფლების ღირსეულ და ეკლიან გზაზე. სწორედ ზვიადი და მერაბი გახდნენ ჩვენში გაღვიძებული ეროვნული მოძრაობის წინამძღვრები.

რით იყო მათი ღვაწლი გამორჩეული? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ისინი ერის პატრიოტები იყვნენ მაშინაც, როცა ამ, და საპატიო ტვირთის ზიდვა უდიდეს რისკთან, სიცოცხლის დათმობის საფრთხესთან იყო დაკავშირებული.

თუ რამ ებადათ, მამულს შესწირეს, საქართველო იყო მათი ფიქრი და ოცნება, რწმენისა და იდეის ეროგულებით განვლეს მათ სიცოცხლე, ამიტომაც სჯეროდა ქართველ ერს მათი სიტყვების და მოძღვრებად რიცხავდნენ მათ. ყოველი დიდი შვილი უკვდავია თავის ერისთვის, მაგრამ სულ სხვა უკვდავება დაიმკვიდრეს მერაბმა და ზვიადმა იშვიათს რგებია სიცოცხლეშივე ის დიდი სიყვარული, კრძალვა და ნდობა რაც ეროვნული მოძრაობის ამ ლიდერთ ერგოთ. ლიდერებს, რომელთაც საქართველოს ეროვნულ გამოდვიძებაში, კონსოლიდაციის საქმეში შეუცვლელი როლი ითამაშეს.

მათი ბრძოლა „საბჭოთა ურჩხულის" წინააღმდეგ არ იყო იმედიანი, მაგრამ დევიზი, ალბათ, იყო „ცუდად ხომ არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება"...

დაუტყვევებელი სულის ლიდერი მერაბ კოსტავა არასოდეს დაბნეულა იაფფასიანი ტაშით, არ მოხიბლულა საკუთარი თავით, იდეებით არასოდეს არ უვაჭრია, იდეებით იბრძოდა მხოლოდ. სულის კივილამდე აწვალებდა გათითოკაცებული ქვეყნის სატკივარი და ერის გაერთკაცებაზე ოცნებობდა. მასში სული და სხეული ერთნაირად ხმაურობდა, ერთგვარი ეროვნული ტემპერამენტით და მისი ხასიათის მთლიანობაში იკვეთებოდა, დადიოდა მუდამ ამაყი, მუდამ შემართული, მუდამ თავაწეული, მუდამ მართალი, რაღაც უცნაური, რაღაც მოუსვენარი, რაღაც მარტვილი და საკუთარი სატანჯველი არ ჰყოფნიდა გოლგოთის გზაზე, შემდგარ მესაჭეს არც კრიზისი აცდენია, არც კატასტროფა, არც ნგრევა, არც უარყოფა, არც გაფრენა...

ზვიად გამსახურდიას ჰქონდა რაღაც საოცარი უნარი ლიდერობისა. მისი სიტყვა იყო მადლიანი, დამუხტული, ქარიშხლიანი, იმედიანი, იტყოდა და რწმენით აავსებდა მსმენელს, სამშობლოს კი არ შეახსენებდა, შიგ გულში მოარტყამდა სიყვარულის „ტყვიას". ყოველ კაცში გადამალულ ნაპერწკლებს მოკრებდა და თავისი დიდი წინაპრის და იდეალის წმინდა ილია მართალივით ერთ დიდ ცეცხლად შეკრებდა თავისუფლების სახელით.

მას ენდობოდნენ, სჯეროდათ, სწამდათ! იყო ლიდერი ოღონდ მეოცნებე, ტყვიების პირისპირ ყვავილების მოიმედე! ვერ დაეჯერებინა, ქართველს, საქართველოს სახელით მისთვის, პირველი ეროვნული პრეზიდენტისათვის ტყვია რატომ უნდა ესროლა!

თავად საოცრად მიმტევებელი იყო, ღრმად ქრისტიანი: „ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი მკრთალნი რაინდი მწუხარე სახის" –წერდა, რაღაც გავდა კიდეც დონ კიხოტს ამ მარადიულ ლიდერს სიკეთისას!..

ასე რომ, კარგად ჩანს ამ ლიდერთა ბიოგრაფიული პორტრეტებისგან, თუ რაოდენ გადამწყვეტ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ "პირველები" ისტორიის შექმნაში. ისინი ქმნიდნენ ეპოქებს, მართავდნენ საზოგადოებას და ცდილობდნენ ემართათ დრო, რაც მეტნაკლებად გამოსდიოდათ.

რა თქმა უნდა, საქართველოს დღევანდელობამდე, ავად თუ კარგად, მოღწევაში დიდი როლი ქართველი ერის ბრძოლისუნარიანობამ ითამაშა, მაგრამ ამ დაჟინებულ ბრძოლას რომ არ ჰყოლოდა სწორად წარმართველი ლიდერი ყოველივე მცდელობა ფუჭი იქნებოდა.

ლიდერები რომ არ არსებობდნენ საზოგადოებაში, ალბათ, საზოგადოება იმ „ცხვრის ფარას" დაემსგავსებოდა, რომელსაც წინ „ყოჩი" არ მიუძღვის და უფსკრულში გადასაჩეხად არის განწირული. საბედნიეროდ, საქართველოს

ყოველთვის გამოუჩდებოდა ისეთი ლიდერი, რომელიც წარმატებას თუ არ მოგვიტანდა გადარჩენის გზაზე მაინც დაგვაყენებდა...

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. ივ. ჯავახიშვილი – „თხზულებანი თორმეტ ტომად" I;III; IV ტომი.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები – III; IV ტომი.
3. როინ მეტრეველი – „დავით აღმაშენებელი".
4. როინ მეტრეველი – „თამარ მეფე".
5. „უბის ისტორია" I; II ტომი – ლევან სანიკიძე; გუბაზ სანიკიძე;

ბესიკ ქოჩიაშვილი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-ტექნიკური.
სპეციალობა: სახელმწიფოს მართვის მოხელე.

"ლიდერის ფენომენი კრიმინალურ სამყაროში"
(კანონიერი ქურდებისა და ავტორიტეტების ინსტიტუტი)

დანაშაულებრივი სამყაროს ძირითად ბირთვს და წარმმართველ ძალას, და ამ სამყაროში მთავარ ადგილს, „კანონიერი ქურდები" იჭერენ. მათი სოციალურ-ფსიქოლოიგური ხასიათები იმაზე, მეტყველებენ, რომ მსოფლიო კრიმინალურ პრაქტიკაში ამ დამნაშავეებს ანალოგი არ გააჩნიათ. მათი თვალსაზრისით, ისინი საკმაოდ არგუმენტირებულია, ამართლებენ თავიანთ კანონსაწინა-აღმდეგო და ანტისოციალურ წესრიგს და ცხოვრების არსს. დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი, კანონიერი ქურდის წოდების მიღებისას კრიმინალურ პროფესიონალიზმთან ერთად იძენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საწინააღმდეგო გამოცდილებასაც.

დანაშაულებრივი სამყარო, არც დღისით და არც ღამით არ წყვეტს თავის მოღვაწეობას. ამ საქმეს კი დამნაშავეთა ელიტა, კანონიერი ქურდები წარმართავენ. კანონიერი ქურდის ინსტიტუტის წარმოშობის რამოდენიმე ლეგენდა არსებობს და მათ შორის ერთის მიხედვით კანონიერი ქურდის ინსტიტუტი კავკასიური, კერძოდ კი ქართული წარმოშობისაა. ძალზე საინტერესოა აღნიშნული ელიტის ცხოვრების პერიპეტიები, მისი იდუმალი სამყარო, რომელიც დღემდე, ასე თუ ისე, დაფარული იყო უბრალო მოკვდავთათვის. ჩვენთვის ცნობილია იმათი სახელები, რომელთაც ცხოვრებისა თუ სიყმაწვილის უმეტესი ნაწილი კანონგარეშე, ციხეებსა თუ მკაცრი რეჟიმის კოლონიებში გაატარეს, რომლებიც სამართებლის პირზე დადიან მუდამ და ნემსებზე სხედან. ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის, ბევრი ქურდულ გარჩევებს შეეწირა, ბევრიც სამართალდამცავ ორგანოებთან ბრძოლაში დაიღუპა ან ნარკოტიკების ჭარბი დოზით „კაიფში" გაიპარა. ქურდული საზოგადოება შემთხვევით არ მოვლენილა. იგი თითქოს ციდან თოვლივით არ ჩამოცვენილა, მას ისტორიული ფესვები გააჩნია. მეფის რუსეთის დროინდელ დამნაშავეთა სამყაროში ყოველთვის არსებობდა ორგანიზებული კრიმინალური ფენა, რომელთაგან უფრო მეტად ორგანიზებულ ნაწილს სხვადასხვა დონისა და გაქანების ქურდები წარმოადგენდნენ. პროფესიონალი დამნაშვენი ან დიად აგრძელებდნენ კრიმინალურ საქმიანობას, ან კეთილშობილი ადამიანის იმიჯს ეფარებოდნენ და არალეგალურნი ხდებოდნენ, ან კიდევ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადადიოდნენ. ზოგნი კი ემიგრაციაში წავიდნენ დ წარმატებით შეეწყნენ იქაურ პირობებს. მკაცრმა ობიექტურმა პირობებმა იძულებული გახადა რუსეთში დარჩენილი პროფესიონალური დამნაშავენი, რომ გაერთიანებულიყვნენ მკაცრ, არალეგალურ კორპორაციებად და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი მისაღები წესები და კანონები, ტრადიციები. დამნაშავეთა სამყაროში არსებობს მოსაზრება, რომ თითქოს ტერმინი „კანონიერი ქურდი" 55555 თანამშრომელთა მიერ იყო მოგონილი, რასაც ერთ-ერთი ქურდიც კი ადასტურებს: „... დიახ, თვით კანონიერი ქურდის გაგება 55555 მოიფიქრეს". ქურდულ ჟარგონში მართალია ქურდი პროფესიონალს ნიშნავს როგორც შემოწმებებმა გვიჩვენა, „კანონიერი ქურდები", მათი უახლოესი წრე, ყოველთვის თავისთავზე მაღლა იდგნენ, ქუხდნენ თავიანთი „გმირობით". ამიტომაც, მათი აზრით, ქურდი, რომელიც დამნაშავეთა სამყაროს წესებს, კანონებსა დ ტრადიციებს იცავს, აუცილებლად „მართალი" სამართლიანი ადამიანი უნდა იყოს.

თავდაპირველად ქურდების „ავტორიტეტი” მხოლოდ მავრთულხლართების შიგნით ვრცელდებოდა, მაგრამ შემდეგ ბერიას ცნობილი მასშტაბური ამინისტია გამოვიდა და ყველა პუნქტით რეაბილიტირებული ქურდები ნიაღვარივით შეერია ჩვეულებრივ ცივილურ ცხოვრებაში. ნაწილობრივ მათი უმრავლესობა არმიაშიც კი გაიწვიეს. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ამ „ახალწვეულებმა” დანერგეს არეულ ცხვორებაში დანაშაულებრივი ჩვეულებანი, სათავე დაუდეს „დედოვჩინს”. საპატიმროთა დერეფნებში ასეთი ლეგენდაც დადიოდა: „თითქოს და ქურდულ მოძრაობას გადამწყვეტი მხარადაჭერა 50-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ აღმოუჩინა. საქართველოს ცკ-მ ქურდების ჯგუფს წინადადება მისცა, გამხდარიყვნენ თავისებური სახის ორმაგი აგენტები. მხარეებმა ხელს დაჭკრეს და პარტიის საუკეთესო „გონებანი” საიდუმლო საქმეებს ჩაუსხდნენ. დიდი სურვილი გვაქვს, დავიჯეროთ, რომ ზუსტად თვითსწავლულმა ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა, ეკონომისტებმა და არა ციხეებით, და გადასახლებებით გატანჯულმა ქურდებმა და დამნაშავეებმა მოიფიქრეს დაუწერელი ქურდული კანონები – გაგება, „სინდისის კოდექსი”, ტრადიციები, – რომელნიც ცნობილი ქურდული იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენდნენ. ლეგენდის სამართლიანობაზე მეტყველებს და მტკიცებად გამოდგება ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით დამოწმებული ფაქტები: „კანონიერი ქურდები”-ს ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი ფრთა უცილოდ საქართველოდან გამოსულებმა ჩამოაყალიბეს. ქურდის წოდებას ათეული წლების განმავლობაში, თავის გამოჩენითა და სხვა გამოცდილებით აღწევდნენ. მას ეკრძალებოდა შრომის წიგნაკითა და არმიაში სამსახურით ბიოგრაფიის „გაფუჭება”. ქურდს არ ჰქონდა პირადი საკუთრების უფლება. პატიმრობათა შორის მას შეეძლო „ბლატნოებსა” და „მალინებს” შორის ეჯახირა და ეჩალიჩა. ნათესავები ცხოვრებიდან გამოირიცხებოდა, უნდა დაევიწყებინათ მშობლებიც, საკუთარ ოჯახზე კი,ცოლზე და შვილებზე საერთოდ არ უნდა ეფიქრათ.

90-იან წლებამდე წოდება სპეციფიკურ უპირატესობას ანიჭებდა მათ. მათი უმეტესობა ზონებში მოქმედებდა. ზონაში კანონიერი ქურდის მისვლას ადმინისტრაციაზე ადრე თვით იქ მსხდომნი იგებდნენ. და განსაკუთრებით ემზადებოდნენ მის მისაღებად. გამოუყოფდნენ საუკეთესო საწოლს, პერსონალურ ტუმბოს (სხვა პატიმრებზე ორზე ერთი იყო განკუთვნილი). საწარმოო (სამუშაო) ნორმას ადგილობრივ მოწინავეთა შორის წინასწარ ანაწილებდნენ, ადგენდნენ მომსახურების ჯგუფებს: საწოლის ამლაგებელი, მექისე, დალაქი, მაგრამ რისი უფლებაც ქურდს ჰქონდა – ესაა, ზომების მიხედვით აერჩია სახელმწიფო „რობუ”, დანარჩენზე პატიმრები სხვადასხვა საშუალებებით თვითონვე ეწყობოდნენ. ქურდული იდეა ძალიან მიმზიდველი იყო ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით მცირეწლოვანთათვის. ისინი ყურებდაცქვეტილნი და გაფაციცებული უსმენდნენ საპატიმროებიდან დაბრუნებული ქურდების ნაამბობს და სურდათ მათი მიბაძვა. „კანონიერი ქურდები” ასეთ პუბლიკაში უფრო დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ, ვიდრე თავიანთ საძმოებში და მათი ასეთი რომანტიკული ცხოვრება ბევრ ნორჩს იზიდავდა. ბიჭები, რომლებიც მათ უსმენდნენ, ოცნებებში თავს მათ ადგილას წარმოიდგენდნენ და საძმოების აქტიური წევრები ხდებოდნენ. თავიდან მათ ძალიან კარგად ეპყრობოდნენ: – წაიყვანდნენ რესტორნებში, აცნობდნენ „პრასტიტუტკებს”, (როგორც ასეთ დროს იტყვიან ავაჟაცებდნენ). შემდეგ კი ეს „კეთილმომსახურება” სამაგიეროთი უნდა გადაეხადათ. ხშირად ახალგაზრდებს ავალდებულებდნენ თავისთავზე აეღოთ ის დანაშაული, რაც ცნობილმა კანონიერებმა ჩაიდინეს. სანამ ესენი სასჯელს მოიხდიდნენ, მათ ნაცვლად ახლები ჩნდებოდნენ.

„კორონოვანიე" (მონათვლა), - ესაა „კანონიერი ქურდები–ს" გაერთიანებაში დამნაშავის მიღების ფორმალური პროცედურა, რომელიც მას ქურდულ უფლებამოსილებას ანიჭებს. მონათვლას, როგორც წესი, სულ მცირე ორი კანონიერი ქურდი უნდა დაესწროს, რომელიც მიუკერძოებელ საუბარში განსჯიან კანდიდატის კრიმინალურ გზას, დამსახურებებს, გაიხსენებენ, თუ რითაა ცნობილი დამნაშავეთა სამყაროში; რწმუნდებიან, რომ იგი ქურდული ტრადიციების მტკიცედ დამცველია, შეუძლია სისხლის სამართლის ელემენტების შეკავშირება, სწორად და სამართლიანად განსჯის კონფლიქტებს, აბსოლუტური ავტორიტეტით სარგებლობს თანამოაზრეთა შორის და შეუძლია ორგანიზება გაუკეთოს დანაშაულებრივი შემოსავლების წყაროების მიღებას. განხილვისას არკვევენ მთავარს–იყო თუ არა კანდიდატი ურთიერთობაში სამართალდამცავ ორგანოებთან და მუშაობდა თუ არა სახელმწიფო დაწესებულებებში. შემდეგ გადააჭდობდნენ მაჯებს და წარმოთქვამდნენ დამნაშავეთა სამყაროსადმი ერთგულების ფიცს, რის შემდეგაც ახლად-მონათლული კანონიერი ქურდი მიიღებს მეტსახელს, ე.წ. „კლიჩკას". ცნობები „ნათლობის" შესახებ სპეციალაური ფოსტით იგზავნება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. კანონიერი ქურდი ვალდებულია იცხოვროს საზოგადოების ინტერესების გარეშე, მის მიმართ არ ჰქონდეს არავითარი ვალდებულებები, არ დაიჭიროს სოციალური კავშირები, არ იზრუნოს მათი კეთიდღეობისა და განვითარებისათვის. ასეთი მიდგომის გამო ქურდი დამოუკიდებლად გრძნობს თავს და აბსოლუტური ავტორიტეტით სრგებლობს დამნაშავეთა სამყაროში. კანონიერი ქურდი მოვალეა უარი თქვას იმსახუროს სახელმწიფოსთვის. სწორედ ამიტომ, კანონიერ ქურდებს უფლება არა აქვთ ითანამშრომლოს სპეცსამსახურებთან–როგორც თავისი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მხრივ. თუ გამოუვალ მდგომარეობაში არის და მისგან კონტაქტს მოითხოვენ, იმის მიხედვით თუ როგორ მდგომარეობაში იქნება იგი ყოველთვის თავისი ხაზი უნდა გაატაროს ორმაგი სახით და ეცადოს მუდამ დამნაშავეთა სამყაროს მხარე დაიჭიროს. ამით განისაზრვრება კანონიერი ქურდების „ინტერნაციონალიზმი".

ურთერთშორის სიმართლე და დახმარება კანონიერი ქურდების ვალდებულებაა. ამ ჯგუფში ყველა თანასწორია.

ის, ვინც ამ პირობებს "განაწესს", არ იცავს მკაცრ სასჯელს იმსახურებს. ამიტომ კანონიერი ქურდები ერთმანეთში კამათს და კონფლიქტს ერიდებიან, ცდილობენ თანამოაზრეთა შორის ავტორიტეტი არ გაიფუჭონ.

როგორც ცნობილია, ყოფილი საბჭოეთის მთელ რიგ რეგიონებში. დიდ ქალაქებში კანონიერ ქურდებს სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე მეტი წონა და გავლენაც კი ჰქონდათ. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს სახელმწიფოში და სწრაფად ავრცელებდნენ თავიანთ გავლენას ახალ–ახალ რეგიონებზე, ითვისებდნენ ქალაქებს, წილში შედიოდნენ ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ყველაზე პერსპექტიულ საწარმოებში, აკონტროლებდნენ ბანკებს. კონტროლის გარეშე დარჩენილ სახელმწიფოში სწორედ დამნაშავეთა სამყაროს ეს "ელიტა" ერთადერთი და წარმმართველი ძალა, იწყებდნენ სახელმწიფოს კონტროლს და ხელში იგდებდნენ დოვლათს.

ხშირად ამბობენ, რომ „კანონიერი ქურდი-ს" ინსტიტუტის ჩამოყალიბება სოციალისტური სამყაროსა და წყობის განუყოფელი ნაწილი იყო და იგი სტალინმა და ბერიამ შექმნეს. მაგრამ ავიწყდებათ, რომ, როცა პირველი კანონიერი ქურდი და ავტორიტეტთა მთელი არმია მოევლინა სამყაროს, სტალინი და ბერია უბრალოდ, არაფერს არ წარმოადგენდნენ. პირველი

კანონიერი ქურდი „ვანკაკაენი" (ივანე ოსიპოვი) 1731 წელს მოევილინა სამყაროს. ამ დროს სტალინი და ბერია, მეტი რომ არ ვთქვათ, ფიქრშიც არ არსებობდნენ. მაგრამ, მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად გამოიყენეს ეს ინსტიტუტი ზონებში, თუ ციხეებში მყოფ დამნაშავეთა სამყაროს მართვის საქმეებში, მათთვის უმჯობესი იყო ზონაში რამდენიმე „ელიტარული" პატიმარი ფუფუნებაში ჰყოლოდათ და მათთვის სანატორიუმის პირობები შეექმნათ, ვიდრე ზონის გაკონტროლებისათვის ზედმეტი ხარჯი გაეწიათ. არის სახელმწიფოები, სადაც ხალხი დამანაშავეებს თანაგრძნობითა და პატივისცემით ეპყრობიან. მათ ძეგლებსაც კი უდგამენ, იწერება წიგნები, იქმნება სიმღერები, იღებენ ფილებს და მისაბაძ გმირებად გვიხატავენ. გავიხსენოთ ინგლისში რობინ ჰუდი და კორსარი, რუსეთში "ვანკა კაენი" და რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, საქართველოში – არსენა ოძელაშვილი. მათგან ორს, რობინ ჰუდს და არსენა ოძელაშვილილს ძეგლებიც კი დაუდგეს თავიანთ სამშობლოში. აღნიშნულ სამყაროში და ამ სამყაროს წარმომადგენელთა მუდამ ალესილ დანის პირზე სიარული ბევრისთვის რომანტიკულია, ბევრისათვის კი პირიქით, რადგან არც ერთმა მხარემ არ იცის იმაზე მეტი, რაც მხოლოდ ჭორის დონეზე იყო და მასზე წერა კი არა, საუბარიც კი ნებადართული არ იყო. სულ უბრალოდ, ისინი საზოგადოების მანკიერ მხარეს და დანაშაულებრივ ფენას წარმოადგენდნენ. მაგრამ თუ საფუძვლიანად გავაანალიზებთ და ღრმად ჩაუკვირდებით, ცხოვრება მათ გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. ეს სამყარო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მოგვწონს თუ არა, ეს ჩვენი შელამაზებული ისტორიაა. იტორიაზე კი უარს ვერავინ იტყვის. ეთნოკონფლიქტებმა, შუღლმა და შინაომებმა წელში გატეხა ადრე აყვავებული, მზიური საქართველო. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გაჩაღებულმა კონფლიქტებმა ქურდულ წრეებშიც წარმოშვა უთანხმოებანი. ლიდერებს შორის ხშირად ხდებოდა ამის საფუძველზე გარჩევები. და ამან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ახალგაზრდებიც კი ცდილობდნენ ძველების, კანონიერების გატარებას წნეხის ქვეშ. 1993 წელს მოკლეს კანონიერი ქურდი არსენი (ჯემალ მიქელაძე) და რამდენიმე ავტორიტეტი. 1996 წელს დაცხრილეს რაფინ ბისიანცი. იყო კიდევ რამდენიმე "გარჩევა".

1996 წელს აპრილში მოსკოვში ქართველი ქურდების „სხვოდკა" გაიმართა, სადაც იმსჯელეს შაქრო მოლოდოიზე თავდასხმის შესახებ და სხვადასხვა შემოსავლების გადანაწილებაზე. „სხვოდკას" 15 კანონიერი ქურდი ეს-წრებოდა, მაგრამ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მუშაკებს არ ეძინათ და ყველანი დააკავეს. იმავე წელს ნოემბერში დაიჭირეს ქუთაისელთა 15 კაციანი, ჯგუფი რომელსაც ავთო ხელმძღვანელობდა. მას მოსკოვიდან გასახლება ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მაინც დაბრუნდა. იგი ადამიანის გატაცებისათვის იხდიდა სასჯელს. ნოემბერში კიდევ ერთი კანონიერი ქურდი რაული მოკლეს. იგი მოსკოვის ბანკს აკონტროლებდა და ნავთობის ლეგალური ბიზნესი ჰქონდა. რაული ახალგაზრდა ქურდების ფულით ხელდასმის წინააღმდეგი იყო და ამის ამო გამოასალმეს კიდეც სიცოცხლეს. ბოლო ხანებში ასპარეზზე გამოვიდნენ დამოუკიდებელი ბანდ-ფორმირებები, რომელთაც კრიმინალური ავტორიტეტები უდგანან სათავეში. ასეთი ფორმირება საქართველოშიც შეიქმნა და მას რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში კანონიერ ქურდად აღრიცხავზე მყოფი პიროვენება ხელმძღვანელობდა. ეს ფორმირება იყო „მხედრიონი", ხოლო ხელმძღვანელი – ჯაბა იოსელიანი. ზოგიერთი ცნობით, „მხედრიონს" უკავშირებდნენ მოსკოვსა და მის ოლქში მყოფ საშიშ და სახიფათო ჯგუფს, რომელსაც აგრეთვე კანონიერი ონიკი ხელმძღვანელობს. საოცარი ისაა, რომ მის რიგებში ბევრია შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოს ყოფილი თანამშრომელი. ისინი ძირითადად მანქანების გატაცებაზე არიან დახელოვნებულნი.

უკანასკნელ დროს ქართველთა დაჯგუფებებს ნამდვილად დიდი პრობლემები გაუჩნდათ, იმის გამო, რომ ადგილობრივ სლავთა დაჯგუფებებთან საერთო ენის გამოუნახაობამ მათ შორის კონფლიქტი წარმოშვა, რასაც რამდენიმე ქართველი კანონიერი ქურდისა და ავტორიტეტის სიცოცხლეც შეეწირა. აღსანიშნავია კანონიერი ქურდის კვეჟოს (ავთო ჩიხლაძე) მკვლელობა. 2001 წლის აგვისტოში კი კიდევ სამი ქურდი: ნონო, გუდრონა და თენგიზი მოკლეს. ოქტომბერში კი 15 ტყვია დაახალეს ავტორიტეტულ ქურდს გამცემლიძეს (გადემუსი).

ერთ-ერთმა ცნობილმა თბილისელმა კანონიერმა ქურდმა პაპა ჰასანმა პატივისცემა ქურდულ სამყაროში მიცემული სიტყვისადმი ერთგულებით დაიმსახურა. რა თქმა უნდა, ნებისყოფა ჰქონდა და საუკეთესოდაც იყენებდა მას. ერთხელ მეგობრების წრეში სიგარეტი მოსწია, ნამწვავი გადააგდო და ყველას გასაგონად თქვა, რომ ეს მისთვის ბოლო ღერი იქნებოდა. მის ხელში სიგარეტი აღარავის უნახავს. ხანდახან, რესტორანში, იმის ნაცვლად, რომ პირველი სადღეგრძელო სამზოსი ეთქვა, შეეძლო რესტორნის მუსიკოსებისა შეესვა. პაპა ჰასანი ნარკოტიკებისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლია. როგორც ამბობენ, თავის ძმასთანაც კი გაწყვიტა კავშირი ამის გამო. გარდა ამისა, ვერავინ იტყვის, რომ იგი პროსტიტუციას სწყალობს. მის ბიზნესინტერესებში არასოდეს შედიოდა პროსტიტუცია და ყოველთვის ეჯავრებოდა. მაგრამ, ბიზნესის ყველა სახეს ლეგალურსაც და არალეგალურსაც პატივს სცემდა და თავის კონტროლს უქვემდებარებდა.

მოსკოვის სისხლის სამართლის სამმართველოს ოპერატიულ კადრებში უახლოეს წლებამდე ოთხი ქარიზმატული ლიდერი ითვლებოდა. საოცარი ისაა, რომ ოთხივე ინტერნაციონალისტი იყო. დაჯგუფების კურატორი ცნობილი, ეროვნებით ბელორუსი, კანონიერი ქურდი ვიაჩისლავ სლივა იყო, რომელმაც მეოთხე პატიმრობის ვადა 1991 წელს მოიხადა. ოპერატიული სამსახურის მუშაკებმა სლივა სასტუმრო „კოსმოსის" ერთ-ერთ ლუქსიში ფაქტზე დააკავეს. იგი თავისი ხელით აფასოებდა ჰეროინს სხვადასხვა ზომის პაკეტებში და სარეალიზაციოდ ამზადებდა. აქვე მისგან ამოიღეს ორი ავტომატი, ათამდე პისტოლეტი და ორი ყუთი ვაზნა. სამმართველომ სლივა 12 წლით გაისტუმრა „დასასვენებლად" მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მან იქ მხოლოდ რამოდენიმე თვე დაჰყო და შემდეგ კი კანადას მიაშურა. რუსეთიდან ემიგრაციაში წასულ ავტორიტეტს რეგულარულად მისდიოდა წილი დედაქალაქის სამი კაზინოდან, რომელიც გაძევებულის საკუთრებად ითვლებოდა. ფილტვის კიბოთი დაავადებული ვიაჩისლავ მარაკულის ძე სლივა 2000 წელს გარდაიცვალა.

კანონიერი ქურდებისაგან განსხვავებით ყურადღებას იპყრობენ მოუნათლავი ბანდიტური დაჯგუფებების ლიდერებიც, რომელნიც რასაკვირველია ძალზე იშვიათად იღუპებიან საკუთარი სიკვდილით. მიუხედვად არსებული მშვიდი დროისა და იდეალური ცხოვრების პირობებისა ასეთ ყოველ ავტორიტეტს შეუძლია დატკბეს ბედნიერი სიბერით. თუნდაც, როგორც ადგილობრივი კრიმინალური სამყაროს ცნობილ, 53 წლის იუტას (პაპა-სერგი ზინოვიერის ძე იუტკევიჩს, რომელმაც გვარი მამის სახელთ შეიცვალა და ახლა სერგი სერგის ძე ცოლოლოდ იწოდება. ასეთ და ამგვარად როსტოვის უმსხვილესი დანაშაულებრივი დაჯგუფებების ერთ-ერთი ლიდერი რომელიც კრიმინალურ სამყაროში დოქტორის სახელითაა ცნობილი, ჩვეულებრივად ყოველგვარი აურზაურის გარეშე გაისტუმრეს იმ ქვეყნად „კეთილშობილმა" დაქირავებულმა მკველელებმა (ქილერებმა). იგი ჩაცხრილეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მის სხეულზე მთელი ადგილი ძნელად თუ მოიძებნებოდა, მას 60

ტყვია დაახალეს. „დოქტორის” დაკრძალვაზე მთელი ქტევნოდან 500 ავტორიტეტი ჩავიდა.

ცნობილია ერთ-ერთი კანონიერი ქურდის შიშკანის სასწაულებრივი გადარჩენის ისტორია: მის მოსაკლავად ორი ქილერი გაგზავნეს. მათ მანქანა ტყეში დატოვეს. შიშკანის აგარაკამდე სულ რაღაც ერთი კილომეტრი რჩებოდა. საშინელი წვიმა ასხამდა, ძლიერი ქარი ხეებს კენწეროებს ახრევინებდა, გაელვებას ჭექა – ქუხილი მოსდევდა თან. ასეთ ამინდში უფრო შეიძლებოდა უყურადღებოდ დარჩენილიყო ავტორიტეტის აგარაკი დაცვისათვის. ის ვილა, სადაც კანონიერი ქურდი შიშკანი ცხოვრობდა, პირადი დაცვის საგუშაგოებით იყო გარშემორტყმული. მკვლელები დახრილები, ხიდან ხემდე მოკლე გადარბენებით უახლოვდებოდნენ სამიზნეს. სახლის გეგმა დაწვრილებით ჰქონდათ შესწავლილი და შეეძლოთ თვალდახუჭული მოეძებნათ ის ადგილი, სადაც ნაღმი უნდა ჩაედოთ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, გაიელვა ცა ერთბაშად განათდა და გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. აფეთქების ხმამ დაფარა განწირული ხმები. შემდეგ კი ორი ადამიანის სხეულთა ნაფლეთებს 100 მეტრის რადიუსში კრეფდნენ. ასე, რომ თვით ბუნებამ იხსნა ცნობილი დამნაშავეთა ლიდერი აშკარა სიკვდილისაგან. რაღაც ზებუნებრივმა ძალამ ელვის ენა პირდაპირ იმ ნაღმისკენ მიმართა, რომელიც ერთ-ერთ ქილერს ქურთუკის შიგნით ჰქონდა დამალული. ამის შემდეგ საძმო ლაპარაკობდა, რომ თვით ღმერთი იცავდა შიშკანს და მასზე თავადსხმა უაზრობა იყო.

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. ე. სოვოლიოვი " დამნაშავეთა სამყარო" (თბილისი 2000)
2. ნ. იმერლიშვილი " კანონიერი ქურდები" (თბილისი 2004)

სოფო ბარნაბიშვილი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: სამართლისა და სახელმწიფო მართვის.
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

"ლიდერის ფენომენი ქართულ ხელოვნებაში..."

სამყარო დიდი და მრავალფეროვანია... იბადებიან მწერლებად... გენიოსებად... ლიდერებად... ღვთისგან ნაბოძებ ნიჭსა და ნებას თავმდაბლად ემორჩილებიან და ქმნიან ხელოვნებას - ხალხთა ისტორიას. მათი თითოეული განხორციელებული ჩანაფიქრი შედევრად გვევლინება და ერის წმინდა რელიქვიად იქცევა ხოლმე. ქართული სული და ისტორიული ქარტეხილი მუზად აკივლდება და ქართული ცეკვის ილეთებში იღვრებოდა. ტერფსიქორა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის მეტად ცნობილ მუზად იქცა. ეს ის მუზაა, ერთხელ თუ ძვალ-რბილში გაგიჯდა, ტერფებს ვეღარ მოასვენებ. ტერფსიქორა გულუხვი აღმოჩნდა ქართველებისათვის, ქართული სულიც ჩაჯდა და ამ კომბინაციამ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ეროვნული ბალეტი შეაქმნევინა. თუ მასწავლებელი მხოლოდ მასწავლებელია და მეტი არაფერი, აღსაზრდელმა შესაძლოა მიატოვოს ნებისმიერი საყვარელი საქმე. მაგრამ თუ მოძღვარი ადამიანს ცხოვრებასაც ასწავლის და კრიტიკულ მომენტში იმედს არ გაუცრუებს, შეგირდი ოსტატის ბოლომდე ერთგული და მასთან შერწყმულიც ხდება, აზრებიც თანაზიარდება... თუ ლიდერი ხარ, მაშინ შენი სიდიადეც გყოფნის და არ ცდილობ სხვა დაჩრდილო, პირიქით, მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების შანსს აძლევ და პარტნიორობას სთავაზობ. მაგრამ რა გძალუძს მაშინ, როდესაც განგებამ შენი ლიდერობა ისურვა, მაგრამ დრო და წესწყობილება არ აღმოჩნდა მზად მიგიღოს. მაშინ თვითგადარჩენის ინსტიქტი მოქმედებს, საკუთარი ნებისა თუ დაკისრებული მისიის განსახორციელებლად ებმები ცხოვრებისეულ აშკარა თუ ფარულ ბრძოლაში და საბოლოოდ მაინც აღწევ მიზანს, ჰპოვებ მსოფლიო აღიარებას...

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ბიოგრაფია ჩვენი ქვეყნის მთელი ეპოქაა 1945 წლიდან დღემდე. ამავდროს, ესაა მათ მიერ შექმნილი ანსამბლის ბიოგრაფიაც და ქართული ცეკვის ისტორიაც. მათ ცხოვრებაში ირეკლებიან XX საუკუნის დიდი ადამიანები, ლიდერები, ხელოვნების მსახურნი, დიდი პოლიტიკოსები თუ დიქტატორები: იოსებ სტალინი, კლიმენტ გოტვალდი, ინგლისის დედოფალი მარია, უინსტონ ჩერჩილის ქვრივი კლემენტინა და სხვები. ამ წყვილის ამბავი დრო-ჟამის ჩვეულ სვლას დასხლტომია, ერთმანეთს შენივთებია და მათი ძალისხმევით შექმნილ ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლს შერწყმია. ილიკო სუხიშვილი 1907 წელს გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევში დაიბადა. ერთი წლისა დაობლდა. დედამ - ანა კაზაკოვამ სახლ-კარი გაყიდა და თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად თბილისში გადმოსახლდა. ილიკოს დედა მალევე გათხოვდა იასონ ყუფარაძეზე. ოჯახი ხელმოკლე იყო და ილიკოს ადრევე მოუხდა მარჩენალის მძიმე ტვირთის ზიდვა. მძიმე ბავშვობა ჰქონდა... ხან მიხაელოვის პროსპექტზე ყიდდა წაბლს, ხანაც სასწრაფო დეპეშები დაჰქონდა. ხშირად ყინვიან დამეშე, ყინვასა და სიცივეში უხდებოდა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში ველოსიპედით სიარული... მომავალ ლიდერში თანდათან იღვიძებდა გენია... მისი თვითნაბადი ნიჭი თვალშისაცემი იყო, პატარაობისას სკოლის კიბეებზე ცერებით ადიოდა, მოგვიანებით კი განთქმული იყო მისი „შამილის ცეკვა", იმპროვიზაცია ჩეჩნური ილეთების გამოყენებით, შამილის ლოცვით რომ იწყებოდა. მის ცეკვაში იყო რაღაც სხვა შინაგანი გზნება ტემპერამენტი... თითქოს არაფერს

აკეთებდა განსაკუთრებულს. გამოვიდოდა სცენაზე, ჩამოიწევდა ფაფახს, ნელა გადმოიკეცავდა ჩოხის სახელოებს და უკვე ამაზე იყო ტაში...

1923-26 წლებში ილიკო ალექსი ალექსიძის ხალხური ცეკვების სტუდიაში სწავლობდა. ერთ წელიწადში ალექსიძემ იგი თავის ასისტენტად აიყვანა. 1926 წელს ოპერის თეატრში სტაჟიორ მოცეკვავედ მიიწვიეს ყოველგვარი ხელფასის გარეშე. როგორც ამბობენ ქართული ცეკვების ოსტატს ეჩოთირებოდა ბალეტის მასიური ცეკვებში მონაწილეობა, ამიტომაც უხვად იღებდა გრიმს, მაგრამ მაინც სცნობდნენ უბადლო მოცეკვავეს. მან აღიარებამდე კარგად იცოდა საკუთარი ნიჭიერების ფასი და არ სურდა დრო მასიური ცეკვისათვის დაეკარგა, სურდა მალევე შეექმნა ხალხური ცეკვის ანსამბლი და ამით ყველა უცნობი ზიარებოდა პატარა ქვეყნის მდიდარ ხელოვნებას. ილიკოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო მარია პერინის საბალეტო სტუდია, რომელმაც მის შეგირდებს დახვეწილი ტექნიკა შესძინა და ამით ლიდერთა ბუნებრივი ნიჭი ფენომენად აქცია და განამტკიცა. „მე ნელ-ნელა ჩემი ბეჯითი შრომით მივაღწიე დიდ წარმატებას და აღიარებას. ოპერის თეატრი გახდა ჩემი სული და გული, ჩემი სახლი საარსებო კერა და სიცოცხლის მიზანი". წერდა ილიკო თავის მოგონებებში და აქვე ნინო რამიშვილი: „მარია პერინის საბალეტო სტუდიის დამთავრების შემდეგ თეატრში ისე გამანაწილეს არც კი ვიცოდი... და თეატრი იქცა ჩემს გატაცებად, საქმედ სიყვარულად... ეს იყო ჩემი ცხოვრება..." ამ ორი ადამიანის შეხვედრა, როგორც ჩანს, გარდაუვალი იყო. ცეკვის დიდმა სიყვარულმა მათ ერთმანეთი აპოვნინა, როგორც პარტნიორებს, როგორც მეუღლეებს, როგორც ანსამბლის დამაარსებლებს და როგორც ლიდერებს...

რაც უფრო ახლოვდება 37 წელი უფრო საგრძნობი ხდებოდა პროლეტარიატის დიქტატურის სიმძიმე. იზრდებოდა პარტიულ კომკავშირულ აქტივისტთა რიგები და ღამით უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულთა რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ ილიკო ლიდერი იყო ხელოვნებაში მას მაინც უხდებოდა ჩართულიყო ქვეყნის პოლიტიკაში გამოეყენებინა დიპლომატიის ნიჭი და ემეგობრა" სახელმწიფო ლიდერებთან, რათა სასურველი მიზნისაკენ მისაღწევი გზა ნაციონალური ბალეტის შექმნა უფრო გაადვილებოდა. იგი პარტიულიც იყო და კომკავშირულიც. იმ ხნად წამყვანი ბალეტმეისტერი და მომავალი ანსამბლის დირექტორი უპარტიო ვერაფრით იქნებოდა, ილიკო კი განუწყვეტლივ ანსამბლის დაარსებაზე ფიქრობდა... მაგრამ შექმნამდე გასავლელი იყო საკმაოდ ძნელი და ვრცელი გზა...ილიკოს ინგლისში დიდი წარმატება ხვდა წილად. კონცერტს დიდი ბრიტანეთის მეფე ჯორჯ V და დედა დედოფალი მარია ესწრებოდნენ. ფესტივალის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობამ უინძორის სასახლეში მოაწყო წვეულება. დაჯილდოებისას ილიკოს დედა-დედოფალმა თავისი ხელით გადასცა ოქროს მედალი. ილიკო ხელზე ემთხვია მას. ეს რაინდული და არა კომკავშირული ქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენია მოსკოვს. სტალინმა უკან დაბრუნებული საბჭოთა დელეგაცია მიიღო, ილიკო იხმო და ჰკითხა „როგორ იყო, დედოფალს ხელზე რომ კოცნიდიო?!" „მე ცივმა ოფლმა დამასხა" - ამბობდა ილიკო. სტალინმა კი დააყოვნა და განაგრძო: „ძალიან სწორედ მოიქეცი, რატომ უნდა ეფიქრათ რომ ხეპრეები ვართ". ამ უმნიშვნელო მოვლენას გაცილებით მკაცრი შედეგიც შეიძლება მოჰყოლოდა, სტალინი ილიკოს ცეკვით მოხიბლული დიქტატორი რომ არ ყოფილიყო. უცნაურიც კი იყო მისი დამოკიდებულება ამ წყვილისადმი. 1949 წელს როცა ანსამბლი უკვე დაარსებული იყო სტალინს ხელმოსაწერად შეუტანეს დადგენილება, ნინოსა და ილიკოს სტალინური პრემიის II ხარისხის ლაურიატობის მინიჭების თაობაზე. მიშა ჭიაურელი პრემიების მინიჭების კომისიის წევრი, იხსენებდა: „რატომ მეორე ხარისხიო უკითხავს ბელადს". „კენჭისყრისას ხმა დააკლდაო" მიუგეს. „მაშ ერთ ხმას მე მივცემ და მეორეს

კი ამხანაგი ვოროშილოვიო" უბრძანებია. ვინ შეეკამათებოდა. მეორე ხარისხის პრემია მაშინვე I ხარისხის პრემიად გადაუკეთებიათ დამქაშებს... მაშინდელი ხელისუფლებაც ერეოდა სოციუმის ყველა სფეროში, აკონტროლებდა თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს, მითუმეტეს მაშინ, როცა ქვეყნის სახელით უხდებოდათ საზღვრების გარღვევა, ხშირად მათი სურვილისამებრ ადგენდნენ წარმოდგენის შემადგენლობას.... 37 წელი იწყებოდა. მოსკოვში ქართული კულტურის დეკადაზე მიჰქონდათ ვახტანგ ჭაბუკიანის „მთების გული". ეს იყო პირველი კლასიკური ქართული ბალეტი. წამყვან პარტიას ელენე ჩიკვაიძე ცეკვავდა. ბოლო წუთს მაღალი ინსტანციიდან დირექტივა მოვიდა ჩიკვაიძის ნაცვლად ბერიას ფავორიტ ქალს უნდა ეცეკვა. ჭაბუკიანი აღშფოთდა და დეკორაციით დატვირთული ვაგონი ჩაახსნევინა.

მაშინ ყველა ქართველ მოცეკვავეს განუცხადეს, რომ თავისუფლები იყვნენ და შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება. ნინო რამიშვილი მოსკოვში დარჩა არა როგორც მოცეკვავე, არამედ როგორც ილიკოს მეუღლე. ილიკოს მოხსნა ვერ შეძლეს, რადგან დუბლიორი არ ჰყავდათ. ნინო დროდადრო გაივლიდა ხოლმე რეპეტიციის დროს თეატრში და ბერიას ბრძანებით რამდენიმეჯერ ჩაუცვამს კიდეც კაბა და უცეკვია. დეკადის დამთავრების 14 იანვარს კრემლის ბანკეტი გაიმართა. ხელოვნების ელიტა პოლიტბიუროს ელიტას ხვდებოდა. „ყველანი სტალინს ვუყურებდით, მანამდე მხოლოდ მის პორტრეტებს ვიცნობდით. დაბალი ტანის იყო თითქოს მარცხენა ხელის ხმარება ეძნელებოდა." –ამბობდა ნინო. დეკადის შემდეგ ილიკო და ნინო სტალინის აგარაკზე მიიპატიჟეს. სტუმართა შორის იყვნენ: ლავრენტი ბერია, სერგო ორჯონიკიძე, მიხეილ კალინინი, ვოროშკოვი და სხვანი. ილიკო ცეკვავდა და მის შემხედვარე სტალინს უთქვამს:" რა განათლებულია, ღმერთძაღლი, ფეხებშიო". აღფრთოვანებულს ილიკო გვერდზე გაუხმია სასაუბროდ... როგორც 37 წლის ტრადიციას შეეფერებოდა, თეატრის დირექტორი სტალინთან სასწრაფოდ გაჩნდა, რომ მისი შთაბეჭდილებები გაეხელებინა და უთქვამს: „მართალია ილიკო კარგად ცეკვავს, მაგრამ კომკავშირში ძალიან ცუდად მუშაობსო". იმ დროისათვის ეს არცთუ უსაფუძვლო არგუმენტი იყო. მოხდა საოცრება - ბელადმა უპასუხა: „გაუშვი ამან ასე იცეკვოს და კომკავშირში სხვამ იმუშაოსო" კომკავშირულმა არგუმენტებმა ნაყოფი არ გამოიღო. ცოტა ხანში სტალინი ილიკოს მიუბრუნდა და ჰკითხა: „მთხოვე რა გინდა, რით დაგეხმაროო." ილიკო სრულიად უპოვარი იყო, უამრავი რამ სჭირდებოდა, მაგრამ შინაგანმა ალღომ არც აქ უღალატა და მიუგო: „თქვენი სურათი მაჩუქეთ წარწერითო". წვეულება გაგრძელდა, დასასრულს მან თავის იდეოლოგიურ თანამზრახველებს ცეკვა მოსთხოვა... სიტყვას ვინ შეკადრებდა, ცეკვავდნენ... დილის 6 საათი იქნებოდა, რომ დაიშალნე, როცა დავემშვიდობეთ და მანქანაში ჩავსხედით, ვხედავთით მარტო დარჩენილი სტალინი როგორც წმენდდა დაორთქლილ ფანჯრებს, რომ მისი აგარაკიდან მიმავალი ქართველებისათვის კიდევ ერთხელ შეევლო თვალი. ასე მეჩვენა, თითქოს იმ დღეს მასში რაღაცამ გაიღვიძა" - იგონება ქ-ნი ნინო.

გადიოდა დრო... ნინოსა და ილიკოს ანსამბლის შექმნის სურვილი მოსვენებას არ აძლევდათ... 1944 წელს ილიკო საქართველოს ხელოვნების სამმართველოს უფროსთან მივიდა და დახმარება სთხოვა, რომ საქართველოში ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი შექმნილიყო. იგი თვლიდა, რომ მდიდარი ქორეოგრაფიული ფოლკლორის მქონე საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ხალხური ცეკვების ანსამბლი. ეგაძე დახმარებას დაჰპირდა. გახეთში გამოცხადდა, რომ მსურველებს შეეძლოთ გამოცდაზე მისვლა. მაინცდამაინც ბევრი მსურველი არ ყოფილა. ამ დროს მოცეკვავეები საქართველოში ერთეულები თუ იყვნენ და „მე და ნინოს გარეგნული მონაცემების მიხედვით მოგვიხდა შერჩევა, შემდეგ მათი საგანგებო სწავლება" წერდა ილიკო.

კონსერვატორიის დარბაზიდან ოფიცერთა სახლის სცენაზე, ოფიცერთა სახლიდან კულტურის სახლში... ილიკო იმედს არ კარგავდა, გულს არ იტეხდა და ყველაფერს ცდილობდა მიეღწია ოცნებად ქცეული მიზნებისათვის. ამ ხნის მანძილზე არც ერთმა მოცეკვავემ არ იცოდა, რომ ოფიციალურად დიდი ხანია დაშლილნი და გაუქმებულნი იყვნენ. ასე სცენიდან სცენაზე გადადიოდნენ, სადაც ვითომ გასტროლებზე მიდიოდნენ და უხელფასოდ, უსახსროდ განაგრძობდნენ არსებობას. ნახევრად მშიერი მოცეკვავეები ძალღონეს არ იშურებდნენ მიეღწიათ წარმატებისათვის, ატყუებდნენ ხალხს, ისინი კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ანსამბლი დამტკიცებულია და რაკი დარბაზი არ ჰქონდათ, ამიტომ იძულებულნი იყვნენ სხვადასხვა დარბაზებში ემუშავათ. 1945 წლის ადრეული გაზაფხულისათვის იმ ცივ ღამეს ცკ-სკენ მიმავალი სუხიშვილის წინაშე ორი სრულიად კონკრეტული ამოცანა იდგა: ხელმძღვანელობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჩანაფიქრი თავისი ეფექტურობითა და მხატვრული დონით სახელმწიფო ხელშეწყობას იმსახურებდა და, რაც მთავარია არ მოდიოდა წინააღმდეგობაში მარქსისტულ „ესთეტიკის" პრინციპებთან. პირველი ამოცანა ილიკომ ბრწყინვალედ გადაწყვიტა. ერთ-ერთი პარტიული მუშაკის კაბინეტში მან სპექტაკლი გამართა. პარტიისა და საიდუმლო პოლიციის შეფებს მარტომ უცეკვა და უმღერა მთელი ორსაათიანი პროგრამა ათასგვარი კომენტარებითა და განმარტებებითურთ. გამორჩეული სამსახიობო ნიჭისა და არტისტიზმის მეშვეობით მან საჭირო ეფექტს მიაღწია. ახლა აუცილებელი იყო ხელმძღვანელი მუშაკებისათვის იმის დასაბუთება, რომ ქართული ტრადიციული ხელოვნებისა და მოდერნის ზღვარზე შექმნილი ეს ფანტასტიკური ბალეტი არ იყო „ბურჟუაზიული დეკადანსისა და რეაქციული ინდივიდუალიზმის პროექტი" მკვეთრად გამოხატული შემოქმედებითი ინდივიდუალურობა და სრული აპოლიტიკურობა, ერთი შეხედვით, გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნიდა ილიკოს. ინდივიდუალიზმის ყოველნაირ გამოვლინების წინააღმდეგ მებრძოლი კომუნისტები მხატვრული ნაწარმოების მთავარ ესთეტიკურ ღირებულებად „ხალხურობას" აღიარებდნენ ამ რთულ ვითარებაში გამოვლინდა ილიკო სუხიშვილის კიდევ ერთი სოცარი უნარი: უტყუარი დიპლომატური ალღო. მან მოძებნა მარტივი, მაგრამ ერთადერთი შესაძლო გამოსავალი: პარტიის მესვეურთა მიერ იმ ღამეს ნანახი და მოსმენილი ხალხურ შემოქმედებად გამოაცხადა. ეს ყველაფერი, ფაქტიურად, ავტორობაზე უარის თქმას უდრიდა, სამაგიეროდ „ხალხური ცეკვის ანსამბლად" მონათლულმა ქართულმა ბალეტის არსებობამ უფლება მოიპოვა." ახლა, როცა იმ ისტორიულ ღამეს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს, ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რა არის სუხიშვილისა და რამიშვილის მიერ შექმნილი საცეკვაო ფანტასმაგორაში მართალა ხალხური თუ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი. ერთი კი უდავოა თავისი არსით ეს არის ღრმა ეროვნული, ჭეშმარიტად ქართული ქორეოგრაფია. ცეკვის იდუმალი ენა, როგორც ცნობილია, ინახავს იმას, რასაც ხანდახან შეგნებულად ივიწყებს, ან ისტორიულ ქარტეხილებში კარგავს ერის ცნობიერება. ხალხური ცეკვის წიაღში შემონახული ფარული მინიშნებები ქართველთა სულიერ წყობასა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ლიდერის ფენომენსაც ეხმაურება.

გრიგოლ რობაქიძემ „ქართულის" შემსრულებელი მამაკაცი „ვეფხვს" შეადარა, რომელიც სარკეში იცქირება. საკუთარი ანარეკლის ჭვრეტა ხომ მსახიობების თვისებაა, მსახიობებისა, რომელნიც ვეფხვის როლს ასრულებენ და თან გამუდმებით ამოწმებენ თავიანთ თავებს, რომ შემთხვევით კატის მოძრაობა არ გაეპაროთ. იქნებ სწორედ ცეკვა „ქართულმა" შამოგვინახა ყველაზე ზუსტად და შეულამაზებლად ქართველი კაცის ჭეშმარიტი, მაგრამ საგულდაგულოდ დაფარული სახე, სახე მარადიული მოთამაშისა, რომელსაც მუდამ ამოძრავებს დაუძლეველი სურვილი, ცხოვრება სპექტაკლად აქციოს. მამაკაცის მიმოხვრა,

მისი მიმიკა, ანდა ქალის თავდაპირველი უარი საცეკვაოდ მოპატიჟებაზე და მხოლოდ შემდეგ ცდაზე დათანხმება ფარული დასტურია იმის, რომ ქართველი ტრფობის დროსაც არ დალატობს თავის არტისტულ ბუნებას და თვით სიყვარულიც, რომელიც გრძნობებას უშუალობას მოითხოვს, ვერ აიძულებს წამით მაინც დაივიწყოს სარკე, რომელშიც წამდაუწუმ იცქირება. სადღაც აქ იმალება ცეკვა „ქართულის" მიმზიდველი საიდუმლო, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და აუხსნელ სიამოვნებას ანიჭებს შემსრულებელსაც და მაყურებელსაც. სიმართლე საკუთარი თავის შესახებ უმთავრესი განძია ერისათვის, მითუმეტეს ელეგანტურად ნათქვამი სიმართლე. სუხიშვილების ნაციონალურ ბალეტში კიდევ ერთი ადამიანის ნიჭიერება ტივტივდება - ეს სულიკო ვირსალაძე იყო, რომელმაც შემოქმედების თვალისა და ალღოთი მოახდინა ტრანსფორმირება და შექმნა ახალი სამოსი. „ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი წარმატებისა სწორედ მის მიერ შექმნილი კოსტუმებია, მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის პრესას გვერდი არ აუვლია სულიკოს შემოქმედებისათვის. ხშირად ფარდის აწევისთანავე, ცეკვის დაწყებამდე, დარბაზში ტაში ისმოდა, ეს ტაში სულიკოს ეკუთვნოდა ამბობდა ქ-ნი ნინო.

ილიკო სუხიშვილი საუკეთესო მოცეკვავესთან ერთად უდიდესი დიპლომატი იყო, იგი უარს აცხადებდა ილეთების ავტორობაზე და მათ ხალხურად „ნათლავდა". ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელი იყო ლიდერის ყველა თვისება. იყო პროფესიონალი, დიდი დიპლომატი, ზუსტად იცოდა რა, სად და როდის ეთქვა, როგორ ემოქმედა. არავისთვისაა უცხო სუხიშვილების მრავალრიცხოვანი შემადგენლობა, ხშირად ექმნებოდათ ტექნიკური პრობლემები და კონცერტის ჩავარდნის საფრთხე, მაგრამ გამორჩეული ლიდერისათვის არ არსებობდა დაბრკოლება... ლიდერი ხომ ყოველთვის ყველა სიტუაციიდან ჰპოულობს გამოსავალს. სუხიშვილების I თაობის მოცეკვავეები იხსენებენ კონკრეტულ შემთხვევებს მსგავსი შემთხვევებისა და აღნიშნავენ რომ ილიკოსათვის არ არსებობდა მოუგვარებელი პრობლემა: „რიგაში ჩასვლისას მაშინდელი ადმინისტრატორი ბელსკი ძალიან ცუდ ხასიათზე დაგვხვდა. გაირკვა, რომ ფილარმონიამ კონტრაქტზე ხელი არ მოგვიწერა, სალაროზე იმუშავეთ, ვინაიდან 100 ბილეთის მეტი არ გაიყიდაო, არადა დარბაზში 1500 ადგილი იყო. ცოტა ხნით ილიკო დაფიქრდა და იპოდრომის დირექტორთან გადაწყვიტა შეხვედრა. გამოართვა ეტლი და ცხენები. ეტლში ქართულ კაბასა და ჩოხაში გამოწყობილი წყვილი ჩასვა; ათ ლამაზ ჯიშიან ცხენზე 10 რჩეული ვაჟი ჩოხებსა და თავზე წაკრული ყაბალახებში შესვა და ეტლს გააყოლა, როგორც მაყრიონი. დოლი-გარმონისა და არღნის ხმაზე რიგის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე შემოატარეს! ხალხი გაკვირვებული უყურებდნენ მათ, ესენი ეუბნებოდნენ რომ ამ საღამოს კონცერტის მსახიობები იყვნენ. 7 საათისთვის 1500 ბილეთი გაიყიდა. სრული ანშლაგი იყო" იგონებს აკად. ცისანა კაკაბაძე.

„გერმანიაში გასტროლების ერთ-ერთი კონცერტი დია სცენაზე იყო დაგეგმილი, იმ დღეს კოკისპირულად წვიმდა, დარბაზი ხალხით იყო სავსე, მაგრამ სცენა სარკესავით ცურავდა, ჩვენ ცეკვა არ შეგვეძლო. ბატონმა ილიკომ ბენზინი მოატანინა, სცენაზე მოასხეს, ცეცხლი წაუკიდა და სცენა მოაშრო. ასე მეორდებოდა ცეკვის შუალედებში, მეორე დღეს გერმანიის წამყვანი გაზეთები წერდნენ: „ქართველები ცეცხლში ცეკვავდნენო" - იხსენებს სუხიშვილების I თაობის მოცეკვავე იური რატიანი. ისენი ახასიათებენ თავიანთ ლიდერებს: „ქ-ნი ნინო და ბ-ნ ილიკო რეპეტიციების შემდეგ ჩვენი უფროსი მეგობრები იყვნენ. რეპეტიციებზე კი რკინისებური დისციპლინა ჰქონდათ დამყარებული: არ უნდა დაგვეგვიანა მუდამ მოწესრიგებულნი უნდა ვყოფილიყავით, ვერც ერთი ვაჟი ვერ გაბედავდა წვერგაუპარსავი მისვლას, თუნდაც რეპეტიციაზე. სუხიშვილების მოცეკვავეები ყველაგან

გამოვირჩეოდით ჩაცმის კულტურითა და ელეგანტურობით ეს მათი დამსახურებაა, რომელიც დღემდე მოგვყვება. ხალხური ცეკვის ანსამბლი ვაჟკაცობისა და ადამიანობის სამჭედლო იყო..." სუხიშვილებმა აღიარება პირველივე გასტროლებიდან მოიპოვეს. დღითი-დღე იზრდებოდა ქართული კულტურით აღტაცებული ქვეყანათა რიცხვი: პოლონეთში გასტროლებისას ერთ-ერთი ორგანიზატორის ინიციატივით ხმლები ფოსფორით დაფარეს. ფარიკაობას 50 კაცი ასრულებდა. შუქში წამიერად ქრებოდა ფოსფორის ხმლები ელავდნენ. მაყურებელი გაოგნებული იყო: „დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ცეკვის ბოლოს სცენაზე რამდენიმე მოჭრილი თავი ეგდებოდაო."

1968 წელს ბრაზილიაში ქ. სანტოსში ლეგენდარული პელე სტადიონზე ქართველებს მასპინძლობდა. პრესა წერდა: „ილიკო სუხიშვილი ისეთივე მოვლენაა ქორეოგრაფიაში, როგორც პელე ფეხბურთში". 1975 წელს ბელგია, ლუქსემბურგი, პრესა აჭრელებულია სენსაციური სათაურებით: „ბრიუსელს ეწვია „მერვე საოცრება", იხ. უდიდესთაშორის უდიდესნი", „ისინი ჰაერში დაფრინავენ". 1989 წელი ასვტრალია - „ქართული ცეკვის თვითმყოფადობა ის არის, რომ მასში გადმოცემულია საქართველოსათვის დამახასიათებელი ცხოვრების მრავალფეროვნება და კონტრასტულობა." („სადიმეილი" ქ. ბრიზბენი) იმავე წელს „ნიუ-იორკ ტაიმსში" ქვეყნდება წერილის სათაური: „ფოლკლორის ძვირფასი ქვა კლასიკური წახნაგებით". პრემიერა ორი სიტყვითაა შეფასებული: „უბრალოდ გაოგნებული".

ეს სენსაციური სათაურები მეტყველებენ, რომ თუ რამოდენა ლიდერი ქმნიდა ხელოვნებას, აყალიბებდა ანსამბლს, იხარჯებოდა ბოლომდე და ამით მთელ გუნდს ხდიდა ლიდერად ხელოვნებაში...

ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა თავისი ისტორიის 50 წლის მანძილზე მოიარა 87 ქვეყანა, 1700 ქალაქი, მოაწყო 200-მდე ტურნე, წარმოდგენებს დაესწრო 50 მილიონი მაყურებელი. გავიდა წლები, შეიცვალნენ ვირტუოზ მოცეკვავეთა თაობები, შეიცვალა ცალკეული ცეკვების ნახაზი, გადაკეთდა ზოგიერთი ილეთი, მაგრამ ი. სუხიშვილის, ნ. რამიშვილის და სულიკო ვირსალაძის მიერ მოყოლილი ქართველთა სულიერი თავგადასავალი კვლავაც აუხსნელი მღელვარებით ავსებს მაყურებელთა გულებს და სახეცვლილი მსოფლიოს ტრაგიკულ არტიციზმით, იუმორითა და ტემპერამენტით აღსავსე პატარა ხალხის ამბავს უამბობს. ანმსაბლის თანამედროვე ისტორიას დღეს მათი შთამომავლები ქმნიან...

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. " ეორგიან აიტიონალ ალლეტ" 1996.
2. პირველი თაობის მოცეკვავეთა მონათხრობები.

დავით ტაბატაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-ტექნიკური.
სპეციალობა: საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი

"ლიდერი ქართულ ლიტერატურაში"

ლიდერი ზოგადად წინამძღოლს ნიშნავს, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა. ჩემი აზრით, ლიდერი უნდა იყოს განათლებული და ყოველთვის ცდილობდეს გაიღრმავოს ცოდნა, რადგანაც უცოდინარი ადამიანი ვერასოდეს შესძლებს წინამძღოლობას. იგი უნდა იყოს მიზანდასახული და მიზანსწრაფული, ენამჭევრი, რათა შეეძლოს ზემოქმედება მოახდინოს ადამიანების გარკვეულ ჯგუფზე და თვითონ უნდა აძლევდეს სხვას მაგალითს, იყოს
სამართლიანი და თავის ქვეყნის ერთგული, ღერძი რომლის გარშემოც იტრიალებს ხალხი, ინიციატორი მრავალი კარგი საქმისა.

ასეთ პიროვნებად ქართულ ლიტერატურაში გამოვარჩევდი გრიგოლ ხანძთელს, რომელმაც თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით შეძლო არამხოლოდ სასულიერო პირთა წინამძღოლობა, არამედ საუფუძველი ჩაუყარა ქვეყნის გაერთიანებას და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. იგი იყო საუკეთესო ორატორი; „სიტყვაი მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაითა" ეს უნარი მან არაერთხელ გამოავლინა. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ დალოცა მან მეფის ძენი ან როგორ შთამბეჭდავად აღწერა ხანძთის ბუნება.

ყურადსაღებია ისიც, რომ გრიგოლ ხანძთელის ყოველი ნაბიჯი წინასწარ არის მოფიქრებული და გათვლილი. ნებისმიერი მისი ქმედება ქვეყნის საკეთილდღეოდაა გამიზნული, მან სწორედ გათვალა ის რომ იერუსალიმის მაგივრად კონსტანტინოპოლში ჩავიდა. ვფიქრობ, სწორედ ამის შემდეგ მოიპოვა ქართულმა ეკლესიამ წირვის ქართულ ენაზე აღვლენის უფლება.

მან ზუსტად გათვალა აგრეთვე ისიც, რომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ტაო-კლარჯეთში დაიწყო, რომლის ბუნებრივი პირობებიც ნაკლებ საცდუნებელს შეუქმნიდა ბერებს. იგი ყოველთვის იღრმავებდა ცოდნას. ეცნობოდა სხვა ქვეყნების ცხოვრებას და წეს-ჩვეულებას და მხოლოდ საფუძვლიანად შესწავლისა და გაანალიზების მერე ქართული მენტალიტეტის გათვალისწინებით ნერგავდა თავის ქვეყანაში.

იგი ლიდერისათვის აუცილებელი ორგანიზატორული ნიჭითაც არის დაჯილდოებული. მას შეუძლია სწორედ გაანაწილოს საქმე და მოითხოვოს მისი შესრულება.

ხანძთელმა თავისი მოღვაწეობით უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა, იგი სამართლიანი, მკაცრი და მომთხოვნია პირველ რიგში თავისი თავისა და შემდეგ სხვების მიმართ, რადგანაც იცის რომ ის არის ყველასთვის მაგალითის მიმცემი.

ხანძთელმა, როგორც ქვეყანაზე მზრუნველმა პატრიოტმა, იცოდა რომ სამშობლოს გაძლიერებისათვის აუცილებელია განათლება, ამიტომაც ეკლესია-მონასტრების მშენებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც სწორედ ეკლესია წარმოადგენდა საგანმანათლებლო კერას.

იგი თავის ძმობის წევრად არ იღებდა უღირს ადამიანებს, რადგანაც არასოდეს აინტერესებდა მასზე დამოკიდებულ ადამიანთა მხოლოდ რაოდენობა. პირველ რიგში გამოცდიდა და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა ძმობის წევრად.

„მამაი გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა და უკეთუ იპოვის გულითა უმანკოი უზაკველი და უდრტვნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეტილსა საქმესა იგი შეიწყნარის სიხარულით„

მან სწორად გათვალა და გამოიყენა ისიც, რომ იმდროისათვის ამირას ზეგავლენა შესუსტებული იყო და მცხეთაში ეკლესიის წინამძღოლად ქართველებისათვის საჭირო ადამიანის დანიშვნას შეუწყო ხელი, თუმცა ამისათვის ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა: იგი დაუპირისპირდა გუარამ მამფალს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიდერი რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ თავისი ქვეყნის სიყვარული, წინააღმდეგობებს არ შეეპუება და ბოლომდე იბრძოლებს დასახული მიზნის მისაღწევათ.

ზურაბ მოსიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტი: პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა. სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები

"ლიდერის ფენომენი საქართველოს მაღალმთიან რეგიონში" (ხევისბერობის ინსტიტუტი)

მთიელთა წარსული ცხოვრება დღესაც ზოგჯერ ეგზოტიკურ ბურუსში წარმოგვიდგება: ფიჭვნარით დაფარული ფერდობები, თოვლით მოჩითული ალპური საძოვრები, ზედ შეფენილი ცხვრის ფარებით და სალამურიანი ბედნიერი მწყემსებით, მჩქეფარე ნაკადულები, წყაროები, უფრო ქვევით - აბორგებული ხევები, ჯანღებში მიკარგული ბილიკები და სადღაც შორს, ცის ტატნობზე მოქანავე კოშკები, რომელთა გვერდით ათიოდე სახლია შეჯგუფული ფრინველთა გუნდივით. სოფლის თავს ქვისყორის ხავსიანი სალოცავი ირმებისა და ჯიხვების რქებით. მლოცველიც აქვეა: ლომფერ ვაჟებს, რომელთა მუხლი ცხენზე შეჯდომისასაც არ იღუნება, თავები დაუხრიათ და მუხლი მოუყრიათ ხატის წინაშე. ირმის დაბარჯღული რქები ცისკენაა აწვდილი ვედრებად, ჯიხვის შავი, მსხვილი, დაგრეხილი რქები მიწას ჩასცქერიან ხვეწნად მლოცველისა. თავს ზევით დამბადებელი ღმერთია მხოლოდ, დაბლა მზრდელი მიწა - ღირსნი ჩოქვით ხვეწნა - ვედრებისა.

თუ ახლოს მივალთ, დაგვხვდებიან მთიელნი, ამ მთებივით ამაყნი და წყაროებივით ლაღნი.

ეს ლოცვა და სურვილი.
სინამდვილეში კი მთელი ცხოვრება სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილია - ან ერთი, ან მეორე!

-მტერი მოადგა ციხეს, ერთი ას მომხვდურს ებრძვის, ციხე სადაცაა დაეცემა, კაცები დაიხოცებიან, დიაც - ყმაწვილს მტერი გარეკავს. ერთი ვალს მოიხდის - ციხის კართან დაეცემა დაჭრილ - აკუწული, მეორეს ტყვეობაში ელის სირცხვილი, აბუჩად აგდება.

სხვაც ბევრია კარს მომდგარი ჭირი: მეცხვარეს ნადირიც ემტერება და სადავლოდ გადმოსული დუშმანიც; უგზოობამ და ზვავებმაც ბევრი შეიწირა, ავადობასაც ხელს ვერავინ უბრუნებს...

და ცხოვრობს ასე მთიელი. და მოაქვს საუკუნეების სიღრმიდან დარდსა და ტკივილში ნაწრთობი სული. არც არავის ყმად ყოფილა და არც არავინ ყმად ჰყოლია. მას ერთადერთი ბატონი ჰყავს და მას ემსახურება მთელი სიცოცხლე. ეს ბატონი მამა - პაპის ხატ - სალოცავია. მას მიმართავენ, როცა ძალიან უჭირთ, და მას მიმართავენ მაშინაც, როცა ძალიან ულხინთ. მთიელებს საერთო აქვთ ჭირიც და ლხინიც და ეს აძლებინებთ სწორედ გაუსაძლის ყოფასა და ტიალ წუთისოფელში. თუმცა მთიელი თავისი ბუნებით თავისუფალია, მისი ნება მაინც ემორჩილება სათემო - გვაროვნულ წეს - კანონებს, რომელთა დაცვასა და შესრულებს ფხიზლად სდარაჯობს ხევისბერი. მართალია, ერისთავ - მოურავები მეფის ბრძანებით ფშავის ხევში ჰკრეფდნენ მოლაშქრეებსა და ხარჯსაც იღებდნენ, მაგრამ მათ უფლება არ ჰქონდათ ფშავის შინაურ ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ, რომელსაც თემური ადათის მიხედვით ხევისბრები განაგებდნენ.

ხევისბერების სათავეში იდგა თავხევისბერი, რომელსაც ყველა ხევისბერი ემორჩილებოდა. თავხევისბერს ეკითხებოდა სათემო საქმეები. ის ხელში ლაშარის დროშითა და ჯვრით ხელში აფიცებდა და წინ მიუძღოდა საომრად მიმავალ ლაშქარს.

ხევისბერთა – მთის ლიდერთა საზოგადოებრივ – ადმინისტრაციული ფუნქცია ასე იყო განაწილებული: თითოეულ თემში საქმეს აწესრიგებდა ხევისბერი, თუ საქმეს ხევისბერი ვერ გადაჭრიდა, ან ეს მისთვის სამძიმო იყო, მაშინ თავხევისბერს მიმართავდნენ, რომლის გადაწყვეტილება თემისთვის კანონი იყო.

ლაშქრობისა და ზავის საქმეს არჩევდა და წყვეტდა თორმეტივე თემის საერთო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავხევისბერი. ამისათვის იწვევდნენ ყველა თემის ხევისბერებს და გვარის საპატიო მოხუცებს, რომლებიც იკრიბებოდნენ მათურხევასთან დამასტეს მინდორზე ან ღელეში, სადაც ღამის თევით დგებოდნენ. თემის ამ ყრილობაზე წყდებოდა ზავისა თუ ლაშქრობის საქმე და აქედან თავხევისბერის წინამძღოლობით ყველანი ლაშარის გორაზე ადიოდნენ. ლაშარში თავხევისბერი გამოიტანდა დროშას და ყველანი ფიცს დებდნენ. თუ მტერზე გალაშქრება გადაწყდებოდა, თავხევისბერი დროშით ხელში ლაშქარს წინ გაუძღვებოდა და ყველა თემი ერთად იბრძოდა.

და ისე, როგორც ბარში, მთაშიც იბადებოდნენ, შრომობდნენ, უყვარდათ, სძულდათ, ემსახურებოდნენ ოჯახს, თემსა და ქვეყანას, თაყვანს სცემდნენ წარმართობაში კაც – ღმერთებსა და ხატ – ღმერთებს, ქრისტიანობაში უფალს. და ყველგან, ყოველთვის თან სდევდათ ფხიზელი თვალი გამორჩეული ლიდერისა, თავკაცისა ანუ ხევისბერისა.

ხებისბერის ინსტიტუტი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, იხვეწებოდა და საბოლოო სახით ჩამოყალიბებულმა ჩვენს დრომდეც მოაღწია. თუმცა დღევანდელი ხევისბერი სრულებით არ ჰგავს თუნდაც მეჩვიდმეტე საუკუნის ხევისბერს. თუ წინათ სოფელში, ანუ თემში ხიდან ფოთოლიც ვერ ჩამოვარდებოდა ხევისბერის უკითხავად, ახლა მისი მოვალეობა მხოლოდ ხატობაში მისულ მლოცველთა მსახურებაა – საკლავის დაკვლა, ქადის გაჭრა, დალოცვა – დამწყალობნება.

ხევისბერობასა და ხევისბერებზე მდიდარ მასალას გვაწვდის ხალხის მეხსიერება, ფოლკლორი თუ ლიტერატურული ეპოსი, რომელშიც გალექსილია მებრძოლთა თავდადება და ვაჟკაცობა, ხევისბერების გონიერება, გამჭრიახობა, სიდინჯე და გასაჭირში ბრძნული გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ამ მხრივ საყურადღებოა ფშავლების ბრძოლა ზურაბ არაგვის ერისთავთან. ამ ბრძოლის შესახებ ისტორიული ცნობები ქართულ მატიანეში არ მოიპოვება, მაგრამ მისი ეპიზოდების გალექსილი გადმოცემანი ფშავში დღემდე შემონახულია.

მთიულეთ – ხევის დამორჩილების შემდეგ ზურაბმა ფშავ – ხევსურეთისაკენ გაილაშქრა და ორწყალში ჩავიდა, სადაც სასტიკად დაამარცხეს ფშავლებმა და განრისხებულ ერისთავს იერიში ლაშარის ჯვარზე მიუტანია, რომლის ყმად მთელი ფშავ – ხევსურეთი ითვლებოდა.

ზურაბმა კარგად იცოდა, რომ ლაშარის ჯვრის ხელში ჩაგდებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ფშავის დასაპყრობად, რადგანაც ეს ადგილი იყო

თემური ფშავის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი. აქ ესვენა ლაშარის დროშა და აქვე წყდებოდა სათემო საქმეები, საიდანაც თავხევისბერი მოუწოდებდა ფშავლებს ზურბის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ, რადგან "ლაშარის ყმათ სხვისი ყმობა არ მაუდისო". მალე დამარცხებული ზურაბი ლაშარიდან გაქცეულა და თან გამარჯვებულთა ყიჟინა და დაცინვა გაუყოლებია:

" ორწყალში ჩავა ზურაბი,
ქალია ჩიქილიანი,
ჩაეუბნება მსახურთა:
ცხენი რა მექნა ტიალი?"

ამ მედგარ ბრძოლაში ფშავლებს წინ მიუძღოდა ხევისბერი და თან იბრძოდა და თან ჭკვიანურ მითითებებს აძლევდა ლაშქარს. ფშავლებმა თავი დააღწიეს ფეოდალების ბატონყმურ უღელს და თავიანთი თემური თავისუფლებაც ბოლომდე შეინარჩუნეს.

ხალხური გადმოცემით, როცა შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი მოაოხრა, ახლა ფშავის დაპყრობა და ლაშარის განძის ხელში ჩაგდება განიზრახა. ფშავ-ხევსურეთს ეს გაუგია და დახმარება თავხევისბერ გოგოლაურისთვის უთხოვიათ. ხევისბერს ბრძოლის წინა ღამე ლაშარის გორაზე, ხატის წინ მუხლმოყრილს ლოცვა-ვედრებაში გაუტარებია, დღისით კი მისი მოიმედე მეომრები არაგვის ვიწრო გასასვლელში, ეგრეთწოდებულ ნაწვეთაში ჩაუსაფრებია, შეუკრავთ გზა და მტერი იქვე ამოუხოციათ. დახოცილთა სისხლს, ხალხური თქმულებით, არაგვის წყალი წითლად შეუღებია და ის ორი კვირა არ დაილეოდაო.

ფშავ-ხევსურეთს თავდაცვა უხდებოდა აგრეთვე მეზობელი ტომებისგან, რომლებიც ნადავლისა და ტყვეების გატაცების მიზნით მას თავს ესხმოდნენ და ამ კუთხეს იკლებდნენ,

ამ მხრივ, ხალხური თქმულებით, მძიმე იყო თუშების თარეში, რომლებსაც ფშავში მეკობრედ უვლიათ. მათი მეთაური თილისძე ყოფილა. ამ მეკობრე თუშებსა და ფშავლებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა ხოშარაში მომხდარა; თუშები გაუფრთხილებიათ:

" თუშნო ხოშარას ნუ ჩახვალთ,
ხოშარა ეკლიანია,
შიგ სამნი მგელნი ბუდობენ,
სამნივე ლეკვიანნია,
თუ ჩახვალთ, ვედარ ამოხვალთ,
გიორგი ეტლიანია. "

გიორგი ეტლიანი ლაშარის წმინდა გიორგია, რომელიც ხელს უმართავს თავის ყმათ განსაცდელში და არც ამ ბრძოლაში უმტყუნებდა მათ (გაივლის რამდენიმე წელი და თეორ ცხენზე ამხედრებული ღვთაება წინ გაუძღვება ბახტრიონის ასაღებად დაძრულ მთიელებს და გაამარჯვებინებს კიდეც მათ) მართლაც ფშავლებს თუშები დაუმარცხებიათ და დიდის ზარალით თილისძე გაქცეულა, დახოცილი თუშების ჩითები (ნაქსოვი ჭრელი ფეხსაცმელი) ფშავლებს გოდრებით უზიდნიათ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობა გამოუჩენია ხევისბერ გიორგი წოწკურაულს. ხოშარაში დამარცხებული თილისძე ამ ამბავს დედას ასე მოუთხრობს:

“ – ერთ მე მოგიველ დედაო, სხვა ბევრი ვერ მოდიოდა,
წოწკურაულის ისარი გველივით შამოწიოდა,
შიგ მოდიოდა ჯარშია, ცხენებს მხედრები სცვიოდა,
. . . . . .
სუმელჯი წოწკურაულმა, ყელდილიანის ქმარმაო,
მაგის გამოკრულს ისარსა ვერ დაუფარა ფარმაო,
მაგის ჩახოცილ თუშები ანდაკს გარიყა ღვარმო,
იმდენი ჩითა გახადეს, გოდრით გაიყვა ჯარმაო . “

ამ ბრძოლის შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთის ხევისბერები ლაშარის გორზე შეყრილან და შერიგება და საერთო მშვიდობის ჩამოგდება დაუდგენიათ. თილისძე ლაშარობას ფშავში მისულა და ლაშარის ჯვარისთვის თეთრი ქორა ხარი მიუყვანია, ხოლო 1658 წელს, როცა სელიმ ხანმა ბახტრიონსა და ალავერდში თათრები დაასახლა, საერთო ბრძოლისაკენ თუშებმა პირველად სწორედ ფშავ – ხევსურეთს მოუწოდეს.

ფშავ-ხევსურეთის ლაშქრის შეყრას ლაშარის გორზე ასე გადმოგვცემს ვაჟა ფშაველა :

“ სამღვთო ქმნეს ფშაველ ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია. . .
ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია,
ხევისბრობს ბერი ლუხუმი
ხმატკბილად მოუბარია,
გმირთა ქებით და დიდებით
გული ვერ მოუფხანია. . . / “ ბახტრიონი “ /

საქართველოს მთიანეთი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბარში რომ საომარი მდგომარეობა გამოცხადდებოდა, მთაშიც ქუდზე კაცს დაიძახებდნენ და მთიელი ვაჟებიც ხევისბერების წინამძღოლობით ბარში ჩამორბოდნენ მოძმეთა დასახმარებლად.

მათი იმედი ყოველთვის ჰქონდა ქვეყანას და ამის დასტურია ფშავისა და თუშ – ხევსურეთის ხევისბერების მონაწილეობა თეიმურაზ I – სა და რუსეთის ხელმწიფის, ალექსი მიხეილისძის შორის დიპლომატიურ მიმოწერაში 1657 წელს. სწორედ ეს ხევისბერები გაგზავნა თეიმურაზმა მოსკოვში ელჩებად და მეფე ალექსის ქვეშევრდომობა და მფარველობა სთხოვა. ქართულ ისტორიულ წყაროებში ბევრი მაგალითია მსგავსი ამისა. ისიც ცნობილია, რომ ძნელბედობის ჟამს მთაში იხიზნებოდა ქვეყნის საუნჯე და სალარო და რომ მთიელი ხევისბერები მტკიცედ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და რომ მთაში არავის ახსოვს, შენახული სიმდიდრე ვინმეს გაეძარცვა და ამით მთიელთა ღირსება შეელახა.

ხანგრძლივ საომარ მდგომარეობას ხანმოკლე მშვიდობიანი ცხოვრება მოსდევდა. საზოგადოებრივი ყოფაც თავისი წესების დაცვით ვითარდებოდა. ამ წესებს ისევ ხევისბერი აკანონებდა და მის შესრულებას თემის ყველა წევრს აიძულებდა. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, დროდადრო თემში სხვადასხვა სახის დანაშაული მოხდებოდა, ან სხვა თემიდან თუ კუთხიდან გადმოხვეწილი დამნაშავე მიადგებოდა ხატის კარს და ხევისბერს თავშესაფარს სთხოვდა. ხევისბერი “ გაფიცვის ადათს “ შეასრულებდა – ხიზანს ხატში საკლავს მიაყვანინებდა, შემდეგ ხატისა და თემის

ერთგულებაზე დააფიცებინებდა. ამ ფიცის გატეხა თემის ღალატს ნიშნავდა და ხევისბერის ბრძანებით ხიზანზე თემი შურს იძიებდა.
გაფიცვასთან ერთად თემში დამნაშავეთა " მოკვეთაც " არსებობდა. მძიმე სათემო დანაშაულის დროს, როგორიც იყო თემისა და ხატის ღალატი, გვარის პირის გატეხა, დამნაშავეს თემი მოიკვეთდა – ხატში ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, საწირს არ გაუჭრიდა, სახვეწარს არ " დაუდიდებდა " და თან ასე დასწყევლიდა : " თემის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ დამნაშავე გაწირული, მოშორებული იყვეს თემისაგანაც, სოფლისაგანაც და ნათესაობისაგანაც... დღეის შემდეგ არც ვის აქვს ნება მას მიაწოდოს წყალი თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური თუ მშიერი ნახა, მიაწოდოს ცეცხლი თუ უცეცხლოდ ნახა... ყველას სახლის კარები დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მისი ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ – ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს თქვენა რისხამდეთ..."

ხდებოდა უმძიმესი დანაშაული – კაცის მოკვლა, რაც გვართა შორის შურისძიებას იწვევდა, ის სისხლისადებით თავდებოდა, ან არა და, " კაცის თავის ზღვით, " რასაც მთაში თავსისხლის " გადახდას " უწოდებენ.

მოსისხლე გვართა შორის ერთმანეთის ხოცვა რამდენიმე თაობა გრძელდებოდა, სანამ მათ შორის შერიგება არ მოხდებოდა. ბრძოლაში დამარცხებული ოჯახი ბოლოს იარაღს ყრიდა და შერიგებას ითხოვდა. ამ მიზნით დამნაშავე თხოვნით მიმართავდა გვარის უფროსებს ან თემის ლიდერებს და სთხოვდა მათ თავსისხლის შეფასებას. თემის ბჭეები შეიკრიბებოდნენ სათემო ხატის გალავანთან და აქ ხევისბრის თავმჯდომარეობით შეუდგებოდნენ საქმის გარჩევას და თავსისხლის შეფასებას. ფშაური ადათით ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭებოდა ადამიანის ვინაობას და ღირსებას. კაცის მოკვლისთვის დაწესებული იყო 80 ძროხა ან 360 ცხვარი. ჭრილობა დასახიჩრება და ასოს მოკვეთაც ძროხებით იყო გამოანგარიშებული და ამ მხრივ ფშავური ადათიც ვახტანგ გორგასლის კანონებს ემყარებოდა. მაგალითად მთელი ხელის მოკვეთა 15 ძროხად იყო შეფასებული, თითო ნეკისა 1 ძროხად, ცერისა კი 5 ძროხად. ხევისბერი ჭრილობას ქერის მარცვლებით ზომავდა, რომელსაც ჭრილობაზე ამწკრივებდა და რამდენი მარცვალიც მოთავსდებოდა იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა.

თავსისხლის გარდა დამნაშავეს ზოგჯერ ხევისბერი ართმევდა იმ ნივთსაც, რომელიც მოკლულის ნათესავებს მოეწონებოდათ და მათ გადასცემდა, ამას ეწოდებოდა "ალმანია" ან "ყისტი".

ალმანიისგან თავისუფალი ყოფილა ზოგიერთი სახელოვანი ხმალი, რომელიც ხევისბერისგან " დარისხებული " იყო და მისი ალმანიით წაღება არ შეიძლებოდა. ასეთი სახელოვანი ყოფილა ფშავში ბათურის ხმალი. ბათურს თავისი ხმლით სოფელ ბაჩალში (ივრის ხეობაში, თიანეთის რ-ნი) 19 ლეკი მოუკლავს. ეს სახელოვანი ხმალი ხევისბერს დაულოცია და არავის შეუძლია ამ ხმლის ვალში ან ალმანიაში წაღება.

თავსისხლის გადახდის შემდეგ ორივე მხარე რიგდებოდა და ამის სიმტკიცის ნიშნად ხევისბერი ხატში სამანს (გრძელ ქვას) ჩასვამდა, საკლავს დაკლავდა და მოდავე მოპასუხეს დალოცავდა.

ლიდერი მთისა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზენაესი მოსამართლეც ხდებოდა, სამართლის სხვდასხვა საქმეებს არჩევდა და დამნაშავეებსაც სათანადოდ სჯიდა. სასჯელი ორნაირი იყო: ფიზიკური და ზნეობრივი. საქმის

გარჩევის დროს ორივე მხარეს მოწმეები უნდა წარედგინა და თავი ემართლებინა. თუ რომელიმე მხარეს მოწმე არ ჰყავდა, მაშინ სიმართლის გამოსარკვევად "ღვთიურ მსჯავრს" მიმართავდნენ: მდუღარესა და შანთს. ბრალდებულს ხელი მდუღარეში უნდა ჩაეყო, ან ცხელი შანთი უნდა აედო და თუ ხელი დაეწვოდა დამნაშავე იყო, თუ არა და – მართალი. სწორი ჩვენების მისაღებად ხევისბერები მომჩივან – მოპასუხეს ხატში აფიცებდნენ. დაფიცების დროს ხევისბერი ერთ ხელში დაიჭერდა ღვინით ან არაყით სავსე თასს და მეორეში დროშას ანთებული სანთლით და იტყოდა: "ვინც მართალი არა თქვას და დამალოს, გაუწყრეს ემ ჩვენი ბატონის მადლი, დავლათი და ემ თასივით დაიქცეს იმის ოჯახიო (თასს დააქცევდა) და ამ" სანთლივით გაქრეს იმის სახსენებელი დედამიწის ზუგზეო (სანთელს აქრობდა).

ხევისბერები მტყუანს სათანადო სასჯელსაც მიუსჯიდანენ, რომელთა შორის ყველაზე მძიმე ჩაქოლვა და მოკვეთა იყო.

ჩაქოლვით ისჯებოდა ხატისა და თემის მოღალატე, თავის თემის ქალის გამტაცებელი და ნამუსის ამხდელი, აგრეთვე მრუშობისათვის. ხევისბერის ბრძანებით ასეთ დამნაშავეს ხიდის ყურთან ან გზაჯვარედინზე მიიყვანდნენ და ხალხი მას იქვე ჩაქოლავდა ქვით.

მოკვეთით ისჯებოდნენ : ქურდები, ხატის დამგმობნი, თემის პირის გამტეხნი, ქორწინებისა და წაწლობის წესის დამრღვევნი.

ხევისბერი იცავდა თემს ზნეობრივი ნორმების დარღვევისაგან. ისეთი ყოფითი საკითხებიც, როგორიც იყო ქორწინება და წაწლობა, ხევისბრის ჩარევის გარეშე არ გადაწყდებოდა.

ქორწილი იმართებოდა ვაჟის ოჯახის მხრიდან რამდენიმელწიანი ხვეწნა – მუდარისა და ქალის ოჯახის განგებ სიჯიუტის შემდეგ. ქორწილში გაიშლება სუფრა და მოწვეული ხალხი დაჯარდება. სარძლო – სასიძოს ერთად დასვამენ და წინ დაუდგამენ ღვინით სავსე ერთ გობს. ხევისბერი ამ გობს ანთებული სანთლებით საპატიო სტუმრებს მიაწოდებს. ყველანი ფეხზე დგებიან და ქუდებს იხდიან, მხოლოდ დანიშნულები სხედან და ხელში სავსე თასები და ანთებული სანთლები უჭირავთ. ხევისბერი წინ წადგება და ასე დაილოცება:

"დიდება შენდა, გიორგი მუხის ანგელოზო, ლაშარის ჯვარო, თამარ დედოფალო! გიორგი მუხის ანგელოზი გწყალობდეთ ერთგან შაყრილ ახალ ყოილთა, ერთურთს შაგაბერნეს, ერთ სასთაულზე დაგაბერნეს, გექნეთ ეტლიან - ბეტლიანი და ბედიან – დავლათიანი. გიორგი მუხის ანგელოზო, დაიცავი, დაიფარე ლაღის მტრისაგან და მწარე სიკვდილისაგან, უმატე ამათ სახლისა ღონესა, კაცსა – კაცრიელობასა, აგრემც გაემარჯვება თქვენს ხმალსა, თქვენს ძალასა და სამართალსაო! " ამის შემდეგ, ახალჯვარდაწერილ ნეფე – პატარძალს ქმრის სალოცავ ხატში გაიყვანენ და მათ ხევისბერი დაამწყალობნებს.

მთაში დამკვიდრებულ ტრადიციებს ერთგულად იცავდა და ემსახურებოდა ხალხის რჩეული ლიდერი, ვისაც დაუფიქრებლად ანდობდნენ ოჯახის სიკეთეს, ჯანმრთელობას, მშვიდობას, ანუ სიკვდილსა და სიცოცხლეს. ამ ტრადიციათაგან, ყველაზე მტკიცედ იყო დაცული დაძმობილების, ანუ "ფიც – ვერცხლის" ჭამის ადათი.

როდესაც ორ ვაჟს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული აქვს, ხატში შეიყრებიან, აიღებენ ჭიქით არაყს ან ლუდს და შიგ ვერცხლს ჩათლიან.

ხევისბერი აიღებს ამ სასმისს და იტყვის “თქვენს ძმობას გაუმარჯოს და კეთილი იყოს. ერთმანეთის დანდობა და სიყვარული გქონდეთო“. შემდეგ ძმობილებს სამ-სამჯერ შეასმევს ამ სასმისს და მასთან ერთად გაამეორებინებს :

“ჩემი დედა – შენი დედა, ჩემი და – შენი და, ჩემი ძმა – შენი ძმა, ჩემი ცოლი – შენი რძალიო. “ ამის შემდეგ ძმობილებმა ერთმანეთს არ უნდა უღალატონ, რაც თემში დიდი სირცხვილია და ხევისბერიც მკაცრ განაჩენს გამოუტანს მათ.

ხევისბერი ასრულებს სადღესასწაულო რიტუალებს, რომელიც ახალი წლის , ანუ “ წელწადის “ მიგებებით იწყება და მთელი წლის მანძილზე გრძელდება ხატობა – დღეობებში.

საახალწლოდ ხევისბერები ხატში მიდიან, იქ წმინდობენ და ხატს ღამეს უთევენ. როცა თენებას იწყებდა, ხევისბერი მივიდოდა საზარესთან, მუხლს მოიყრიდა და წმინდა გიორგის ევედრებ – ეხვეწებოდა ახალი მშვიდობიანი წლის დაყენებას, ახვეწებდა წმინდა გიორგის ყმათ და სთხოვდა მათთვის შვიდობასა და კაც – საქონლის გამრავლებას. მერე ადგებოდა, პირჯვარს დაიწერდა, ფეხზე ქალამნებს გაიხდიდა და წინდებიანი დიდის მოწიწებით და მოხაორებით მივიდოდა ზართან, კიდევ პირჯვარს დაიწერდა და სთხოვდა პატიებას, თუ რამე ჩემის უვიცობით გცოდეო. მერე ზარს სამჯერ ჩამორეკავდა და წამოვიდოდა დარბაზისაკენ. როცა დარბაზის კართან მივიდოდა, სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა და მარტო მისი ხმა ისმოდა:

“ღმერთო და ჩვენო სალოცავო – წყაროსთავ წმინდაო გიორგიო, დიდო კვირიავ ხვთის მაღლის მოკარვეო, ხვთისა და კაცთა შუამდგომელო, უშველეთ წმინდა გიორგის ყმათა, ფეხი ჩემი იყოს და კვალი ანგელოზისა, წელი მშვიდობისა დაუყენეთ, თქვენს ხვწნა – მუდარას ნუ დაუკარგავთ, წულსა და წულის აკვანს უმატეთ, წლის მოსავალს ჯვარი დაუწერეთ, თუ რამე ეხედვებოდეს მარცხი და ფათერაკი, თქვენს ორგულ მუხანათზე გადაიტანეთ თქვენი სახელის ჭირიმე“.

მილოცვის შემდეგ საკლავებს შემოიყვანდნენ და ხევისბერი ყელს გამოსჭრიდა. ხევსურეთში საკლავს ყელში წვერით გაუყრიდა ხანჯალს ხევისბერი და შიგნიდან გარეთ სჭრიდა ყელს, ფშავში კი პირდაპირ გამოუსვამდა გარედან ხანჯალს და მერე გადასტეხდა კისრის ძვალს. ხევსურეთში ისეთი ხმამაღალი ხმით ამწყალობნებს ხევისბერი, რომ ვერ გაარჩევ რას ამბობს, ფშავში კი ხევისბერი ძლივს გასაგონი ტკბილი ხმით ამწყალობნებს.

ხევისბერსა და ხევისბერობაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია მოკლედ შევეხოთ იმ საკულტო წეს – ჩვეულებებსა და რიტუალებს, რომლებსაც ისინი ხატობებში ასრულებდნენ და დღესაც ასრულებენ.

ფშავ – ხევსურები ოფიციალურად ქრისტიანებად ითვლებიან IVს – იდან, მაგრამ ხატობაში ისევ წარმართულ წესებს ასრულებენ. მთა ღარიბია ქრისტიანული ძეგლებით. მართალია XXI საუკუნის გარიჟრაჟი ქრისტიანობისაკენ შემობრუნებით დაიწყეს ფშავ – ხევსურებმა, მრავალი ეკლესია აშენდა, თიანეთისა და ფშავ – ხევსურეთის საეპისკოპოსოც შეიქმნა პატრიარქის ლოცვა – კურთხევით და თანდათან მრავლდება ღვთისმოსავი მრევლი, მაგრამ აქ მაინც შემორჩენილია წარმართული დროის ხატის “

საბრძანისები", სადაც ხალხი წინათ ლოცულობდა და ხატობა – დღეობებს იხდიდა და დღესაც ლოცულობს. მთიელთა რწმენით, ხატები ღვთისშვილები არიან და მათ ღვთისგან საყმო აქვთ ნაბოძები. ეს ხატები ოდესღაც ხორციელნი ყოფილან, შემდეგ ეს მადლიანი და უცოდველი ხორციელნი დახოცილან და ანგელოზებად ქცეულანო. ზოგიერთ მათგანს : კოპალას, იახსარს და პირქუშს ღვთისა და ადამიანების დევ – კერპები უხოციათ თურმე და ამისათვის ისინი ღმერთს დაუჯილდოებია და სულიწმინდებად უქცევია და ყმად ფშავის ხევი უბოძებია. ამიტომ ფშავლები თავიანთ თავს ამ სულიწმინდებადქცეული ხატების ყმად თვლიან. ხატს თვისი საბრძანისი აქვს, სადაც ის ღამე ზეციდან ჩამობრძანდება და დგებაო. ეს საბრძანისი წმინდად და შეუვალ ადგილად ითვლება, რომელიც მუხისა და იფნის ხეებითაა დაჩრდილული. საბრძანისი და მისი ნაგებობანი ყორის ქვით არის შემოზღუდული. ხატს აქვს საკუთარი მამული და ჰყავს კულტის მსახურნიც, რომელთა შორის პირველია ხევისბერი, მას მოწმინდართა შორის თვით ხატი ირჩევსო. ხმატკბილი მოუბარი ხევისბერის ყოფა სულიერების ნიშნითაა აღბეჭდილი: აკრძალვებში, მარტოობაში, ჯვრის პატიმრობაში, განდეგილობაში გადის ჯვრის მსახურის ცხოვრების მეტი წილი. რაც უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია ჯვარის მსახურს, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს მისი ცხოვრების წესი, მეტი სიწმინდით უნდა იყოს მოსილი. ხატის სამსახურისთვის ის საფასურს არ იღებს, მას ეძლევა საკლავის "ნასხეპი" – ნახევარი ცხვარი თავის თავ – ფეხით, კურატის თავი და ბეჭი. ნამცხვრებიდან – ქადის მეოთხედი და ხმიადის კვერები.

სათემო ხატებთან ერთად ფშავში არსებობს საერთო ხატი, "ფშაველთა სალოცავად" წოდებული ლაშარის ხატი. ხალხის წარმოდგენით ის უძლეველი მხედარია, მტრისაგან იცავს ფშავის ხევს, ლაშქრობის დროს ჯარს წინ მიუძღვის და და მძლეობის მომცემიაო. ეს უძლეველი მხედარი ლურჯაზე ზის და თავის ყმათ უხილავად დაჰყვება, რომ განსაცდელისგან დაიფაროსო. თვითონ ლაშარის ჯვარს ხევისბერი ხელმწიფედ მოიხსენიებს და მის გარდა არავის აქვს გალავანში შესვლის უფლება.

ხევისბერი ლაშარის დროშის გამობრძანების შემდეგ იწყებს ხალხის დამწყალობნებას, მახვეწარს ქადას გაუჭრის, სანთელს აანთებს, ყანწს ღვინით შეავსებს და ასე დალოცავს:

"წმინდაო ღმერთო, ღმერთო დიდებულო, ღმერთო ძლიერო, მართალო, დიდად სახსენებელო, ქვეყნიერების დამაარსებელო, დედაშვილობის გამჩენო, მამაო ზეციერო, ძეო ზეციერო, სულიწმინდავ, იდიდეთ, იძლიერეთ უკუნითი უკუნისამდე. მამა ზეციერო, დიდება და ძლიერება ჰქონდეთ შენს მიერ წმინდად ნაკურთხ მთისა და ბარის სალოცავებს, დიდება და ძლიერება მათ, სადაც ჩვენს წინაპრებს მუხლი მოუყრიათ, წმინდა სანთელი აუნთიათ, პირჯვარი გადაუწერიათ, ქადა გაუჭრიათ, სამშობლოსა და ოჯახისათვის ულოცნიათ.

გაუმარჯოს მთისა და ბარის ანგელოზებს, მთა – მთის წვერის სალოცავებს. თუშ - ფშავ – ხევსურეთის, მთიულ – გუდამაყრის, ქართლ – კახეთისა და საქართველოს ოთხივ კუთხივ მამა – პაპათ ნალოც ხატებს, 365 წმინდა გიორგის გაუმარჯოს. გაუმარჯოს კოპალას, ხმალა – ხმლიანს და სამართლიანს, ლაშარის ჯვარს, თამარ მეფეს, ადგილისა და ფუძის დედას, მთავარანგელოზს. ხელი მოგვიმართონ კარგ საქმეზე, მტერი დაგვიმარცხონ, ავადმყოფი მოგვირჩინონ, კარგადმყოფი კარგად გვიმყოფონ, ბარაქა მოგვცენ: ნახნავში, ნათესში, ნაწველში, ნადღვებში, გვიმრავლონ ორფეხი, ოთხფეხი, ქუდიანი და ჩიქილიანი.

ვეხვეწები სალოცავების ძალა ძლიერებას, აგვაცილონ ყველა მოსალოდნელი ფათერაკი, გვაშორონ: აგორებული ქვა, ადიდებული წყალი, გასროლილი ტყვია და მოქნეული ხმალი.

გეხვეწებით, დიდო სალოცავებო სიმშვიდე დაამყარეთ საქართველოში, გვასწავლეთ თანადგომა, ძმობა, ერთობა, გაამთლიანეთ ერი ერთი მიზნით – ვაშენოთ და ვადდეგრძელოთ წინაპართა სისხლით გაპოხიერებული ჩვენი მამული!"

ასეთი იყო მთიელთა გამორჩეული ლიდერის – ხევისბერის ცხოვრების წესი. ის იყო თავის ხალხის ბრძენი დამრიგებელი და გულმხურვალე ჭირისუფალი, თემის ზნეობისა და მართალი სამართლის პირუთვნელი მსაჯული. სწორედ ეს სრულყოფილება გამოარჩევდა მას სხვათაგან და დიდი სულიერი ტანჯვისა და განწმენდის გზით მიენიჭებოდა "ღმერთთან ლაპარაკის ნიჭი. "ეს ნიჭი, უპირველეს ყოვლისა დიდი სიყვარულია ღმერთისა და ადამიანებისა, სიყვარული, რომელიც "არასადა დავარდის" (I კორ, 13, 18)

ადამიანს მხოლოდ ეს ყოვლისმომცველი, უკიდეგანო სიყვარული გადაარჩენს, ერს კი ამგვარ ადამიანთა გაგება და შეწყნარება. ხევისბერების მსგავსი პიროვნებები ღმერთებივით გვეპყრობიან, ღმერთებივით ცხოვრობენ დედამიწაზე. მათი წასვლის შემდეგ კი ადამიანები უფრო ბრძენნი და უფრო სრულნი ხდებიან.

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

1. ს. მაკალათია – ფშავი . თბილისი, 1985.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვები. ტომი I. თბ. 1961.
3. ვაჟა ფშაველა – ეთნოგრაფიული წერილები, ტ X, 1964
4. ბარდაველიძე – "აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ – საკულტო ძეგლები, ტ I. თბ 1973 ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ჩაწერილია ჩემს მიერ, თიანეთის რაიონში. მთქმელები: ოთარ მოსიაშვილი, ნესტორ შუშანაშვილი (მოქმედი ხევისბერი)

ნინო ენდელაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: სამართლისა და სახელმწიფოს მართვის.
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

"იყო ლიდერი ნიშნავს..."

ადამიანის ფსიქიკაში ლიდერი ყველგან და ყოველთვის აღიქმებოდა და დაკავშირებული იყო იმ ადამიანთან, რომელიც თავისი ნებით ან ხალხის არჩევით აღიჭურვებოდა გარკვეული უფლებამოსილებით. ის გეზს აძლევდა, ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად გარკვეულ ადამიანთა ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა.

ლიდერობა პირველ რიგში დაკავშირებულია დიდ ძალაუფლებასთან, რომლითაც მას შეუძლია აიძულოს სხვას გააკეთოს ის რასაც ლიდერი უბრძანებს და მიიჩნევს სწორად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ლიდერი არ უნდა იყოს გაიგივებული მეთაურთან, რომელიც რაღაც ბრძანებებს იძლევა. მეთაური არ არის ლიდერის პროტოტიპი. ლიდერობა
თავისთავად გულისხმობს მეთაურობას, მაგრამ მეთაურობა არ ნიშნავს ლიდერობას.

ლიდერი, თვითაღიარებული იქნება იგი თუ ხალხისგან არჩეული, ყოველთვის ცდილობს, ერთ შემთხვევაში თავის, მეორე შემთხვევაში ხალხის ინტერესების დაცვას, მიზნის მიღწევას. ცდილობს ყოველთვის პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე, შექმნას ისეთი გუნდი რომელსაც ის ენდობა და რომელიც დაეხმარება მას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. ხოლო რაც შეეხება მეთაურს ის ინიშნება ვინმეს მიერ, შეიძლება რომ ეს პირადი ინიციატივითაც ხდებოდეს. ხშირ შემთხვევებში მეთაური ხელმძღვანელობს ისეთ ჯგუფს, რომელიც მას არ ენდობა ანდა ემორჩილება იმიტომ, რომ პირობითად მეთაურია ან ვიღაცის დანიშნული. ასეთ მმართველებს არ გააჩნიათ უნარი ხალხზე ზემოქმედებისა, ლიდერისგან განსხვავებით.

ლიდერი, ერთპიროვნული მმართველი იქნება იგი თუ დემოკრატიული, პირველ შემთხვევაში ახერხებს ხალხის დამორჩილებას ჩაგონებით და დარწმუნებით, მეორე შემთხვევაში კი-რადგან ის ხალხისაგან არჩეულია გულის- ხმობს ხალხის პატივისცემას მისადმი.

აქედან გამომდინარე ლიდერი ყოველთვის ახერხებს ხალხთან დაკავშირებას, საერთო ენის გამონახვას. მას შემდეგ რაც ლიდერი გარკვეულია ხალხის ინტერესებში თავისი გუნდის საშუალებით წარმატებით ახერხებს საკითხების გადაჭრას.

ირჩევს რა საზოგადოება ლიდერს აქედან გამომდინარე ენდობა კიდევაც მას. საზოგადოება ყოველთვის ხედავს ლიდერში ისეთ პიროვნებას რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას რაც უმჯობესი იქნება არა თავისთვის, არამედ ხალხისათვის.

ლიდერობა არ აძლევს ადამიანს იმის საბაბს, რომ აღიჭურვოს შეუზღუდავი უფლებამოსილებით და გააკეთოს ის რაც თვითონ სურს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არა ლიდერს არამედ დესპოტს, რომელიც მართავს ამა თუ იმ საზოგადოებას, ძალის გამოყენებით. ყველაფრის გაკეთებას თავის თავზე იღებს და არ ჰყავს იმ ადამიანების ჯგუფი რომლებთანაც ერთად ფუნქციების

შესრულებას გაინაწილებს. ის არ შეიძლება ჩაითვალოს ლიდერად რადგან ვერ აცნობიერებს თუ ვინ არის ლიდერი და ვინ დესპოტი მმართველი.

ნამდვილი ლიდერობა მჭიდროდ დაკავშირებულია ლიდერის ცხოვრებასთან. ხშირად უწევს ლიდერს თავის სურვილებზე უარის თქმა და სხვათა საკეთილდღეოდ ზრუნვა. ასეთი ადამიანი, ხდება რა ხალხისაგან არჩეული ლიდერი, ის აცობიერებს იმას, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ლიდერობა. ის ხვდება, რომ იყო ლიდერი – ნიშნავს ფლობდე განსაკუთრებულ თვისებებს, გქონდეს ინტელექტი, ორგანიზაციული ნიჭი, ორატორობის უნარი, შეგეძლოს იყო კონტაქტური ადამიანებთან და გქონდეს იუმორის გრძნობა საბოლოოდ კი ლიდერი ხვდება, რომ მას მოუწევს ბევრი რამის დათმობა ცხოვრებაში, ლიდერის ფორმის მოსარგებად აუცილებელია ჩაჯდე რადაც ყალიბში, რომელიც გულისხმობს თავისთავად შეზღუდვებს ცხოვრებაში.

ხშირ შემთხვევებში ლიდერს უწევს უარის თქმა ისეთ რამეზე, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება. ცხადია, ყოველთვის ერთი თმობს, რადგან ის ერთია, ხოლო ხალხი კი ბევრი. ზოგჯერ ის საკუთარ მესაც ეწინააღმდეგება. თმობს რა ლიდერი თავის პოზიციებს, აქედან გამომოდინარე ის ხვდება იმასაც, რომ თავადაც კი არ არის დაზღვეული შეცდომებისგან. ისიც შეიძლება შეცდეს ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. სწორედ ამიტომ სჭირდება ლიდერს გარშემო ისეთი ხალხი, რომლებიც მიუთითებენ მას შეცდომაზე და ურჩევენ სასარგებლოს. დესპოტი მმართველი კი „უაზრო ამბიციის“ გამო თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებს და თუნდაც არასწორი იყოს მისი ნაბიჯი, მაინც გადადგამს, რადგან თავად ჩათვალა სწორად. მის მიერ დაშვებული შეცდომა კი ხალხს ძვირად უჯდება და თავად მასაც.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ლიდერობა ადვილი არ არის და მისი განხორციელება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ლიდერს უწევს თავისი ფუნქციების განხორციელებისას მთელი რიგი საკითხების წინასწარ გათვლა, რადგან მისი შემდგომი ნაბიჯი სწორად გადადაგმული გამოვიდეს. წინასწარ რაიმეს გათვალისწინება არ შეუძლია ისეთ ადამიანს, რომელიც სხვას არ უსმენს, არ იზიარებს სხვის აზრს. ასე რომ, ლიდერობა შეიძლება ჩავთვალოთ ერთეულების ნიჭად, რადგან ყველა ადამიანი ბუნებით ლიდერი ვერ იქნება. იყო ლიდერი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს და მე ვთვლი, რომ ეს ყველას არ შეუძლია. ყველა ვერ შეძლებს ამ ფუნქციის შესრულებას, ვერ შეძლებს ზიდოს ლიდერის ტვირთი. ლიდერობის ტვირთის ზიდვა ადამაინებს სხვადასხვაგვაგვარად უწევთ: ზოგი ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს ლიდერის ყველა თვისებას, ზოგი მხოლოდ რამოდენიმეს, ზოგს კი სულ არ აწუხებს ის, რომ მასში ლიდერის თვისებები ნაკლებად არის. ისინი უკეთ იგრძნობენ თავს, თუ ნაკლებ პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ თავზე. მათ არა აქვთ პრეტენზია ლიდერობაზე და არ ცდილობენ მისთვის ბრძოლას. ადამიანი საზოგადოების ყველა სფეროში ერთნაირად ვერ იქნება ლიდერი, მაგრამ მან უნდა იცოდეს, თუ ვის რომელ სფეროში დაავალოს საკითხების მოგვარება. ამრიგად, იკვეთება ლიდერის მოქმედების მთავარი მიზანი, მოაგვაროს ის საკითხები, რომლებიც მის წინაშე დგას და შეასრულოს ის მოვალეობა, რაც მას ხალხმა დააკისრა. იმისათვის, რომ ლიდერი მზად იყოს ხალხის წინამძღოლობისათვის, აუცილებელია მან ჯერ თავის თავში აღმოაჩინოს ლიდერის ის თვისებები, რომელიც მას ჭირდება საკუთარი თავის შესაცნობად. ან უნდა შეაფასოს თავის შესაძლებლობლები და უკვე შემდეგ მოხდება მისი ლიდერად ჩამოყალიბება.

იმისათვის, რომ ადამიანმა მოახერხოს ლიდერად ჩამოყალიბება, უნდა გაითავისოს, თუ რისთვის უნდა იყოს პირველი და რა ფუნქცია ეკისრება მას. რომ გავიგოთ, რა როლს თამაშობს ის საზოგადოებაში, უნდა ჩამოვაყალიბოთ ის ფუნქციები, რომელიც აუცილებელია ლიდერობისთვის:

1. ლიდერი საზოგადოებაში არ უნდა იყოს ერთპიროვნული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უბრალოდ ვერ იქნება ლიდერი. ისეთ ადამიანს, რომელმაც შეგნებულად იცის, თუ რას ნიშნავს იყო ლიდერი, თავის გარშემო აუცილებლად ყავს ისეთი გუნდი, რომელსაც ენდობა, ის მას ავალებს ამა თუ იმ საკითხის მოგვარებას. ისმის კითხვა: ამით ლიდერი ხომ არ კარგავს თავის სტატუსს, თავის ძალაუფლებას? – არა, ყოველივე აქედან ჩანს მისი ის ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანების უჩინრად დამორჩილება და დაქვემდებარება. ამრიგად ლიდერის პირველი ფუნქცია არის ის, რომ ჰყავდეს კარგად ორგანიზებული გუნდი.
2. ლიდერის მეორე ფუნქციად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ უნდა იყოს დამოუკიდებელი და გადაწყვეტილების მიღებისას პატივს უნდა სცემდეს სხვის აზრს, მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე არ გაითავლისწინოს. ლიდერი არ უნდა იყოს მანქანა, რომელსაც სხვა მართავს.
3. ლიდერის ფუნქციაა გაცილებით მეტი იტვირთოს თავის თავზე. მას თავისი თვალთახედვით შეუძლია აგრეთვე ისეთი გადაწყვეტილების მიღებაც, რომელსაც საზოგადოება მხარს არ დაუჭერს. გარკვეული დროის შემდეგ კი საზოგადოება ხედავს, რომ გადაწყვეტილება სწორია, თუმცა არ გამოვრიცხავ იმას, რომ შეიძლება მანაც დაუშვას შეცდომა. ჩემი აზრით, ლიდერს არ აქვს შეცდომის უფლება, მაგრამ ისიც გავითავლისწინოთ, რომ შეუმცდარი არავინ არის, ლიდერიც ჩვეულებრივი ადამიანია, თუმცა გააჩნია შეცდომის ხარისხს და მის შედეგებს...
4. ლიდერის ფუნქციაა ხალხთან ჰქონდეს ღია დამოკიდებულება. ადამიანებს უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი, კარგი თუ ცუდი. იმას არ უნდა ჰყავდეს ხალხი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. (თუმცა გააჩნია შემთხვევებს...)
5. შეიძლება აგრეთვე განვმარტოთ დემოკრატი და ავტორიტარული ლიდერის ფუნქციები. დემოკრატი ლიდერის ფუნქციას წარმოადგენს ყოველივე ზემოაღნიშნულს, იმის დამატებით, რომ დემოკრატი ლიდერი იმის ვალდებულიც არის, განმუხტოს ჯგუფის შიგნით არსებული დაძაბულობები და მიიღოს საათანადო გადაწყვეტილება. ყოველივე ამის შემდეგ ის იმსახურებს დიდ ნდობას და პატივისცემას.

6. რაც შეეხება ავტორიტარულ ლიდერს, ის ყოვეთვის ცდილობს, ჰყავდეს გუნდი, სადაც სხვადასხვანაირი შეხედულებებია და ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ხშირად არის კამათი და შეუთანხმებლობა, რაც აძლევს მას იმის საშუალებას, რომ განახორციელოს თავისი საქმეები. აქედან გამომდინარე, ავტორიტარული ლიდერის მოქმედების მიზანს წარმოადგენს პრინციპი: "გათიშე და იბატონე", მისი ფუნქციაა ყოველივე ის, რაც წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული ლიდერის ფუნქციებთან, კერძოდ: კარგი გუნდის არარასებობა, ერთპიროვნულობა, საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური თუ ძალადობრივი ზემოქმედება, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება და ნაკლები ურთიერთობა ხალხთან.

ადამიანი ხდება რა ლიდერი, ის ხვდება, რომ თავისი ფუნქციების განხორციელებით გარკვეულწილად რაღაც მისიას ასრულებს ხალხის წინაშე, რომელიც აუცილებელია თავისი და აგრეთვე ხალხის კეთილდღეობისათვის. ადამიანი ხდება რა პირველი ის ხვდება, რომ რაღაცით გამორჩეულია

ხალხისაგან და რაღაც განსაკუთრებული უნარი აქვს. ეს არ აძლევს მას იმის საშუალებას, რომ ბოროტად გამოიყენოს ყოველივე ეს. ამიტომ მე ვთვლი, რომ ადამიანი ლიდერი, ყველა დროში აუცილებელია და ყველა დროს ჰყავს კიდეც. არის ლიდერების კატეგორია, რომელიც პირველობას გამოხატავს იმით, რომ ქვეყნის სათავეში დგას, ზოგიერთი ადამიანი კი არის ფარული ლიდერი, რომელიც მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა თავის ქვეყანას ჭირდება. ფარული ლიდერი გამოვლენილი იქნება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უჭირს ქვეყანას. იმისათვის, რომ მან მოახერხოს თავის ფუნქციების და მიზნების განხორციელება, იგი გარკვეული უნდა იყოს თავის შესაძლებლობებში. გარკვეული უნდა იყოს იმაში, თუ როგორ განახორციელებს ამა თუ იმ ფუნქციას, როგორ უხელმძღვანელებს საზოგადოებას.

ლიდერი დაჯილდოვებული უნდა იყოს განსაკუთრებული თვისებებით, რაც მას გამოარჩევს სხვა ადამიანებისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ ლიდერობა დაბადებიდანვე თან დაჰყვეს ადამიანს. ეს ისეთი განსაკუთრებული თვისებაა, რომელსაც ერთეულები გამოიმუშავებენ ცხოვრების მანძილზე. შეიძლება აგრეთვე, რომ ეს ნიჭი ღვთისგანაც გქონდეს ბოძებული. შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიდერობა ხშირად არ აძლევს ადამიანს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და გარკვეულწილად ბორკავს მას. ამიტომ იყო ლიდერი ნიშნავს შეეჭიდო რთულ პრობლემებს, რომლებიც ეხება საზოგადოებას და რომლის გადაჭრასაც მოითხოვს ხალხი ლიდერისგან. აქედან იკვეთება მისი მიზანი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მან არ უნდა დაივიწყოს ის რის გამოც აირჩია ხალხმა და აღიარა ლიდერად, რისთვისაც დაიმსახურა ხალხის ნდობა, ამიტომ მან თითოეული ნაბიჯი დიდი დაკვირვებით უნდა გადადგას, რადგან მას ხალხი ენდობა და მის ყველა გადაწყვეტილებას ეთანხმება, ამიტომ მართებს დიდი სიფრთხილე. შეიძლება ერთი მცდარი ნაბიჯით დაღუპოს ის ყველაფერი, რაც დახვდა და რასაც მიაღწია.

მე ვფიქრობ რომ ლიდერის ფენომენი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღიქვა საზოგადოებამ, ვერ გაითავისა ის სირთულეები, რომელშიც ლიდერს უწევს ცხოვრება. ხალხი მიიჩნევს, რომ ლიდერი უნდა იყოს შეუმცდარი და აბსოლუტურად უნაკლო. საზოგადოება ძნელად აღიქვამს, რომ ის ადამიანია და აქვს ადამიანური მისწრაფებები.

როგორია ლიდერი თავის რეალურ ცხოვრებაში?! ადამიანების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ლიდერის ოჯახური და პირადი ცხოვრება სრულიად მოწესრიგებულია, რადგან ის პირველია და სხვანაირად არც შეიძლება იყოს. რეალობა კი ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია. ლიდერს, როგორც ჩვეულებრივ პიროვნებას, შეიძლება ჰქონდეს პირად ცხოვრებაში დაძაბულობები, ჰყავდეს შვილები და ჰქონდეს მათთან პრობლემები.

ეს ყველაფერი შეიძლება არსებობდეს ლიდერის ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადოება ვერ ხედავდეს ამას, რადგან მას შესწევს იმის ძალა, რომ მისმა პირადმა ცხოვრებამ გავლენა არ მოახდინოს მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ასეთი ლიდერი იმით განსხვავდება საზოგადოების სხვა წევრებისგან, რომ ოჯახს გარეთ ის ვერ მოიქცევა ისე, როგორც საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენელი. ხშირად ლიდერებს ენატრებათ სრული თავისუფლება მაგრამ ეს თავისუფლება არა აქვთ. სურთ გათავისუფლდნენ ყოველივე ამისგან, მაგრამ თითქოს ხმა ჩასძახით – შენ მოვალე ხარ, ეს გევალება და

შენს მეტი ვერავინ გააკეთებს! – და სწორედ ეს ახშობს თავისუფლების სურვილს.

ყოველივე აქედან კიდევ ერთხელ ჩანს და მტკიცდება, რომ ლიდერობა ნამდვილად არ არის ადვილი.

ამ ყოველივეს იმისათვის ვამბობ, რომ ქვეყანაში ყოველთვის არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლიც ეწინააღმდეგებიან ყველაფერში ამა თუ იმ ლიდერს. ასე იმიტომ ხდება, რომ ხშირ შემთხვევებში ასეთ ადამიანებს არა აქვთ უნარი, რომ მთლიანად შეაფასონ ლიდერის ცხოვრება და სრული ანალიზი გაუკეთონ მას ან თავად სურთ ლიდერობა, მაგრამ არ გამოსდით. მათ რომ შეეძლოთ იმის დანახვა თუ რა პასუხისმგებლობა, ვალდებულება ეკისრება და გარკვეულ სურვილებზე უწევს უარის თქმა ლიდერს, მაშინ მისი მოწინააღმდეგეები კი არა მომხრეები იქნებოდნენ.

სწორედ ესაა ადამიანების ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც არ აძლევს მათ იმის საშუალებას, რომ მოწინააღმდეგე ანუ ლიდერი არა მარტო შეაფასონ არამედ განსაზღვრონ მისი როლი და ფუნქცია საზოგადოებაში.

ლიდერს ყოველთვის ჰყავს მტერი, რადგან, როდესაც პირველი ადამიანი ხარ ყველას შურს შენი. არ შეიძლება, რომ შურმა სძლიოს პიროვნებაში ყოველივე ადამიანურს და დაამარცხოს იგი. არ არსებობს დღესდღეობით ლიდერი არცერთ ქვეყანაში, რომელსაც მთელი საზოგადოება აღიარებდეს ან ყველა ეწინააღმდეგებოდეს, ამ საზოგადოებაში მაინც აღმოჩნდება ერთი და ორი რომელიც ყოველთვის შეეწინააღმდეგება ლიდერს. ადვილია წინააღმდეგობაში მოხვიდე ადამიანთან, რომელსაც მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს ხალხი. როგორც ვიცით შეცდომას ყველა უშვებს. იმ განსხვავებით, რომ ლიდერს ძალიან ცოტა შეცდომის დაშვების უფლება აქვს. მის მიერ ჩადენილ შეცდომას მოწინააღმდეგე ყოველთვის ხედავს და შეუძლია ეს მის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს. ადვილია შეცდომის დანახვა ვიდრე მცდელობა მისი გამოსწორებისა.

თუ საზოგადოებას სწამს ლიდერის იმ დროს, როდესაც ის შეცდომას უშვებს საზოგადოება ცდილობს შეცდომა გამოასწორებინოს. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ლიდერი არ ჯიუტობს და არ ცდილობს თავისის გატანას, ის სთხოვს ხალხს დაუმტკიცოს და დაანახოს ის რაშიც სცდება. მას შემდეგ რაც საზოგადოება დაანახებს ლიდერს თავისი ქმედების უაყოფით მხარეებს, ის მიხვდება თავის შეცდომას და არ შეეშინდება აღიარება, ის არ შეუშინდება საზოგადოებას და იმას, რომ თავისი პოზიციის დაცვით მისი ძალაუფლება და გავლენა დაეცემა. ბილ როთი ამბობს, რომ "ვინც თავის თავში გრძნობს ძალას აკეთოს უკეთ მას არ ეშინია საკუთარი შეცდომის აღიარებისა".

ჩვენი მიზანია, რომ დღევანდელ ვითარებაში აღვმოვფხვრათ პრობლემა, რომელიც ეხება ლიდერის საქმიანობის შეუფასებლობას და დაუნახაობას. ჩვენ მოვალნი ვართ ადამიანებს ვასწავლოთ ლიდერის დაშვებული შეცდომის გამოსწორება და არა მის წინააღმდეგ ამხედრება. ხალხმა მასთან ერთად უნდა სცადოს შეცდომის გამოსწორება.

ადამიანი არის რა ლიდერი ყოველნაირად ცდილობს შეასრულოს ის მისია რაც ხალხის წინაშე იტვირთა. ამისათვის მას დიდი ძალისხმევა უწევს და ფაქტიურად დაძაბულად ცხოვრობს რადგან აცნობიერებს თუ რას ნიშნავს იყო ლიდერი. არსებობენ, როგორც ვთქვით, ისეთი ლიდერები, რომელთათვისაც ეს ყველაფერი უცნობია. არ იციან აგრეთვე თუ რას ნიშნავს სიფრთხილე, რომ

შეცდომა არ დაუშვან. ეს მაგალითი და ტიპია ისეთი ლიდერებისა, რომელთათვისაც პირველობა არის საზოგადოების მწვერვალი და მათთვის მთავარი მხოლოდ ამ მწვერვალზე ასვლაა. ეს ზოგჯერ ისეა გამჯდარი მათ გონებაში, რომ პირად ამბიციადაც გადაიქცევა, ამ ამბიციის მიღწევისათვის ისინი იყენებენ ნებისმიერ საშუალებას და არ ითვალისწინებენ სხვა მოვლენებს. მათთვის მიზანი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას.

ლიდერი წარმოადგენს ისეთ ადამიანს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე თუ საზოგადოებამ არ უარყო, იბრძოლოს იმ მიზნის მიღწევისათვის, რისთვისაც ის საზოგადოების რჩეული გახდა. ლიდერს სხვადასხვა სფეროში ამოძრავებს ერთი რამ, პატიოსნად მოიხადოს ის ვალი რაც იტვირთა საზოგადოების წინაშე.

განვიხილოთ საკითხი, რომელიც ეხება დღევანდელობაში ლიდერის ჩამოყალიბებას. რა არის დღეს იმისათვის საჭირო, რომ ადამიანი ჩამოყალიბდეს ლიდერად? ამ კითხვის პასუხი თითქმის მთელი ეს მსჯელობაა და ამას მეტ-ნაკლებად გავეცი პასუხი. მე მინდა ერთი რამ დავამატო ჩემ ნათქვამს, იმისათვის, რომ ადამიანში გაიღვიძოს ლიდერმა, მას უნდა ჰქონდეს მომავლის რწმენა, რწმენა უფლისა და ხალხისა; პირველ რიგში კი საკუთარი თავისა. ეს არის ფაქტიურად ჩონჩხი ლიდერისა ხოლო სხვა დანარჩენი კი ავსებს და სრულყობს მას.

ძნელია ილაპარაკო იმაზე რამდენად აუცილებელია დღევანდელობაში ადამიანი ლიდერი, იმ სიტუაციიდან გამომდინარე რომელშიაც ჩვენ გვიწევს ცხოვრება ვხვდები, რომ მიუხედავად საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისა, დღეს ლიდერი მხოლოდ საჭირო კი არ არის, არამედ აუცილებელია და არსებობენ კიდევაც ისეთი ადამიანები, რომლებიც ასრულებენ ამ ფუნქციას. ფაქტიურად ისინი წარმოადგენენ ადამიანებს, რომლებსაც ხალხი ენდობა და აძლევს უფლებას, რომ ეს ტვირთი იტვირთონ. ჩვენს საზოგადოებაშიც არსებობენ დღესდღეობით ლიდერის მოწინააღმდეგეები, როგორც ვხვდები ისინი საკმაოდ ენერგიულად ცდილობენ თავიანთი პოზიციების წინ წამოწევას.

მართალი რომ ვთქვა ვერ ვხვდები და არ მესმის თუ რისთვის ქმნიან წინააღმდეგობებს, როდესაც მათი მტკიცებულებები უსაფუძვლოა და მავანთათვის მიუღებელი, თუმცა შეიძლება ვიაღიაცასთვის მისაღები. ასე თუ ისე, ისინიც ხომ ცხოვრობენ იმ საზოგადოებაში, რომლის პრობლემებს ლიდერი აგვარებს. მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას და ვეცდები მოკლედ გადმოვცე გოეთეს სიტყვებით:" ენერგიულ უმეცრებაზე საშინელი არაფერია ამქვეყნად."

ოპოზიციური ძალების არსებობა ყველა დროში, თუ ლიდერი ჭეშმარიტია და საზოგადოების რჩეული, ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ასეთი ძალების არსებობა ხელს უწყობს იმას, რომ ლიდერი უფრო კრიტიკულად უყურებს მის მიერ წარმოებულ საქმეებს. ამ კრიტიკით ის ხედავს ხოლმე თუ რას აკეთებს ის სწორად და რას არა. ე.ი. ეს მოწინააღმდეგე ძალა ეხმარება მას თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში ესა თუ ის საქმე წარმატებით მოაგვაროს.

ამრიგად ადამიანი იყო ლიდერი ძალიან ბევრს ნიშნავს და მე ვეცადე, რომ ამ ბევრიდან მინიმუმი მაინც მეთქვა, რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ჩემი აზრია და შეიძლება ამაზე მეტი თქვას ვინმემ ლიდერზე მე მხოლოდ ჩემი გადასახედიდან დავინახე თუ როგორი შეიძლება იყოს ლიდერი და რას

ნიშნავს იყო ის. შეძლებისდაგვარად, ალბათ, კიდევაც გაგაგებინეთ თუ რას ვფიქრობ ლიდერზე და როგორი მინდა დღევანდელობაში ლიდერის ფენომენი, შეძლებისდაგვარად, დაგანახეთ საზოგადოების როლი ლიდერის ცხოვრებაში და პირიქით, ლიდერის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შევეცადე გადმომეცა ანტიპოდი ლიდერისა, ის მაგალითი, რომელიც ჩემთვის მიუღებელია. აგრეთვე ვთქვი ლიდერის მოწინააღმდეგეების შესახებ, რომელთა ნაკლებობას ნამდვილად არასდროს განიცდიდა საზოგადოებამ. რამდენად გამომივიდა არ ვიცი ყოველ შემთხვევაში თუ არაფერი, ხომ შევეცადე მაინც ამის გაკეთებას. დანარჩენი თქვენ შეაფასეთ...

რევაზ სეხნიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტი: პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა. სპეციალობა: საერთაშორისო ურთიერთობები

"ლიდერის ფენომენი მუსლიმურ სამყაროში"

ლიდერი, ეს ისეთი ფენომენი არის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სამყაროს განვითარება. კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე ლიდერებს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრათ მოცემულ სახელმწიფოსა და მოცემულ ეპოქაში. ისტორიულად ლიდერის განსაკუთრებული სახე ჩამოყალიბდა აზიაში, რაზეც შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია რელიგიამ. დღესდღეისობით 21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის ეპოქაში, ლიდერის განსაკუთრებული სახე შეიქმნა, განსაკუთრებით კი თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში. მასში მრავალი ფაქტორის და მრავალი ურთიერთგამომრიცხავი გზის გადაკვეთა მოხდა. სანამ უშუალდ კონკრეტულ, ტიპიურ მუსლიმურ ლიდერებზე დავიწყებდეთ საუბარს, ალბათ უპრიანი იქნება მოკლე ექსკურსით მიმოვიხილოთ დღევანდელი მუსლიმური სამყარო და ვნახოთ რა გარემო პირობებში მოღვაწეობენ ეს ადამიანები, ვინაიდან ყოველი ადამიანი, ყოველი ლიდერი დროთა განმავლობაში შეესისხლხორცება ხოლმე ამათუიმ სოციალურ გარემოს. დღევანდელი მუსლიმური სამყარო გამოირჩევა მჭიდრო ერთიანობით, რისი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორიც მათი რელიგია არის. ასევე აღნიშვნის ღირსია ნავთობი, როგორც საშუალება და ბერკეტი დასავლეთზე ზემოქმედებისა. დღევანდელ ისლამურ სამყაროს ცხოვრბაში უპრეცედენტოდ ერევა აშშ. ავღანეთსა და ერაყში განხორციელებული საომარი ოპერაციების სახით, რასაც შესაბამისი წინააღმდეგობაც მოსდევს ყველა სხვა ქვეყნის მხრიდან. ისლამური სახელმწიფოები ძირითადად, მკვეთრი დაპირისპირებებით გამოირჩევა ქრისტიანი მოსახლეობის და ქვეყნების მიმართ და ამ მეტად დაძაბულ გარემოში უწევთ ცხოვრება იქ არსებულ საზოგადოებებს. არანაკლები აღნიშვნის ღირსია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება. ის, რომ ამ ქვეყნების ძირითადი ნაწილი ვაჰაბიტური იდეოლოგიის მატარებელი გახლავთ. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ საკუთრივ ისლამის მიმდევარი ადამიანები ოთხ ნაწილად იყოფა: კონსერვატორ ვაჰაბიტებად, ნეოკონსერვატორებად, ზომიერ ლიბერალებად და შიიტურ ოპოზიციად. განსაკუთრებით ეს აისახება საუდის არაბეთზე. ქვეყანაზე, რომელიც ძალიან ხშირად გავლენიანი ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელთა მშობელი გახლავთ და თითქმის ყველა ძირითად შემთხვევაში პირველი ლიდერობდა ხოლმე სხვადასხვა რადიკალურ დაპირისპირებებს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს მსოფლიოსათვის საში"ში "ისლამური მანქანა" გარკვეულწილად კოროზიას განიცდის, რისი დადასტურებაც გახლავთ, ყირგიზეთში მომხდარი რევოლუცია, რაც დასავლეთის ტრიუმფალურ გამარჯვებად შეიძლება იქნეს აღქმული და სერიოზულ, შორსმიმავალ გეოპოლიტიკურ მიზნებზე აკეთებდეს მინიშნებას. ისლამური სახელმწიფოები ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს როგორც მორალურად ისე მატერიალურად, რაც სხვადასხვა ტერორისტი ლიდერების დაფინანსებაში და დიდძალი იარადის მიწოდებაში გამოიხატება.მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: საუდის არაბეთიდან 1995 წელს ჩეჩნმა საველე მეთაურმა ჯოხარ დუდაევმა მიიღო ფინანსური დახმარება ათი მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ოფიციალურად შეგროვილ იქნა ახლო აღმოსავლეთის ჩეჩნური დიასპორისა და გავლენიანი ტერორისტული მოძრაობის მიერ. ამავე პერიოდში საუდის არაბეთიდან, პაკისტანიდან, იორდანიიდან მიღებული ფინანსებით ხდებოდა

ისლამურ-პროვაჰაბისტური ბატალიონის “ჯამაათის” დაფინანსება. თანამედროვე სამყაროში წარმოუდგენელია იყო ლიდერი და არ ფლობდე ფინანსურ კაპიტალს, რაც მუსლიმურ ქვეყნებში ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გავლენის მოსაპოვებლად, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, აღმოსავლელი ლიდერისათვის მაინც რჩება მისი რელიგიურობის დონე, მისი დამოკიდებულება ისლამისადმი. ამის ნათელი დადასტურებაა ალბათ ისიც, რომ ყველა ლიდერი მოქმედებს ისლამის სახით, ეს შეიძლება არცკი ყოფილიყო მნიშვნელოვანი მაგრამ თვითონ მუსლიმურ საზოგადოებაში საკმაოდ დიდია რელიგიური ასპექტების, სიმბოლოების და იმ ადამიანების გავლენა, რომელნიც დღენიადაგ ისლამის დაცვაზე აპელირებენ. ყველაზე მძლავრ პიარიარაღად ასეთი ტიპის ლიდერის ხელში მაინც რელიგია რჩება, რასაც ძალიან ხშირად რელიგიურ და ეთნიკურ შუღლამდე მივყავართ. ლიდერისათვის ყველაზე “საჭირო” ნიშან-თვისება ალბათ არის ქარიზმა, რადგან აღმოსავლურ საზოგადოებაში ქარიზმატული ლიდერის გამოსვლებსა თუ მიმართვებს საკმაოდ დიდი გავლენის მოპოვება შეუძლია, ლიდერს როგორც აღვნიშნეთ რელიგიურობის მაღალი დონე უნდა გააჩნდეს, არანაკლებ მნიშვნელოვანია სულიერ ლიდერებთან დამოკიდებულება და კარგი კონტაქტი, მათთან ერთად გამოჩენა ხალხში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სხვა. შემდეგ უკვე ემოციური გამოსვლების მთელი ტალღა. თვალი რომ გადავავლოთ ასეთი ლიდერების მიმართვაბს, ყურადღებას მიიპყრობს ერთი მნიშვნელოვანი რამ, ყველა გამოსვლა იწყება და მთავრდაბა ალაჰის სახელის დიდებით და ისლამის დაცვისაკენ დაჟინებული მოწოდებებით. ეს არცთუ ადვილად ხელწამოსაკრავი მიზეზია იმ საკითხში რასაც ჰქვია ხალხისა და მასების ნდობის მანდატი ამ ლიდერებისადმი.

ძალიან ბევრი „ვაჰაბიტი ლიდერი“ შეიძლება უბრალოდ სახელმწიფო პოლიტიკის გამგრძებლად იქნეს მიჩნეული. ერთ-ერთ ასეთ ლიდერს მიეკუთვნება ჯემალ ად-დინა ალ-აფგანი. ის პანისლამიზმის მქადაგებელი ლიდერი იყო, სწორედ მან ჩამოაყალიბა “მუსლიმან ერთა რელიგიურ-პოლიტიკური გერთიანების” იდეა. (ვაჰაბიზმიც და პანისლამიზმიც ამ ორივე მიმდინარობას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს დღესდღეობით კოსმოპოლიტიკური მიმდინარეობაა). რისი მთავრი მიზანიც იყო ანტიკოლონიური მოძრაობის აგორება და მის ლიდერებს სპეცსამსახურები “ქმნიდნენ”, არანაკლები როლი რუს სპეცსამსახურებსაც მიუძღვით. სხვათა შორის ყველასათვის ცნობილი ადამიანები როგორც იყო პალესტინის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იასირ არაფატი. მან სწორედ რუსეთიდან დაიწყო პოლიტიკური მოძრაობის, და ასევე სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების უზრუნველყოფა ფულითა და იარაღით. ეს წარმოადგენდა რუსეთისა და ამერიკის ფარულ თუ დია ბრძოლის გამოხატულებას, ვინაიდან ისრაელი წარმოადგანდა აშშ-ს პლაცდარმს, რაც დღესდღეისობითაც გრძელდება. იასირ არაფატი თავისი შეგნებითა და იდეოლოგიით ფუნდამენტალისტ ლიდერს წარმოადგენდა, რაც შესაბამისად აისახებოდა კიდეც მის საქმიანობაში.

ფუნდამენტალისტური მიმართულება გამოირჩევა აგრესიულობით და სამხედრო ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით. მისი ძირითადი კრედო შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „სუფთა ისლამის ექსპორტი”. მოცემული მიმართულების გეოპოლიტიკურ არეალს წარმოადგენს ისლამური სამყაროს მარგინალური ტიპის სახელმწიფოები, სუდანი, ავღანეთი, ირანი და სხვა. ყველაზე ძლიერი მოძრაობა ამ მიმართულებით და არამარტო ამ მიმართულებით არის მოძრაობა „თალიბანი”. რომლის ასევე ყველაზე წარმატებული ლიდერი იასირ არაფატი იყო. საერთოდ ამ ადამიანის პიროვნების გამოყენება ლიდერის თემაზე სასაუბროდ ალბათ იდეალურია.

ასეთი ადამიანებისათვის ერთ-ერთი „კარგად გამოყენებადი” თვისება პიროვნული უბრალოება გახლავთ. მას ხალხი იყვარებს და მის სახელს ფიცულობს. რის გამო? მისი მაღალი რელიგიური რწმენის, თავმდაბლობის, მასებთან კარგი ურთიერთობის და თავდადების გამო. არანაკლებად საჭირო თვისებაა პიროვნული საფრთხეების დაძლევა და გამბედაობა, რადგანაც ამის დამნახავი ხალხი გარკვეულწილად მონის ფსიქოლოგიის მორჩილი ხდება და უსიტყვოდ ემორჩილება ლიდერს. ჩვენ უამრავი ადამიანი გვინახავს ტელევიზიით, რომლებიც იასირ არაფატს სიცოცხლეს სწირავდნენ და რაც იგივდებოდა ალაჰისათვის თავის გაწირვასთან. მას ხალხი აღიქვამდა ალაჰის წარმომადგენლად დედამიწაზე. დღეს, როდესაც გარდაცვლილი არის ეს პიროვნება, მთელი პალესტინური, და არამარტო პალესტინური საზოგადოება, ცდილობს იბრძოლოს ტერორისტული აქტებით და არაფატის ანდერძი იერუსალიმის შესახებ აღასრულოს. (მან დაიბარა, რომ პალესტინის მიწა მისი დროებითი საფლავია და რომ საბოლოოდ ის იერუსალიმში უნდა გადაასვენონ).

ასევე შეიძლება არსებობდეს ლიდერის ორი ტიპი: ერთი ვინც უშუალოდ ასრულებს და კონტაქტი აქვს ტერორისტ მებრძოლებთან და მეორე, რომელიც აფინანსებს, ანუ რეალური მმართველი ძალა. მაგალითად, როგორც რუსული სპეცსამსახურები აღნიშნავენ ჩეჩენი საველე მეთაური შამილ ბასაევი არის შემსრულებელი და მის უკან გაცილებით სერიოზული ძალები დგანან, ასევე შემსრულებელი არის ცნობილი ტერორისტი ალ-ზარკავი. მუსლიმ ლიდერთა მთავარი და ძირითადი დასაყრდენი შეიძლება იყოს კაპიტალი, ფული. დღესდღეისობით ყველაზე დიდი კაპიტალი სანავთობე ბიზნესში ბრუნავს, ამიტომაც გასაკვირი არ არის ტერორისტების გაცხოველებული ინტერესი ამ სფეროსადმი. ძალიან ხშირია, მრავალ სხვადასხვა არსებულ სანავთობე კომპანიის სათავეში ტერორისტი და ფუნდამენტალისტი ლიდერების კარგი მეგობრისა თუ ახლო ნათესავის მოსვლა. სხვათაშორის რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, დროა თავის მოტყუების პოზიციიდან გამოვიდეთ და ვაღიაროთ ერთი არცთუ სასიამოვნო ფაქტი: ცნობილი ტერორისტი უსამა-ბენ-ლადენი კავკასიის სანავთობე ბიზნესით არის დაინტერესებული. ამავე ზონაში მოქმედებს ცნობილი ტერორისტული ლიდერი ხატაბიც, რომელიც საუდის არაბეთის მოქალაქეა და მისი მეთაურობით სხვადასხვა დაჯგუფებები აკონტროლებენ ბაქო-გროზნო-ნოვოროსიისკის ნავთობ მაგისტრალის ჩეჩნეთზე გამავალი ტერიტორიის ძირითად მონაკვეთს. თავისმხრივ ძირითადი ვაჰაბიტური ცენტრები ამ ნავთობსადენის სიახლოვეს მდებარეობენ. ჩეჩნეთის ომის დროსაც საკმაო რაოდენობის მებრძოლები და საველე მათაურები (ძირითადად შემსრულებლები) იქნენ მობილიზებულნი კავკასიაში.

ლიდერის საკმაოდ გაურკვეველი ტიპი გვხვდება სადამ ჰუსეინის პიროვნების გაცნობისას. როგორც ცნობილია სადამ ჰუსეინი საკმაოდ დარიბ ოჯახში დაბადებული და ერთ დროს მწყემსიც კი ყოფილა. სხვათა შორის ჰუსეინი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ისლამური სამყაროს ერთიანობის რღვევას, რაც გამოიხატა თავისდროზე კუვეიტზე განხორციელებულ სამხედრო თავდასხმაში, რასაც საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა თვითონ საუდის არაბეთის მხრიდანაც კი. ჰუსეინი იყო საკმაოდ მკაცრი და შეუწყნარებელი, მისი ერაყში ლიდერობის პერიოდში ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული ადამიანების მასობრივი ხოცვა-ულეტა, დახვრეტა. ის ასევე, რადიკალი იყო სუნიტი მოსახლეობის მიმართ და არანაკლები სისასტიკით გამოირჩევოდა ქურთების მიმართაც, რომელთაგანაც ერაყის ჩრდილოეთ ნაწილი არის დასახლებული. ის ხშირად აწყობდა სამხედრო აღლუმებს და ხშირად ემუქრებოდა დემოკრატიულ სამყაროს. თამამად

შიძლება ითქვას, რომ ჰუსეინი სიცოცხლეს უსწრაფებდა ყველას ვინც მას არ სცემდა თაყვანს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქვეყანა მოფენილი იყო სადამის ძეგლებითა და შარავანდედით გარშემორტყმული სურათებით. ჰუსეინი ასევე ანებივრებდა თავის შვილებს, რომლებიც არანაკლები მტარვალი ადამიანები არიან მამასთან შედარებით. მას შემდეგ რაც კოალიციურმა ჯარებმა ერაყის რეჟიმის დემონტაჟი მოახდინეს, ნათლად გამოჩნდა საზოგადოების ორაზროვანი დამოკიდებულება სადამ ჰუსეინის მიმართ. ერთი ნაწილი თავიდანვე სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს, ხოლო მეორე ნაწილი კი დღემდე აგრძელებს ბრძოლას კოალიციური ჯარების მიმართ. თვალი რომ გადავავლოთ სადამ ჰუსეინის ცხოვრების ეტაპებს, მის ქცევებსა თუ მოქმედებებს, შეიძლება ეჭვიც კი შევიტანოთ ისფსიქოლოგიურ გაწონასწორებუ- ლობაში. იგი საკმაოდ არაპროგნოზირებადი ხასიათის და ბუნების მქონე ლიდერი იყო, შეიძლება რომელიმე მისი მინისტრი ფეხზე დროულად ვერ წამომდგარიყო და ის და მისი ოჯახი, შეძლება ნათესავებიც კი სასტიკად დაესაჯა. დღემდე გამოცანად რჩება რა განსაზღვრავდა მის ასეთ საქციელს, მისი ბუნება თუ რელიგიურ-ფუნდამენტალისტური განწყობილებები. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობები ჰქონდა სულიერ ლიდერებთან, თუმცადა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი აზრების მოსმენა თუ მათთან შეხვედრა მხოლოდ ჩვეულებრივი ფორმალობა იყო, ვინაიდან ის გულისთქმას აყოლილი ლიდერი იყო, მოქმედებდა ისე როგორც მას მოესურვებოდა.

საზოგადოება შეიძლება კომფორმიზმის ხასიათის მქონე აღმოჩნდეს და შეეგუოს რეჟიმს ისე, რომ სიტყვა არ დასცდეს, რაც შემდგომში ასევე მას უბრუნდება სავალალო ფორმებით. როგორც ჩანს თურქმენეთის მოსახლეობა და ხალხი (მათ საზოგადოებას ვერანაირად ვერ ვუწოდებთ) აღმოჩნდა მონის ფსიქოლოგიის იდეალური მატარებელი. მათ ჰყავთ ლიდერი თურქმენბაშის მეთაურობით, რომელიც ხანდახან კომიკურ პერსონაჟს უფრო ემსგავსება ხოლმე. მან გამოსცა კერძების წიგნი და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია (სასაცილოც) კვირის დღეებსაც კი ოჯახის წევრების სახელები დაარქვა. ფაქტობრივად არ არსებობს სასამართლო და ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის ხელში არის მოქცეული. მსგავსად ერაყისა აქაც მოფენილია მთელი ქვეყანა თურქმენბაშის ძეგლებითა და პორტრეტებით. რაც თავისთავად რამოდენიმე ათეული წლით ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა მაინც ძნელია გადაჭრით ითქვას იმ შიდა თუ გარე ფაქტორებზე, რითაც ეს დამიანები იხანგრძლივებენ რეჟიმს ამდენი ხნის გამავლობაში. გარე ფაქტორებიდან აღნიშვნის ღირსია და მეტად მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, ვინაიდან ასეთი ტიპის ლიდერები ყოველთვის აწყობს რომელიმე ქვეყანას და მათი საქმიანობა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს წისქვილზე ასხამს წყალს. ამის შესახებ რათქმა უნდა ინფორმირებულნი არიან "დამხმარე" სახელმწიფოს ლიდერები და შესაბამისად გარკვეულ საერთაშორისო დახმარებასაც უწევენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ქვეყანა არის რუსეთი, რაც მრავალ ფაქტორში გამოიხატება და რაზე საუბარიც შორს წაგვიყვანს. ამ ლიდერთა საქმიანობა (ტერორისტ ლიდერთა) ძირითადად არის ტერორიზმი. ამ ნაბიჯს ისინი ამართლებენ ქვეყნის დახმარების მოტივით და ყველაზე მნიშვნელოვანი, ალაჰის სამსახურით.

ტერორისტი ლიდერებისათვის დამახასითებელია რადიკალიზმი, რადიკალური და მუქარის შემცველი განცხადებები ამერიკისა და ევროპის მიმართ.

2001 წელს 11 სექტემბერმა, დღემ რომელმაც შეუცვალა კალაპოტი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, უდიდესი გავლენა იქონია ტერორიზმის და რადიკალ ლიდერებთან ბრძოლის საქმეში. საერთაშორისო საზოგადოება ბევრად

იმპულსური გახდა ტერორისტების მფარველი ქვეყნებისა და ე.წ. შავი ხვრელების საკითხთან დაკავშირებით. ლოგიკურად მივდივართ იმ საკითხამდე რასაც ჰქვია დასავლური საზოგადოების დამოკიდებულება ისლამური სახელმწიფოების მიმართ. თავიდანვე შეიძლება ითქვას ის, რომ საკმაოდ სკეპტიკურად არიან ევროპელები მათ მიმართ განწყობილნი. თურქეთი, რომელიც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა, მხოლოდ იმიტომ ვერ ხდება ერთიანი ევროპის წევრი, რომ ის არის მუსლიმანი ქვეყანა. შეიძლება ითქვას, რომ გერმანია და საფრანგეთი პირდაპირ ბლოკავს თურქეთის ევროპაში გაერთიანებას. ბოლო დროს საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მომხდარი მასობრივი არეულობები, რომლებიც ემიგრანტმა მუსლიმანებმა განახორციელეს და რომელიც თავიდან ბოლომდე ადგილობრივი მუსლიმან ავტორიტე- ტებისგან იმართებოდა, კიდევ უფრო ცუდად აისახება დასავლეთისა და აზიის ურთიერთობებზე. მათი დაპირისპირება შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციურ საწყისებზე არის აღმოცენებული. აღმოსავლეთი ცდილობს თავი დაიცვას დემოკრატიისაგან, რომელიც სულ უფრო მძლავრად უტევს მას და ასევე დასავლეთი ცდილობს აიცილოს მუსლიმანური საფრთხე, რაც თავისთავად კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის მას. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავე გამოვლინებებს ჰპოვებს მაშინ როდესაც საქმეში აწ უკვე ნახსენები რელიგია ერთვება და რომლის ძირითადი განმახორციელებლებიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და გავლენიანი სულიერი ლიდერები არიან. ჩვენ ვიცით მთელი რიგი შეიარაღებული გამოსვლები ერაყის სულიერი ლიდერის მულა ომარის მეთაურობით. მულა ომარი, რომელიც ჩვეულებრივი ოჯახის შვილი იყო საკმაოდ დიდი გავლენის მოპოვება მოახერხა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს. როგორც ერთ-ერთი რუსული ინტერნეტ გამოცემა თავის საარქივო მასალებიდან გვამცნობს მულა ომარი იდეოლოგიური ომის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო ინდოეთის წინააღმდეგ. ერაყში ის ადვილად მოერგო სადამ ჰუსეინის ძალადობრივ რეჟიმს და ერაყელი მამის სულიერი მამობა იკისრა. იგი ბოლომდე იცავდა სადამ ჰუსეინს და თავის ყველა გამოსვლაში ისლამურ სამყაროს ჯიჰადისკენ (საღვთო ომი, როდესაც თითოეული ისლამური ქვეყანა ერთიანდება საერთო მტრის წინააღმდეგ) მოუწოდებდა. ბოლო ხანებში ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ ლიდერების გავლენას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ თეთრ სახლში. ერაყში გამართულ საპროტესტო მიტინგებში პირველ პლანზე სწორედ მულა ომარის პოტრეტებით მოსიარულე ახალგაზრდები გამოჩნდნენ, როგორც პოპულარული ფრანგული ინტერნეტ გამოცემა გვამცნობს. (iberty.fr)

გამორიცხული არ არის დღესდღეისობით ერაყში მოქმედი პარტიზანები ამ ადამიანის მიერ იყვნენ მართულნი. არანაკლებად დიდი მნიშვნელობის მქონე ლიდერი გახლავთ დღევანდელი ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომლის მნიშვნელობა დღეს გაცილებით მეტია ვიდრე თუნდაც იასირ არაფატის ან სადამ ჰუსეინის. მისმა განცხადებამ, რომ ისრაელი უნდა „აღიგავოს პირისაგან მიწისა" თავდაყირა დააყენა მსოფლიო პოლიტიკა. ევროპის ლიდერები ერთგვარად დაბნეულნიც კი აღმოჩნდნენ ირანის პრეზიდენტის ამ ემოციური განცხადების გამო. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ღიად დააფიქსირა აზრი ბირთვულ იარაღზე მუშაობის გავრცელების შესახებ. ირანის პრეზიდენტი, რომელიც ღიად და აშკარად მოუწოდებს ყველა ისლამის მიმდევარს ბრძოლისაკენ, თავადაც საკმაოდ დიდ ძირგამომთხრელ კამპანიას ეწევა დასავლეთის ზეგავლენის მოსაცილებლად. ეს გახლავთ საკმაოდ ემოციური და არა პნოგნოზირებადი ლიდერი, რაც ყველაზე საშიშია დასავლეთისათვის. ალბათ, მისი არაპროგნოზირებადობის შიში იქნება ის ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც ამერიკა ავღანეთსა თუ ერაყის მსგავს ოპერაციებს ირანში განახორციელებს, თუმცა ამ მეტად რთული საკითხისადმი გადაწყვეტით რამის თქმა შეუფერებელი იქნება. ყველაზე მთავარი არის ის,

რომ ამ ადამიანს საზოგადოება ენდობა და მისი სჯერა. ის საკმაოდ მაღალი ნდობის მანდატით მოვიდა ხელისუფლებაში. მისი ესმის ირანის მოსახლეობას, ეს უკანასკნელი კი არის, თუ არა ერთადერთი, ერთერთი მძლავრი იარაღი საკუთარი ლიდერობის შესანარჩულებლად. ლიდერისათვის აუცილებელია მოიქცეს ისე და იმგვარად, როგორი მოთხოვნილებაც იმ საზოგადოებას გააჩნია. ირანის ამჟამინდელი პრეზიდენტი კი ამას ამართლებს, დამყარებული აქვს საკმაოდ დიდი კონტროლი ადგილობრივ მასებზე. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კი მეტად რბილი პოზიცია დაიკავა ირანის მიმართ, რაც არ გამოპარვიათ დასავლეთში. ეს ფაქტიც, რუსეთის მხარდაჭერა კიდევ უფრო აძლიერებს ისეთ საშიშ ტერორისტ პრეზიდენტს, როგორიც არის ირანის დღევანდელი მმართველი. ყველა ზემოდხსენებული ფაქტიდან გამომდინარე ლოგიკურად ისმის კითხვა რატომ? რატომ არის რომ ეს ადამიანები იბრძვიან და რატომ მეთაურობენ სხვადასხვა დაჯგუფებებს. ეს არის უბრალოდ სამყაროს კანონზომიერება, სამშობლოს დაცვა უცხო ტომელთაგან თუ ჩვეულებრივი კრიმინალი. ჩემის აზრით სამივე ერთად! თანამედროვე ისლამისტი ლიდერების პიროვნებაში სამივე „კომპონენტი" იყრის თავს, თუმცადა ეს ადამიანები საკუთარ თავს პატრიოტებს უწოდებენ და როგორც ადრე აღვნიშნეთ – ალაჰის რწმენის დამცველებს. რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონად იქცა მათთვის, რაც თავისთავად წესიერების დონეზე აყვანილ უწესობას წარმოადგენს. ეს ყოველივე შედეგია იმ სოციალური გარემოსი და იმ ინფორმაციული გარემოსი, რომელიც არსებობს. ძალიან ხშირად კი ე.წ. ზესახელმწიფოების კოლონისტური პოლიტიკის სამწუხარო შედეგიც. მათ ჯერ კიდევ ემაწვილობის პერიოდიდან უნერგავენ დასავლეთისა და ქრისტიანების სიძულვილს. სახვათაშორის ეგვიპტე წარმოადგენს ქვეყანას, სადაც ოფიციალურად აღიარებულია ქრისტიანების უფლებები და სადაც, ცხოვრობს კიდეც საკმაოდ დიდი რაოდენობა ქრისტიანებისა.

და ბოლოს, ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმ საერთო თუ განმასხვავებელ სპეციფიურობაზე, რომელიც შეიძლება ახასიათებდეთ ტერორისტ და სულიერ ლიდერებს, ასევე მუსლიმური სახელმწიფოს ლიდერებს. თუმცა ხშირად ტერორისტი და სულიერი ლიდერი შეიძლება ერთიდაიგივე პიროვნება იყოს. მათი საერთო ნიშან-თვისებად რადიკალიზმი და ფუნდამენტალიზმისაკენ მიდრეკილება შეიძლება ჩავთვალოთ. დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს რომ ასეთი ლიდერები კიდევ კარგა ხანს შეაწუხებს მსოფლიოს მშვიდობიან მოსახლეობას. დასავლეთის მცდელობები განეიტრალდნენ ეს ადამიანები მხოლოდ დადებით მცდელობად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა ეს საკმაოდ რთული და რუტინული პროცესი არის. ჯერ კიდევ კარგად ვერ აცნობიერებს საერთაშორისო საზოგადოებრიობა თუ რა საფრთხეს შეიცავს ამ ლიდერთა მოქმედებები. ისინი ხომ თანამედროვე მსოფლიოს ხორცმეტებს წარმოადგენენ. თუნდაც, ის რად ღირს, რომ ეს ლიდერები საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებს წარმოადგენენ. რაც კატასტროფაა, მაგრამ რეალობაა, რომ მათ ანგარიშს უწევენ. მიუხედავად მათი შევიწროების მცდელობისა, კარგა ხანი კვლავ ანგარიშგასაწევ ფიგურებად დარჩებიან თანამედროვე მსოფლიოში.

<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>

1. www.yahoo.com;USA foreign policy

2. ჟურნალი „პოლიტიკა” (2004)
3. ,,centralnaia azia i kavkaz”(2004)

თამარ პაპიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ-ტექნიკური.
სპეციალობა: სახელმწიფოს მართვის მოხელე.

"ლიდერი ახალგაზრდულ ორგანიზაციაში"

თითოეული ადამიანი ცდილობს გახდეს ლიდერი ამა თუ იმ სფეროში. ლიდერობისათვის ბრძოლა ადამიანის ძლიერ ბუნებასა და მონდომებაზე მეტყველებს. თითოეულ ჩვენთაგანს სურს იყოს პირველი, იგი ყოველთვის ცდილობს გააკეთოს ისეთი საქმე, რითაც დაიმსახურებს გარშემომყოფთა სიმპატიასა და სიყვარულს, მაგრამ ბევრი მათგანი ვერ აღწევს მსგავს წარმატებას. ზოგი პირველივე დამარცხებისას უარს აცხადებს გააგრძელოს დაწყებული საქმე, ზოგი კი ბოლომდე იბრძვის თავისი საქმის დასრულებისათვის, სამართლიანობისათვის. პირველი ქმედება მეტყველებს იმას, რომ პიროვნება არ შეიძლება იყოს ბუნებით ლიდერი, ის უბრალოდ უნებისყოფო და სუსტი ადამიანია, რომელიც ამ გზით ვერაფერს მიაღწევს ცხოვრებაში. მეორის საქციელი კი მეტყველებს იმას, რომ ის პიროვნება შეძლებს მიაღწიოს თავის დასახულ მიზანს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ის პიროვნება, რომელსაც სურს ლიდერობა არამარტო ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, არამედ საზო- გადოებაშიც. ადამიანი ლიდერად იბადება. ის მოსაზრება, რომ ლიდერი ხდება ყალბია.

ლიდერობა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ძნელად მისაღწევია ბევრისთვის. ლიდერი უნდა იყო ბუნებით, რათა შეძლო ყველაფრის მართვა, რაც შენს გარშემოა, რისი მართვის უნარიც შენ შეგწევს ან არ შეგწევს.

"ზნეობრივობა თავისუფლების სფეროს მიეკუთვნება. აქ ადამიანი ავტონომიურია, არ არის დამოკიდებული არავისზე. ადამიანს საშუალება ეძლევა აირჩიოს როგორ მოიქცეს." ეს გახლავთ კანტის მოსაზრება ადამიანის ზრეობრივ თავისუფლებაზე, რასაც არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ადამიანის ზნეობრივი თავისუფლება ადვილად მსხვრევადია.

ანა ნაცვლიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ფაკულტეტი: იურიდიული.
სპეციალობა: საერთაშორისო სამართალი.

"ლიდერი სამოქალაქო საზოგადოებაში"

ლიდერის ფენომენი ყოველთვის იწვევდა საზოგადოების, განსაკუთრით მისი ინტელექტუალური ნაწილის ინტერესს, ამ საკითხზე იმდენი დაწერილა და თქმულა, ძნელია მიაგნო რაღაც ახალს და ამით მოხიბლო მსმენელი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს თემა დღეს მეტად აქტუალურია საქართველოში და არსებული რეალობა მოითხოვს ლიდერობის ფენომენის ახლებურ გააზრებას. ამდენად ჩემი საუბარი ქართული რეალობის და აქ არსებული "სოციალური დაკვეთის " ფონზე თანამედროვე ლიდერის ანუ ასე რომ ვთქვათ "ჩვენი დროის გმირის "პორტრეტის განხილვაა ან მეორესმხრივ პასუხია კითხვაზე: გვჭირდება კი საერთოდ ლიდერი და გმირი დღეს ქართველებს? უპრიანი იქნება აქედანვე შევთანხმდეთ, რომ აზრები გამოთქმული ლიდერზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაზე, უპირატესწილად იქნება ამ ფენომენის გააზრება სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებათა კუთხით და ქართული რეალობის გათვალიწინებით.

ყველა საზოგადოებას, სოციუმს გააჩნია ღირებულებათა გარკვეული სისტემა. საზოგადოებრივი აზროვნება ასევე დატვირთულია სტერეოტიპებით, იდეოლოგიური წარმონა- ქმნებით მოკლედ რომ ვთქვათ ყალბი ცნობიერების ელემენტებით. ის, თუ ვინ ხდება ლიდერი მოცემულ საზოგადოებაში მრავლისმეტყველი ფაქტია ამ საზოგადოების ზნეობრივი თუ ინტელექტუალური სახის შესაფასებლად. თუმცა ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ზედაპირზე დევს, თუ რატომ ხდება ამათუიმ თვისებების მატარებელი პირი ლიდერი მოცემული სოციუმისათვის, არანაკლები მნიშვნელობის ფაქტია და გაცილებით ღრმა ანალიზს მოითხოვს. და მესამე, რაზეც ალბათ ყველაზე მეტს ვისაუბრებ დღეს არის ის თუ რა განაპირობებს საზოგადოების თითქმის გარდაუვალ მოთხოვნას ლიდერზე.

ვფიქრობ ჩვენი საუბარიც ამ საკითხის კვლევით უნდა დავიწყოთ – როგორია და რატომ ქართული საზოგადოების მიმართება ლიდერის ფენომენისადმი?

ქართული ლიტერატურისათვის უცხო არ არის მესიანისტური იდეა, მეტიც- ქართული სულიერი და ინტელექტუალური ფენომენი დიდხანს საზრდოობდა ამ იდეით. თამარის ეპოქიდან დაწყებული ცისფერყანწელების ჩათვლით და გარკვეულწილად სახელშეცვლილი შემდგომაც. საქართველოს ისტორიის იმ ეტაპებზე კი როცა ქვეყანა ფაქტიურად დაღუპვის პირას იდგა, (და ასეთი იყო ჩვენი ერის ცხოვრების ფაქტიურად უდიდესი ნაწილი) მხსნელის, ლიდერის მოლოდინი ერთერთი ყველაზე მძაფრი იმპულსი და თემა იყო ხელოვნებაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ რომ ამგვარ "მოლოდინში" ქართველი ერი გამონაკლისს წარმოადგენდა. ასეთი მესიანისტური იდეა არსებობს ფაქტიურად ყველა კულტურასა და ერში და მან უდაოდ იქონია ცხოველმყოფელი გავლენა ერების ფიზიკურ თუ სულიერ გადარჩენასა და განვითარებზე. სხვა საკითხია ლიდერის, გმირის ასეთი კულტი და სოციუმის აწმყოსა და მომავლის ცენტრად მისი გამოცხადება რამდენად შეთავსებადია თანამედროვე სახელმწიფოს იდეასთან; მრავალეროვანი, ენობრივი თუ რელიგიურ ნიადაგზე გახლეჩილი მასის სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირების საჭიროებებთან. აქ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ როცა ლიდერზე ვსაუბრობთ ერთმანეთისაგან უნდა

გავმიჯნოთ ეროვნული გმირი (ანუ ზეკაცი ეროვნულ, სახალხო სიბრტყეში, რომელიც ცალსახად დადებითი მოვლენაა) და ლიდერი ისეთ სივრცეში, რომლელსაც სახელმწიფო ჰქვია(სადაც იგი გარკვეულწილად წინააღმდეგობაშიც მოდის სახელმწიფოს და ასევე სამოქალაქო საზოგადოების იდეასთან) ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საუკეთესო მაგალითი რომელიც თვით ისტორიამ შემოგვთავაზა ამ ორი ფენომენის ურთიერთმიმართებაზე არის საბჭოთა სისტემა, რომელმაც შექმნა გმირები (მართალია დღევანდელი გადმოსახედიდან ყალბი, თუმცა იმდროისათვის ლამის გაღმერთებული) და რომელმაც იმავდროულად არა მხოლოდ მოსპო სამოქალაქო საზოგადოება, არამედ ჩაკლა ხალხში, მომავალში, მისი ფორმირებისათვის საჭირო რესურსი, და ამ სისხლიანი ძალადობის ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებია აღმოსავლეთ ევროპას. შეუძლებელია ეს ორი პროცესი- გმირების ხელოვნურად დაბადებისა და სამოქალაქო საზოგადოების ასევე ხელოვნურად განადგურებისა უბრალო დამთხვევა იყოს და მეტი არაფერი, მათ შორის უთუოდ არის ღრმა საკრალური კავშირი.

რას წარმოადგენდა საბჭოთა სისტემა და როგორ დაამარცხა მან სამოქალაქო საზოგადოება? არ ცდებიან ისინი ვინც, მიიჩნევენ, რომ საბჭოთა სისტემის ერთერთი უდიდესი დანაშაული არის ის, რომ მან თავის მოქალაქეებს წაართვა სამოქალაქო ინიციატივის გამოვლენის უფლება და შესაბამისად დროთა განმავლობში–უნარიც კი. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი წერს: „ტოტალიტარულ სახელმწიფოში აზროვნებისა და ცნობიერების გარეკვნა და დანგრევა შიგნიდან მოდის. ეს რადაცნაირი სითხეა, რომელიც თავის ქალაქში აღწევს და ანგრევს აზროვნების, განსაკუთრებით სოციალური ანუ მოქალაქეობრივი აზროვნების შინაგან წყაროებს.” საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მიიჩნია, რომ თუკი ადამიანში წაშლიდნენ ყველაფერს (ეროვნულ, სულიერსა თუ მოქალაქეობრივს) და თეორ დაფად გადააქცევდნენ მას, იგი გაცილებით ადვილად სამართავი და მორჩილი იქნებოდა. ამიტომაც სისტემა ულმობელად გაუსწორდა მის მოსვლამდე საზოგადოებაში არსებულ ყველა იდეალსა თუ ლიდერს, თვით ღმრთის ხატებას ადამიანის სულში(!) და მერე ადამიანებს თავს მოახვია ყალბი ფასეულობები და ყალბი გმირები. ამ ექსპერიმენტის შედეგზე აბდურახმან ავტორხანოვი წერდა:

“Человека верующего в Бога, чтущего исторические святины и иациональные идеалы, сталинский режим перековал в советского человека, в ханжу и хама – не верующего ни в какие идеалы- ни в небесные, ни в земные, ни даже в собственные-социалистические.”

საბჭოთა სისტემამ შექმნა ადამიანი, რომელსაც აღარ სჭირდებოდა აზროვნება, მოძრაობა და აღარც მოქმედება, რადგან ამ ყოველივეს მის მაგივრად გააკეთებდა სახელმწიფო. ერთი შეხედვით ადამიანსაც მეტი რა უნდოდა “სრული ბედნიერებისათვის” (განსაკუთრებით, უკვე მსოფლიო ომის ტრაგედიაგამოვლილ ადამიანს) რასაკვირველია, საზოგადოების ასეთ პასიურ მასად გარდაქმნას მხოლოდ იდეოლოგია ვერ შეძლებდა, ამიტომ სისტემა საკუთარი თავის დასამკვიდრებლად აქტიურად იყენებდა სისხლსა და ტერორს, რომელიც იმდენად გარდაუვალი და მასშტაბური გახდა, რომ მოქალაქეობრივი, აღარას ვამბობ ეროვნულზე, პოზიციის დაფიქსირება თუ აქტიურობის გამოჩენა რეჟიმის ხელით ჩადენილი “აქტივისტის” თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.
შიშისა და პასიურობის ინერცია გრძელდება დღესაც, ეს ორი დაუძინებელი მტერია სამოქალაქო საზოგადოებისა. ამიტომაცაა, რომ დასავლეთი უდიდეს ინტელექტუალურ ენერგიას და ხარჯებს იღებს პოსტ საბჭოთა ხალხებში

სამოქალაქო საზოადოების ჩასახვისა და განვითარებისათვის –ეს იყო და კვლავაც არის ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის პირდაპირი და ძალიან ეფექტური გზა, თუმცა ძნელი და ხანგრძლივი! ამ გზაზე საბჭოეთიდან გამოსულმა ხალხებმა გაიგეს, თუ რას გულისხმობდა ბელინკოვი, როცა წერდა: ადვილია სოციალიზმის გასინჯვა, მაგრამ მისი გადმოფურთხებაა ძნელიო. მართლაც ძალიან რთული და მტკივნეული აღმოჩნდა ტოტალიტარიზმის სუბიექტის აზოვნების განდევნა ჩვენი გონებიდან, მისი ჩვეულებიდან გათავისუფლება. ეს ტოტალიტარული ატავიზმის ნარჩენები კვლავაც აგრძელებენ ჩვენში ინერციით არსებობას, თუმცა ეს არაა გასაკვირი იმ ფონზე, რომ სტალინის შემდეგ საბჭოეთა სისტემაც ინერციით მოგორდა 90-იანებამდე:

რევოლუციური რეჟიმები ეფექტურად და წარმატებით მართავენ ქვეყანას დასაწყის ეტაპზე ქარიზმატული ლიდერის მეშვეობით, როგორც ვებერმა მას უწოდა. მაგრამ როცა რეჟიმის დამაარსებლები მიდიან, არ არსებობს გარანტია, რომ მისი შთამომავლები ისევე პოპულარულები იქნებიან ან რომ ისევე კომპეტენტურად გაუძღვებიან წინა ლიდერის საქმეს. ამიტომაც ყველა სისტემა, თუ საზოგადოება, რომელიც ერთი კონკრეტული პირის ლიდერის ირგვლივ ააწყობს თავის დღევანდელობასა და მომავალს განწირულია საშინელი კრახისათვის. მართალია სახელმწიფოებრიობის სათავესთან ჩვენ ხან ბუნდოვნად, ხან უფრ ნათლად ვხედავთ დიდი პიროვნების ზეკაცის რეფორმატორულ ხელს, მაგრამ მისი დამსახურება მომავლის წინაშე სწორედ იმით იზომება, რამდენად მყარ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს შექმნის და დატოვებს იგი თავის შემდეგ, რადგან სახელმწიფო ვერასოდეს შედგება და განვითარდება, თუ იგი მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებაზე იქნება დამოკიდებული ეპოქიდან ეპოქამდე– ეს როგორც უკვე აღვნიშნე, ეწინააღმდეგება კიდეც სახელმწიფოს იდეას.

სოციუმის ცენტრად ერთი პიროვნების დასახვა ასევე შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოების არსთან. სამოქალაქო საზოგადოების თითოეული წევრი არსებითი შემადგენელი ნაწილია ამ საზოგადოებისა. და თუნდაც ერთი ადამიანის ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი პაისურობით დასნეულება მომაკვდინებელია სამოქალაქო საზოგადოე- ბისათვის; რადგან ესაა საზოგადოების მოდელი, სადაც ყველა თანსაწორია, თავისუფალი და პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებასა და მთლიანობაში - საზოგადოების ბედზე. ესაა საზოგადოება, რომელიც ავტონომიურად არსებობს სახელმწიფოსაგან და ვინმესაგან (სახელმწიფო, ლიდერი) კი არ ელის ხსნასა და დახმარებას, არამედ თვითონვე იკმაყოფილებს თავის საჭიროებებს, საკუთარ წიაღში ეძებს რესურსებსა და მათი ოპტიმალურად გამოყენების გზებს. მისი თითოეული უჯრედი ცოცხალი და მოქმედია, აქ თითოეული ინდივიდია საზოგადოების მამოძრავებელი ძალა და ლიდერი. ამიტომაც ამ საზოგადოებას პასიურობის მომაკვდინებელი სენით ემუქრება ზეკაცად, შეუცვლელ და ყოვლისშემძლე ლიდერად ვისიმე გამოცხადება და საზოგადოების მასზე "ჩამოკიდება". სამწუხაროდ ქართულ საზოგადოებას დღესაც აზის ინფანტილურობის დამდა, რომ ვიღაც ოქროსფერთმიანი და თეთრ რაშზე ამხედრებული ჭაბუკი მოვა, ერთი ხელის მოსმით გააკეთებს ყველაფერს, რაც ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვაკეთოდ წლების განმავლობაში, რომ ეს მხსნელი თუ ლიდერი გამოასწორებს ყველა უსამართლობას, ბოროტებას და მერე ჩვენ მის მიერ შექმნილ სამოთხეში ყველანი მშვიდად და ბედნიერად ვიცხოვრებთ. ამ გაგებით ლიდერის იდეა სპობს პიროვნების თავისუფლებას და ინდივიდუალობას, ათავსებს რა მას იმ სულიერი, გონებრივი თუ მატერიალური იდეალების ჩარჩოში, რომელიც გააჩნია თვითონ

ლიდერს, შესაბამისად ლიდერის ხატება აფერხებს საზოგადოების განვითარებას, აქცევს რა ამ პროცესს საზღვრებში.

საბჭოთა სისტემის უკუღმართობაში იმდროისათვის უკვე ღრმად დარწმუნებული სახაროვი წერდა: ადამიანურ საზოგადოებას სჭირდება ავტორიტეტების გავლენისა და წინასწარ ჩამოყალიბებული აზრებისაგან თავისუფლება. ეს ერთადერთი გზაა დავიცვათ ხალხი მასობრივი მითებისაგან, რომლებიც ფარისეველთა და დემაგოგთა ხელში იოლად გარდაიქმნებიან სისხლიან დიქტატურებად.

ამგვარად, ლიდერის ფენომენი, აქ შეიძლება სიტყვა ქარიზმატულიც კი გამოვიყენოთ, შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადეოების იდეასთან და სახიფათოა სახელმწიფო- ებრიობისათვის, თუ კი იგი წარმატებულ ინსტიტუციურ რეფორმატორად არ მოგვევლინება, წარმატებულობას კი მხოლოდ დრო ადასტურებს, სხვა კრიტერიუმი აქ უბრალოდ არასანდოა.

თუმცა დასასრულს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სოციალური დაკვეთა ლიდერზე ყოველთვის და ყველგან არსებობს, ეს როგორც ჩანს ადამიანური ბუნების განუყფელი ნაწილია. განსაკუთრებით აქტუალური ხდება ლიდერის მოლოდინი მაშინ, როცა საზოგადოება კრიზისშია. აქ კი ისტორია ბევრ მაგალითს გვთავაზობს, რომელთაგან ზოგს ტრაგიკული, ზოგს კი კლასიკური "happy end" ხვდა წილად – ჰიტლერი გერმანიაში და, ცოტა მოგვიანებით რეიგანი ამერიკაში, ეს მაგალითები გვიმტკიცებს, რომ პროგნოზების გაკეთება ძალიან სახიფათოა. ორივე შემთხვევაზე ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია ვთქვათ: – ასეთია ლიდერის ხვედრი, იგი ისტორიული აუცილებლობის სუბიექტია, ასევეა სოციუმიც და მისი განვითარების თანაედროვე ეტაპი სამოქალაქო საზოგადოება. ძალთა ბალანსსაც მათ შორის ეს გარდაუვალი აუცილებლობა არეგულირებს.

დასასრულს ვიტყვი, რომ ალბათ ერთადერთი რაც ისტორიამ გვასწავლა ისაა, რომ მიზანი, რომელსაც ისახავს ისტორიული აუცილებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში მიღწეული იქნება – ამ პროცესში თითოეული ცალკე აღებული ინდივიდის მონაწილეობით თუ მის გარეშე.
როგორც სენეკა იტყოდა: „Ducunt fata volentem, nolentem trahunt"

<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>

1. მ. მამარდაშვილი "საუბრები ფილოსოფიაზე"
2. ფრენსის ფუკუიამა - конец истории и последкий и человек (москва 2005)
3. А.Сахалов- Тревога и Надежда (москва 1999)